

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 5

კ ე რ ძ ო

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

1. მტკიცებულებათა შეგროვება
 - მტკიცების ტვირთი
 - მტკიცებულებათა შეფასება
2. სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილი ღონისძიებების გაუქმება
3. სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა
 - მხარის გამოუცხადებლობა სხდომაზე
 - პროცესზე გამოცხადების ხელშემშლელი გარემოება
 - სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა
 - შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა
4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა
5. უსწორობის გასწორება
6. დამატებითი გადაწყვეტილება
7. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება
8. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები
9. საქმის წარმოების შეჩერება
 - საქმის წარმოების შეჩერება საქმიდან გასული უფლებამონაცვლის დადგენამდე
 - საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე
10. სააპელაციო სასამართლოში საქმის განუხილველად დატოვება
სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო
11. სააპელაციო საჩივრის ღირებულება

1. მტკიცებულებათა შეგროვება

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-248-573-09

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ს-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს თ. ა-იას მიმართ და მოითხოვა უკანონოდ დაკავებული ბინიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებით ა. ს-მის სარჩელო დაკმაყოფილდა, თ. ა-ია გამოსახლდა ქ.თბილისში ... ქ. ... ს/ქ კორპუსი 5 ბინა 35-დან. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა თ. ა-იამ, რომელმაც მისი გადასინჯვა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით თ. ა-იას ეს საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

რაიონული სასამართლოს ამ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ა-იამ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 თებერვლის განჩინებით კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას.

სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 მარტის განჩინებით თ. ა-იას მიეცა 10 დღე კერძო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, ხოლო იმავე პალატის 2004 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით თ. ა-იას კერძო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

2008 წლის 2 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ მოსარჩელე ა. ს-მის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

2008 წლის 26 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა თ. ა-იამ და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 1 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 2 ივლისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული იძულებითი აღსრულების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით თ. ა-იას მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივლისს გაცემული #2/1354 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული იძულებითი აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება განცხადებით გაასაჩივრა თ. ა-იამ. მან მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 1 ოქტომბრის განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით თ. ა-იას განცხადება არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 1 ოქტომბრის განჩინება.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა განმცხადებლის მიერ მითითებულ იმ გარემოებას, რომ მას არ ჩაბარებია ხარვეზის შევსების შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რაც წარმოადგენდა ფაქტობრივ საფუძველს გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობისათვის.

სააპელაციო პალატის განმარტებით, თბილისის საოლქო სასამართლომ თ. ა-იას ხარვეზის შევსების შესახებ 2004 წლის 23 მარტს გამოტანილი განჩინება არაერთხელ გაუგზავნა იმ მისამართზე, რომელიც მას მითითებული ჰქონდა თავის კერძო საჩივარში. კერძოდ, ... 173 კორპ. 5, ბინა 35. გზავნილებზე სასამართლოს კურიერის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით დადგინდა, რომ ამ მისამართზე ცხოვრობდა წ-ირი და არა თ. ა-ია. პალატამ ჩათვალა, რომ თ. ა-ია კანონით დადგენილი წესით მიწვეული იყო და ის გარემოება, რომ მან კერძო საჩივარში თავისი საცხოვრებელი ადგილის მისამართი არასწორად მიუთითა, არ ქმნიდა გასაჩივრებული განჩინების ბათილობის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ა-იამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინება გამოტანილია კანონის დარღვევით.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ საქმე განიხილა მისი და მისი წარმომადგენლის დასწრების გარეშე. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განსაკუთრებით ბუნდოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 2004 წლის 1 ოქტომბერს გამოტანილი განჩინების თაობაზე ხარვეზის შევსების შესახებ, რომ თითქოს მითითებული განჩინება მას ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით. სინამდვილეში კი, კერძო საჩივრის ავტორის თქმით, მისთვის განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაუბარებიათ, არ ყოფილა დაცული საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურები, საქმეში აღნიშნულის დამადასტურებელი მასალები არ მოიპოვება, გარდა კურიერის მიერ შედგენილი საეჭვო აქტისა, რომელიც თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით დადგენილ წესს და იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით ვარაუდის საფუძველს, რომ კურიერის მიერ შედგენილი აქტი ყალბია.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. ასევე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 1 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი თ. ა-იას გაეგზავნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით საჩივრის ავტორმა უნდა მიუთითოს თავისი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).

ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი თ. ა-იას რამოდენიმეჯერ გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე, კერძოდ, ... კორპ. 5, ბინა 35. სასამართლოს გზავნილებზე კურიერის მიერ გაკეთებული ჩანაწერიდან დგინდება, რომ ამ მისამართზე ცხოვრობდა წ-ირი და არა ა-ია.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის შესახებ, რომ თ. ა-იას განჩინების ასლი ჩააბარდა 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით (იმ დროს მოქმედი რედაქციით). აქედან გამომდინარე საოლქო სასამართლომ თ. ა-იას კერძო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ვარაუდს იმის შესახებ, რომ კურიერის მიერ შედგენილი აქტი ყალბია, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რაც აღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-

ნებს. კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ იქნა წარმოდგენული რაიმე სახის მტკიცებულება, რომ განჩინების ასლის გაგზავნის დროისათვის ის მართლა ცხოვრობდა მის მიერ მითითებულ მისამართზე, შესაბამისად არ არსებობს კურიერის მიერ შედგენილ დოკუმენტში ეჭვის შეტანის საფუძველი.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სააკველაციო სასამართლოს განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რადგან თვლის, რომ განჩინება სრულადაა დასაბუთებული და სამართლიანია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ა-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააკველაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინება.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-289-611-09

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. და ო. ბ-ებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს მოპასუხე მ. რ-ავას მიმართ ქორწინების შეწყვეტისა და ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით აღნიშნული სამოქალაქო საქმე განსჯადობით განსახილველად გადაგზავნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ოქტომბრის საოქმო განჩინებით, სასარჩელო მოთხოვნა ქორწინების შეწყვეტის ნაწილში დარჩა განუხილველი. მოთხოვნის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ თ. და ო. ბ-ებმა მოითხოვეს ბავშვთან, 2006 წლის 23 იანვარს დაბადებულ ს. ბ-იასთან ნახვის დღეები განესაზღვროთ შემდეგი წესით: ნება დაერთო მამას -თ. ბ-იას და ბაბუას ო. ბ-იას ინახულოს ბავშვი კვირაში სამჯერ კერძოდ, პარასკევს 17 სთ-დან 20 სთ-მდე, შაბათს 11 სთ-დან 18 სთ-მდე და კვირას 11 სთ-დან 17 სთ-მდე წაყვანის უფლებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. და ო. ბ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააკველაციო წესით გასაჩივრა მ. რ-ავამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა.

საკველაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2009 წლის 4 მარტს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

თ. და ო. ბ-ებს ს. ბ-ისთან ურთიერთობის წესი განესაზღვრათ შემდეგნაირად: თ. და ო. ბ-ებს ნება დაერთოთ ინახულონ ბავშვი შაბათს ან კვირას 11 სთ-დან და 18 სთ-მდე, ასევე, სადღესასწაულო დღეებში და ბავშვის დაბადების დღეზე 2 საათის ხანგრძლივობით წაყვანის უფლებით. ბავშვთან ურთიერთობის აღნიშნული წესი ვრცელდება ბავშვის 5 წლის ასაკამდე, რის შემდეგაც ურთიერთობის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით დამტკიცდა აღნიშნული მორიგება და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. რ-ავამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული შეთანხმების შემდეგ, მან ბავშვს აუხსნა, რომ მამა წაიყვანდა კვირაში ერთხელ, აგრეთვე, სადღესასწაულო დღეებში და დაბადების დღეზე -2 საათით. აღნიშნული ბავშვმა ძალზე განიცადა და გამოხატა პროტესტი, რომ მის გარეშე მამასთან არ წავიდოდა, რის შემდეგ მ. რ-ავამ მიმართა ნევროპათოლოგს და აუხსნა, რომ ერთად ცხოვრების პერიოდში მას და მის ყოფილ მეუღლეს შორის არსებობდა სისტემატური კონფლიქტი. კონფლიქტი არა მხოლოდ სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც გამოიხატებოდა, რაც მოქმედებდა ბავშვის ფსიქიკაზე. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ბ-ია ბავშვს განაწყოდა მის მიმართ აგრესიით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ბავშვს ეუბნებოდა დაერთყა მისთვის და ა.შ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, იყო შემთხვევა, რომ თ. ბ-ია მის მშობლებთან სახლში შემოუვარდა იარაღით, ემუქრებოდა მოკვლით და ამ ფაქტს უყურებდა ბავშვი, თ. ბ-ია აგრესიული იყო ასევე საკუთარი დედის და დის მიმართაც, მათაც ხშირად ეჩხუბებოდა, ფიზიკურადაც ეხებოდა და ეს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგების აქტი და მოცემულ საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლო განჩინებაზე მხარეებს შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა.

მ. რ-ავას მიერ კანონით დადგენილ ვადაში შეტანილი იქნა კერძო საჩივარი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ ს. ბ-იაზე მამამისი ახდენს ცუდ გავლენას, რაც ვნებს ბავშვის ჯანმრთელობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

საკასაციო პალატამ შეაფასა კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ს. ბ-ის ამბულატორული გასინჯვის ბარათი და თვლის, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს იმ მტკიცებულებას, რომელიც ამართლებს კერძო საჩივარში მითითებულ გარემოებებს. კერძოდ კი უნდა აღნიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტიდან არ ირკვევა ის ფაქტი, რომ ბავშვის ძლიერი სულიერი მდგომარეობა განპირობებულია მამის გავლენით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მტკიცებულება ემყარება კერძო საჩივრის ავტორის მონათხრობს, ხოლო ექიმის დასკვნით ბავშვის სულიერი მდგომარეობა შეესაბამება მის ასაკობრივ განვითარებას. გარდა ამისა, სამედიცინო ცნობას რომ გააჩნდეს მტკიცებულების ძალა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით. განსახილველ შემთხვევაში კი ამბულატორიული გასინჯვის ბარათს ხელს აწერს მხოლოდ ექიმი.

თბილისის გლდან-ნამაღალის რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის დასკვნიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ მამისა და ბაბუის ურთიერთობა ბავშვთან არ ეწინააღ-

მდეგება ბავშვის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მას, ხელს არ უშლის ბავშვის ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ ახდენს მასზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. რ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. რ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააკველაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-378-695-09 30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 10 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „აღმშენებლობამ“ მოპასუხეების -რ. ზ-შვილის, ლ. ჩ-ძის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საბურთალო 45ა-ს“, შ. ნ-უას, კ. ს-იას, გ. კ-შვილის, მ. კ-იასა და ნ. ქ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა რ. ზ-შვილისთვის, ლ. ჩ-ძისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის „ამხანაგობა 45ა-თვის“ ... ქუჩა #45-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავისუფლებული სამშენებლო მოედნისა და დამტკიცებული საპროექტო-საკადასტრო დოკუმენტაციის შპს „აღმშენებლობისათვის“ გადაცემის დაკისრება, ასევე შ. ნ-უას, კ. ს-იას, გ. კ-შვილის, მ. კ-იასა და ნ. ქ-ძის გამოსახლება შპს „აღმშენებლობის“ მიერ გადაცემული ბინებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების შესახებ 2008 წლის 17 მარტის განცხადებით მოსარჩელემ დააზუსტა დავის საგანი და მოითხოვა მოპასუხეებისაგან სამშენებლო მოედნისა და სათანადო საპროექტო-საკადასტრო დოკუმენტაციის გადმოცემა.

მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ მისი მოთხოვნა ემყარებოდა 2001 წლის 10 ივლისს შპს „აღმშენებლობასა“ და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საბურთალო 45ა-ს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად, შპს „აღმშენებლობას“ უნდა აეშენებინა ... ქ.#45-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ფართით 5300 კვ.მ და ამხანაგობის წევრებისათვის გადაეცა 1140 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, რაც მოსარჩელემ შეასრულა. 2001 წლის 6 აგვისტოს ... ქ.#45-ში არსებული ტერიტორიის მეპატრონემ ლ. ჩ-ძემ ამხანაგობის სახელით, გარდა ზემოაღნიშნული 1140 კვ.მ ფართისა, შპს „აღმშენებლობას“ დამატებით სთხოვა 170 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, რომლის სანაცვლოდაც იგივე ფართი შპს „აღმშენებლობას“ გადაეცემოდა ლ. ჩ-ძის მფლობელობაში არსებული ტერიტორიიდან. იმავე პირობით, 2002 წლის 25 ივლისს შპს „აღმშენებლობამ“ ლ. ჩ-ძეს გამოუყო 106,7 კვ.მ და საცხოვრებელი 173 კვ.მ. სულ ამხანაგობა „საბურთალო 45ა-მ“ შპს „აღმშენებლობის“ მიერ დამატებით მიიღო საცხოვრებელი 450 კვ.მ.

2004 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „საბურთალო 45ა-მ“ იკისრა ვალდებულება, რომ დამატებით გადაეცემული 450 კვ.მ ფართის დაბრუნებას დაიწყებდა 2004 წლის 1 სექტემბრიდან, რაც არ

შეუსრულებია. ამხანაგობამ, ასევე, იკისრა ვალდებულება, რომ გადაიხდიდა სამშენებლო ობიექტიდან აღებული მეტალის ღირებულებას, 4300 აშშ დოლარს და ნასესხებ თანხას -1100 აშშ დოლარს და 750 ლარს, რაც ასევე არ შეუსრულებია.

მოპასუხე რ. ზ-შვილმა არ ცნო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ ის არ წარმოადგენდა ... ქუჩის #45-ში მდებარე სამშენებლო მოედნის მესაკუთრეს, არ გააჩნდა რაიმე დოკუმენტაცია მშენებლობის თაობაზე, შესაბამისად, მოსარჩელესთან ვერც დადებდა და არც დაუდია რაიმე ხელშეკრულება.

სარჩელი არ ცნო მოპასუხე ლ. ჩ-ძემ და აღნიშნა, რომ 2001 წლის 10 ივლისს დადებული ხელშეკრულება მოქმედებდა 2003 წლის 3 აგვისტომდე. მშენებლობა უნდა დაწყებულიყო 2001 წლის 1 აგვისტოს და უნდა დასრულებულიყო 2003 წლის 1 აგვისტოს. მოსარჩელემ დაარღვია აღნიშნული პირობა და არ შეასრულა ჯეროვნად, დათქმულ დროს. ამასთან, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ 450 კვ.მ მოსარჩელემ გადასცა მოპასუხეებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „აღმშენებლობის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „აღმშენებლობამ“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, იმ მოტივით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი.

აპელანტის მითითებით, საქმეში არსებობდა ამხანაგობა „საბურთალო 45ა-ს“ თავმჯდომარისა და ამავე ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფის წევრის მიერ ხელმოწერილი გარიგება, რომლის ნამდვილობა და მოსარჩელის მიერ შესრულება დადასტურდა. აღნიშნული გარიგება სრულად პასუხობდა ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელ პირობებს.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებად, ამასთან, არასწორი ინტერპრეტაცია მისცა მის არსს.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ლ. ჩ-ძისა და რ. ზ-შვილის ხელწერილები არ წარმოშობენ მათთვის რაიმე ვალდებულებას, მით უმეტეს, აღნიშნული ვალდებულების არსებობა მხარეებმა პროცესზე დაადასტურეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 23 თებერვალს.

2009 წლის 23 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი შპს „აღმშენებლობა“. მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებით შპს „აღმშენებლობის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე. მიუხედავად ამისა, აპელანტი არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია სასამართლოსათვის. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეებმა უარი განაცხადეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და მოითხოვეს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც მოწინააღმდეგე მხარეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებით შპს „აღმშენებლობის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „აღმშენებლობამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო შპს „აღმშენებლობის“ დირექტორ ზ. ნ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო. კერძოდ, ზ. ნ-ძეს აქვს შაქრიანი დიაბეტი. საქმის განხილვის დღეს ქუჩაში მიმავალი ზ. ნ-ძე გახდა შეუძლოდ, იგი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „აღმშენებლობის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უც-

ვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 23 თებერვალს, 14.00 საათზე.

2009 წლის 23 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი შპს „აღმშენებლობა“. მას გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია.

საკასაციო სასამართლო შპს „აღმშენებლობის“ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიჩნევის შესახებ ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო შპს „აღმშენებლობის“ დირექტორ ზ. ნ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით და რომ პროცესის დღეს იგი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოდგენია დირექტორის ავადმყოფობის და ამ მიზეზით სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი სწორად არის დატოვებული განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს შპს „აღმშენებლობის“ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას კანონი არ დურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „აღმშენებლობის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილი ღონისძიებების გაუქმება

განჩინება

#ას-524-834-09

12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: რეალური წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ბ-შვილის მიმართ სამკვიდროდან წილის გამოყოფისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ შემდეგი საფუძველით: 1991 წლიდან მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მ. ბ-შვილთან, რა დროსაც შეეძინა ორი შვილი - ე. და ლ. ბ-შვილები, მეუღლეები ცხოვრობდნენ მამამთილ ქ. ბ-შვილის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში. 1993 წელს მ. ბ-შვილი გარდაიცვალა. მოსარჩელე კი ორ შვილთან ერთად კვლავ ცხოვრობდა მეუღლის ოჯახში. 2000 წელს გარდაიცვალა ქ. ბ-შვილი, რის შემდეგ დედამთილი - ლ. ბ-შვილი სადავო ბინაში ნორმალურად ცხოვრების საშუალება არ აძლევს, მოსარჩელემ სამკვიდრო მოწმობის მიღების მოთხოვნით მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც უარი განუცხადა. სამოქალაქო კო-

დექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა თავისი არასრულწლოვანი შვილების ყ.ბ-შვილის კუთვნილ ქ.ქუთაისში, ... ქუჩის #24 ბინის 1/2-ის მემკვიდრედ ცნობა და სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

მოპასუხე ლ. ბ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ გარდაცვლილი შვილის გარდაჰყავდა ქალიშვილიც, რომელიც ასევე იყო ყ.ბ-შვილის მემკვიდრე და სადავო სახლში მ. ბ-შვილის შვილებთან ერთად თანაცხოვრებას არ დაუშვებდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. და ლ. ბ-შვილები ცნობილ იქნენ მათი პაპის -ყ. ბ-შვილის დანაშაულის ქონების -ქ. ქუთაისში, ... #24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ის მემკვიდრეებად, რაზედაც გაიცა შესაბამისი სამკვიდრო მოწმობა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ბ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ლ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ბ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის განჩინებით ლ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

2007 წლის 6 ნოემბერს მ. ბ-შვილმა სასამართლოში შეიტანა განცხადება ყადაღის მოხსნის თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით მ. ბ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა.

2009 წლის 23 მარტს მ. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინების განმარტება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით მ. ბ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი განიმარტა შემდეგნაირად: „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, 2006 წლის 8 ნოემბერს (#2/ბ-1117-2006) განხორციელებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდეს და მოეხსნას ყადაღა ქ.ქუთაისში, ... ქ. #24-ში ყ. ბ-შვილის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს“.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ბ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა საქმე, რომ არ მიიწვია მხარედ სასამართლო პროცესზე. იგი კვლავ აგრძელებს დავას მოცემულ საქმეზე და არ არის თანახმა მოიხსნას ყადაღა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ლ. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის შესაბამისად, თუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავის გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 8 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ბ-შვილის განცხადება და ყადაღა დაედო ყ. ბ-შვილის სახელზე რიცხულ ქ.ქუთაისში ... #24-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მ.

ბ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოეხსნას ყადაღა ყ. ბ-შვილის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მ. ბ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა. მოეხსნა ყადაღა ქ.ქუთაისში ... #24-ში მდებარე ყ. ბ-შვილს საცხოვრებელ სახლს.

მ. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული განჩინების განმარტება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ბ-შვილის განცხადება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი განიმარტა შემდეგნაირად: „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, 2006 წლის 8 ნოემბერს (#2/ბ-1117-2006) განხორციელებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდეს და მოეხსნას ყადაღა ქ. ქუთაისში, ... #24-ში ყ. ბ-შვილის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს“.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ა. მ-ოვს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ წარმოდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება და არც შუამდგომლობა აღუძრავს ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. მ-ოვმა. მან მიუთითა, რომ 2008 წლის 27 ოქტომბერს ხარვეზის განჩინება არ ჩაჰბარებია და ვერც ჩაჰბარდებოდა, ვინაიდან საქართველოში არ იმყოფებოდა. იგი ბაქოდან საქართველოში ჩამოვიდა 22 დეკემბერს და ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდა 25 დეკემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაქმემა და საქმის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. მ-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ა. მ-ოვს მიეცა 10-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა. ა. მ-ოვს აღნიშნული განჩინება პირადად არ ჩაჰბარებია საცხოვრებელ მისამართზე მისი არყოფნის გამო. სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა აპელანტის ძმიშვილს - ტ. მ-ოვს ა. მ-ოვისათვის გადასაცემად. სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, ა. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან ადრესატის არყოფნის შემთხვევაში ჩაიბარონ შეტყობინება. ეს პირები არიან მხარესთან მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრები და, თუ სამუშაო ადგილის მიხედვით ჰბარდება მხარეს უწყება, ჩაიბარებს სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია. უწყების ჩაბარება ამ პირებზე ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მართალია, ა. მ-ოვმა წარმოადგინა ცნობა ავადმყოფობისა და ქ. ბაქოში მკურნალობის შესახებ, მაგრამ აღნიშნული ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად, ვინაიდან მას წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინა ის პროცესუალური შედეგი, რაც სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შეუვსებლობას მოჰყვებოდა და, შესაბამისად, სამკურნალოდ გამგზავრებამდე შეეძლო შეეცხო ხარვეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. მ-ოვის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. მ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარის გამოუცხადებლობა სხდომაზე

განჩინება

№ას-424-738-09

15 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ სარჩელი აღძრა შპს "ვეგა მოტორსი-2002-ის" მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს -126 218,8 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 4 აგვისტოს მხარეებსა და სს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოპასუხეს 2005 წლის 25 ოქტომბრისთვის მოსარჩელისათვის უნდა მიეწოდებინა ოთხი ავტომანქანა "კამაზი" ამწე კალათით, ოთხი -საბურღი დანადგარით და ორი სატვირთო ავტომანქანა. მოპასუხემ ვალდებულება დროულად და სათანადოდ ვერ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: შპს "ვეგა მოტორსი-2002-მა" ნაკისრი ვალდებულება დროულად ვერ შეასრულა ფორსმაჟორული გარემოებების გამო, მოგვიანებით კი მოსარჩელემ ფაქტობრივად მოშალა ხელშეკრულება, რის გამოც სადავო თანხის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს "ვეგა მოტორსი-2002-ს" დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 33 651,6 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 აპრილის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლისა და 275-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: აპელანტის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2009 წლის #35-მ ბრძანების საფუძველზე სამინისტროს წარმომადგენლები -ი. ხ-ძე, ნ. ი-ძე და გ. ყ-შვილი საქმის განხილვის დღეს მივლინებით იმყოფებოდნენ ქ.ახალციხეში, მაგისტრალური მილსადენის გახსნაზე, რის გამოც სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს პროცესზე აპელანტის ინტერესები უნდა დაეცვა მის წარმომადგენელ ნ. წ-ძეს. სასამართლოს სხდომის დაწყებამდე ნ. წ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოულოდნელად გაუარესდა და დასჭირდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია, რის შესახებაც, დროის სიმცირის გამო, სასამართლოს გაფრთხილება ვერ მოხერხდა. ნიშანდობლივია, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა რიგს, ვინაიდან მხარეთა შორის სხვადასხვა ტიპის ავტომანქანათა შესყიდვის ხელშეკრულება დაიდო ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონებისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების საფუძველზე.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 15 აპრილს, 11 საათზე, რის შესახებ მხარეებს კანონით დადგენილი წესით ეცნობათ, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ დროს აპელანტი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს

ენერგეტიკის სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლითა და 275-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით, რომელთა თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამასთან, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტი, რომელსაც სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა, საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მას სასამართლო უწყება მისი სააპელაციო საჩივრის 2009 წლის 15 აპრილს, 11 საათზე განხილვის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა.

კერძო საჩივრის ავტორი თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნევს საქმის განხილვის დღეს მისი წარმომადგენლების - ი. ხ-ძის, ნ. ი-ძისა და გ. ყ-შვილის მივლინებით ქ.ახალციხეში ყოფნის ფაქტს, ასევე მათ ნაცვლად სასამართლოში მივლინილი ნ.წ-ძის ავადმყოფობას, რაც, დროის სიმცირის გამო, სასამართლოს ვერ ეცნობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის მიერ მითითებული გარემოება საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ მიიჩნევა და საქმის მასალებით არ დგინდება ისეთი გარემოება, რომელიც სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ სააპელაციო პალატისათვის შეტყობინებას ობიექტურად შეუძლებელს გახდიდა. კერძო საჩივარზე დართული საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის ბრძანებიდან ირკვევა, რომ აპელანტმა მისი წარმომადგენლების - ი. ხ-ძის, ნ. ი-ძისა და გ. ყ-შვილის მივლინებაში გამგზავრების თაობაზე სასამართლოში საქმის განხილვამდე სულ ცოტა ერთი დღით ადრე მაინც იცოდა და, შესაბამისად, შეეძლო უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე სხვა წარმომადგენლის გამოცხადება ან გამოუცხადებლობის თაობაზე შეტყობინება.

რაც შეეხება ნ. წ-ძის გამოუცხადებლობას, რომელსაც, მხარის აზრით, სასამართლოში მისი ინტერესები უნდა დაეცვა, ამ უკანასკნელმა წარმოადგინა სტომატოლოგის ცნობა, რომლის მიხედვით პაციენტს 2009 წლის 15 აპრილს, 10.30 საათზე, ჩაუტარდა მკურნალობა და იგი ვერ შესძლებდა ვერც იმავე დღეს და ვერც მომდევნო ორი დღის განმავლობაში სასამართლოში გამოცხადებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ ცნობაში დასახელებული გარემოება ასევე ვერ ადასტურებს, რომ 2009 წლის 15 აპრილს, 11 საათზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ობიექტურად ვერ შესძლო სასამართლოში თავისი ინტერესების დამცველის წარმოდგენა ან ასეთის შეუძლებლობისას - აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის შეტყობინება. ნიშანდობლივია, რომ კერძო საჩივრის ავტორი იურიდიული პირია და უნდა უზრუნველყოს თავისი წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ მოცემული დავა უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2008 წლის 1 სექტემბრის განჩინებით იმსჯელა მოცემული დავის განსჯადობის საკითხზე და სავსებით სწორად მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, საქმე უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ვინაიდან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით არ დადებულია, ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის "ზ" ქვეპუნქტიდან არ გამომდინარეობს და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-487-798-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის საგანი: სესხის თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის და ზიანის ანაზღაურება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 15 სექტემბერს მ. ქ-იანმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის გ. ხ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2008 წლის 22 აპრილს იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ხ-ძეს ასესხა 5000 აშშ დოლარი, ყოველთვიურად 4%-ის დარიცხვით, სამი თვის ვადით. სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქუთაისში. მიუხედავად სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლისა, გ. ხ-ძე არ ასრულებს ვალდებულებას.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის ძირითადი თანხის -5000 აშშ დოლარის დაკისრება 4%-ის დარიცხვით და ყოველთვიურად 3%-ის ანუ 168 დოლარის დაკისრება, ასევე იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაცია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მას მ. ქ-იანისგან არ უსესხია 5000 აშშ დოლარი და არც იპოთეკით დაუტვირთავს ბინა. მოპასუხემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი იპოთეკის ხელშეკრულება ყალბია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ქ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ხ-ძეს მ. ქ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის -5000 აშშ დოლარის, სამი თვის პროცენტის -600 აშშ დოლარის, მიყენებული ზიანის ყოველთვიურად 3%-ის ანუ 150 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე. სასამართლომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დაადგინა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სესხის თანხის გადაცემა მოხდა არა დოლარის, არამედ ევროს სახით. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურდა გ. ხ-ძის ქონების დატვირთვა იპოთეკით მ. ქ-იანის სასარგებლოდ. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ იპოთეკის ხელშეკრულება არის ყალბი. აღნიშნული ხელშეკრულების სისწორე დადასტურდა ექსპერტის დასკვნით. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა მოხდა კრედიტორის მიზეზით, რადგან მან მოთხოვნის მიუხედავად არ გადასცა შინაურული ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტმა მიუთითა, რომ სასამართლომ მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა საჯარო რეესტრიდან საცხოვრებელი ბინის რეგისტრაციის განცხადებისა და გადახდის ქვითრების გამოთხოვის შესახებ, რათა დადგენილიყო ხელმოწერის სიყალბე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უპასუხოდ დატოვა და ექსპერტიზაზე გადააგზავნა მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულება, რის გამოც ექსპერტიზის დასკვნა არასწორია. მოცემულ შემთხვევაში არსე-

ბოზდა არამართო სასამართლოში წარდგენილი რეესტრის ჩანაწერის გაყალბების მტკიცებულებები, არამედ შეტანილი იყო სასამართლომდე საჩივრიც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში რეესტრის ჩანაწერთა სიყალბის შესახებ. მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ ისესხა პირველად 800 ევრო და ეს თანხა შედიოდა 3155 ევროს ანგარიშში. მოსამართლემ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არ გამოითხოვა მოსარჩელესთან არსებული 800 ევროს ხელწერილი. არასწორად შეაფასა წარდგენილი აუდიოკასეტა, მაშინ, როცა მასში ნათლად ირკვევა მხარეებს შორის შეთანხმება არა დოლარზე არამედ ევროზე. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი, რომლითაც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხის და რაოდენობის ნივთი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა დაეკისრებინა გადახდა ევროს სახით და არა დოლარით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის განჩინებით გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 8 აპრილს 12.00 საათზე. 2009 წლის 8 აპრილს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ხ-ძემ და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის. აპელანტმა წარმოადგინა ავდემყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად, მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის განცხადება და სხდომა გადაიდო 2009 წლის 22 აპრილამდე. 2009 წლის 22 აპრილს აპელანტმა კვლავ წარადგინა განცხადება სხდომის გადადების შესახებ და ავდემყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება და სტენოკარდია. სასამართლომ საქმის განხილვა გადადო 2009 წლის 29 აპრილისთვის. 2009 წლის 28 აპრილს გ. ხ-ძემ კვლავ წარადგინა განცხადება საქმის განხილვის გადადების თხოვნით და ცნობა, რომლითაც გ. ხ-ძეს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა სტომატოლოგიურ კლინიკაში. სასამართლო აპელანტის განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ არ დააკმაყოფილა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ხ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებით უტყუარად დასტურდება მისი ავადმყოფობა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 233-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი, რადგან ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოში მხარის გამოცხადებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 8 აპრილს 12.00 საათზე. 2009 წლის 8 აპრილს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ხ-ძემ და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის. აპელანტმა წარადგინა ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის განცხადება და სხდომა გადაიდო 2009 წლის 22 აპრილამდე. 2009 წლის 22 აპრილს აპელანტმა კვლავ წარადგინა განცხადება სხდომის გადადების შესახებ და ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის თანახმად მას აქვს ჰიპერტონიული დაავადება და სტენოკარდია. სასამართლომ საქმის განხილვა გადადო 2009 წლის 29 აპრილისთვის. 2009 წლის 28 აპრილს გ. ხ-ძემ კვლავ წარადგინა განცხადება საქმის განხილვის გადადების თხოვნით და ცნობა შპს "პრიმა დენტიდან", რომლითაც გ. ხ-ძეს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა სტომატოლოგიურ კლინიკაში. აღნიშნული ცნობა სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მასში პირდაპირ არ იყო მითითებული გ. ხ-ძის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-457-771-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: რეგისტრაციის გაუქმება, უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-შვილმა სარჩელი აღძრა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა აბაშის რაიონის სოფელ პირველ მაისში ვ. გ-შვილის სახელზე რიცხული სახლისა და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის გაუქმება, მითითებული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრისათვის საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციის დავალბება შემდეგი საფუძვლებით: აბაშის რაიონის სოფელ პირველ მაისში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა მოსარჩელის სახელზე. 2003 წელს მან შეიტყო, რომ 1984 წლის ჩანაწერით მისი კომლი გაუქმდა, კომლში ჩაწერა და სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ უკანონოდ აღირიცხა მოსარჩელის მამა ვ. გ-შვილი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მითითებით, ი. გ-შვილის კომლი კანონიერად გაუქმდა, რადგან იგი იყო კომლის უკანასკნელი წევრი, საცხოვრებლად გადავიდა ქ.თბილისში და სოფელთან კავშირი გაწყვიტა, რის გამოც, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მისი კომლი ავტომატურად გაუქმდა.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის 1983-1985 წლების საკომლო წიგნში ი. გ-შვილის კომლის გაუქმების შესახებ ჩანაწერი გაუქმდა, დანარჩენ ნაწილში კი სასარჩელო მოთხოვნებს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ი. გ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 აპრილის განჩინებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ივ.გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 1 აპრილს, 14.00 საათზე, რის შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ეცნობა აპელანტის წარმომადგენელს. აღნიშნულის მიუხედავად, აპელანტი სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი, მესამე ნაწილებით, 229-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიიჩნია, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის მიხედვად, მოწინააღმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ მოუთხო-

ვია და საქმის განხილვის გადადებაზე უარი განაცხადა, შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. გ-შვილის წარმომადგენელმა ე. წ-ოვამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმევე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: ივ.გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნული იყო 2009 წლის 25 მარტს, თუმცა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარების დასტური არ გააჩნდა, ე.წ-ოვა დასთანხმდა, სხდომის 2009 წლის 1 აპრილს, 14 საათისათვის გადადებას. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა განუმარტა სასამართლოს, რომ პროცესზე უნდა ჩასულიყო ქ.თბილისიდან და მოითხოვა სხდომის 15 საათზე დანიშვნა, რაზეც სასამართლომ დაარწმუნა, რომ დაგვიანებისათვის მას პრობლემა არ შეექმნებოდა. სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეს იგი სხდომაზე გამოცხადდა 30 წუთის დაგვიანებით, ვინაიდან გზაში მწყობრიდან გამოვიდა სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც იგი მგზავრობდა. ე.წ-ოვამ სცადა ამის შესახებ ეცნობებინა სასამართლოსათვის და დარეკა მისი მარწმუნებლის ყოფილი წარმომადგენლისთვის გაგზავნილ განჩინებაში მითითებულ მოსამართლის თანაშემწის ტელეფონის ნომერზე, მაგრამ აღნიშნული ნომერი არასწორი აღმოჩნდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტი გულისხმობს, რომ სასამართლო უწყება სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს სასამართლოსთან დასაკავშირებლად ზუსტ და უტყუარ მონაცემებს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შესრულდა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დანიშნა 2009 წლის 1 აპრილს, 14.00 საათზე, რის შესახებ აპელანტის წარმომადგენელ ე.წ-ოვას კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ხელწერილი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო 2009 წლის 1 აპრილს, 14.25 საათზე და გაგრძელდა 14.45 საათამდე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს არც ი. გ-შვილი და არც მისი წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ უცნობებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-შვილის წარმომადგენელ ე.წ-ოვას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავ კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე იმ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 1 აპრილის სასამართლო სხდომაზე აპელანტი მხარე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი პალატას არ აცნობა, მოწინააღმდეგე მხარემ კი იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აბაშის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელთა ზემოხსენებული შუამდგომლობა საფუძვლიანია და ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი სწორად დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აპელანტის წარმომადგენელი ე. წ-ოვა საქმის განხილვისათვის დადგენილ დროს სასამართლოში საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, რადგან სასამართლომ ვერ უზრუნველყო თავისი საკონტაქტო მონაცემ-

ბის მხარისათვის მიწოდება და ე.წ-ოვამ ვერ შეატყობინა სააპელაციო პალატას ქ. თბილისიდან ქ. ქუთაისში მგზავრობისას სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში. ე.წ-ოვას ასეთი მიზეზის არსებობა, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სათანადოდ არ დაუსაბუთებია. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც კერძო საჩივარში დასახელებულ ფაქტებს (სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას, სასამართლოში გამოცხადებას, თუნდაც 30 წუთის დაგვიანებით) დაადასტურებდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-შვილის წარმომადგენელ ე. წ-ოვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სააპელაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პროცესზე გამოცხადების ხელშეშლელი გარემოება

განჩინება

#ას-570-878-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ქმედუწუნაროდ აღიარება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 27 ნოემბერს გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს კასპის მუნიციპალიტეტში განცხადებით მიმართეს ზ. და მ. ჩ-შვილებმა და მოითხოვეს ი. ჩ-შვილის ქმედუწუნაროდ აღიარება.

განმცხადებლები თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებენ იმით, რომ ი. ჩ-შვილი არის ავად, 1964 წლიდან იმყოფება ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე დიაგნოზით - ორგანული პიროვნული აშლილობა. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებში წერს საჩივრებს, ითხოვს გაუგებარ კომპენსაციას და ზიანის ანაზღაურებას, იმუქრება ფიზიკური განადგურებით, არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი.

კასპის მუნიციპალიტეტში გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. და მ. ჩ-შვილების განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილით, ქმედუწუნარიანობა არის სრულწლოვანი ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 22 იანვრის დასკვნით დადგენილი იყო, რომ ი. ჩ-შვილს შეუძლია, შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ი. ჩ-შვილს აღენიშნებოდა გარკვეული ფსიქიკური ნაკლი, ეს არ გამორიცხავდა მის მიერ თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების უნარის ქონას. იგი წარმოადგენდა ქმედუწუნარიან პირს და შესაბამისად, ზ. და მ. ჩ-შვილების მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. და მ. ჩ-შვილებმა და მოითხოვეს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

აპელანტებმა მიუთითეს, რომ მათ იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს მოპასუხე ი. ჩ-შვილის ქმედუწუნაროდ აღიარება, ვინაიდან იგი არის ავად, 1964 წლიდან იმყოფება ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით. ასევე არსებობს მისი ხელით დაწერილი განცხადება, სადაც აღიარებს ავადმყოფობას. ექსპერტის დასკვნის შეფასებასთან დაკავშირებით მათ მიმართეს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელმაც შეისწავლა წარდგენილი დასკვნა და მიიჩნია, რომ საჭიროა ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა გამოსაკვლევ კირის არაერთჯერადი ამბულატორიული გამოკვლევით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიმართეს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობით, თუმცა აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 აპრილის განჩინებით საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 23 აპრილს, 13.00 საათზე.

2009 წლის 23 აპრილს ზ. და მ. ჩ-შვილების წარმომადგენელმა მ. ჯ-მემ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება საქმის გადადების თხოვნით, იმ მოტივით, რომ იგი 2009 წლის 23 აპრილს მონაწილეობას ღებულობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულ სხდომაზე.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე ი. ჩ-შვილმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით მ. და ზ. ჩ-შვილების სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, თუ მოპასუხს არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მ. და ზ. ჩ-შვილებს და მათ წარმომადგენელს ეცნობათ სასამართლოს სხდომის დრო და ადგილი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლომ აპელანტების სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ მიიჩნია წარმომადგენლის მიერ საქმის განხილვის დღეს სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ იმავე დღეს იგი იმყოფებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. ჯ-მის მიერ წარდგენილი სასამართლო უწყება არ იყო დადასტურებული სასამართლოს უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, სასამართლოდან უწყების გაგზავნის დღედ მითითებული იყო 3 აპრილი, რომლის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ-მეს ჰქონდა შესაძლებლობა, აღნიშნული დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მხარეთა დროული ინფორმირება და პროცესის ორგანიზება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ზ. და მ. ჩ-შვილებმა (წარმომადგენელი მ. ჯ-მე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მათი დასწრება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან მათი წარმომადგენელი საქალაქო სასამართლოში ღებულობდა მონაწილეობას სასამართლო პროცესზე, რის თაობაზეც სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება და სხვა პროცესზე მონაწილეობის დამადასტურებელი სასამართლო უწყება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. და მ. ჩ-შვილების (წარმომადგენელი მ. ჯ-მე) კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის განჩინებით მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 23 აპრილს 13.00 საათზე. საქმის განხილვის დღეს აპელანტების წარმომადგენელმა მ. ჯ-მემ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა საქმის განხილვის გადადება იმ საფუძველით, რომ იმავე დღეს მონაწილეობას იღებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში სხვა საქმის განხილვაში. აღნიშნულის დასადასტურებლად წარმომადგენელმა განცხადებას თან დაურთო სასამართლო უწყება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებული ნორმების გამოყენებისას არსებითია იმის გარკვევა, აქვს თუ არა ადგილი დაუძლეველ ძალას ან სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ხელის შეშლელ გარემოებას, რაც გამორიცხავს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას (ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილით სარჩელის განუხილველად დატოვებას).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 აპრილის სხდომაზე აპელანტების გამოუცხადებლობის ხელის შეშლელი გარემოება, კერძოდ, მათი წარმომადგენლის მიერ წარდგენილია განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რასაც თან ერთვის სასამართლო უწყება, რომლითაც დასტურდება, რომ ეს უკანასკნელი იმავე დღეს მონაწილეობას იღებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში სხვა საქმის განხილვაში. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას აღნიშნული უწყების ნამდვილობის გაუზიარებლობის შესახებ. კერძო საჩივარს თან ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ ამ სასამართლოში იმავე 23 აპრილს, 13.00 საათზე, ნამდვილად იღებდა მონაწილეობას წარმომადგენელი მ. ჯ-მე სასამართლო სხდომაზე. ამდენად, ამ შემთხვევაში არსებობდა მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის ხელის შეშლელი გარემოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. და მ. ჩ-შვილების (წარმომადგენელი მ. ჯ-მე) კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

განჩინება

#ას-12-350-09

16 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. და ბ. კ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს "ბტა სილქროუდ ბანკის" მიმართ 43147 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 8 მაისის #176-რ ბრძანებით სს "ბტა სილქროუდ ბანკს" შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სს "ბითივი ბანკი".

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტების გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრეს მ. და ბ. კ-ძეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამავე სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და როგორც მ. და ბ. კ-ძეების შვილს, ასევე, აპელანტთა წარმომადგენლის - დ. ხ-ძის ოჯახის სრულწლოვან წევრ ი. ა-ძეს 2008 წლის 10 ნოემბერს ჩაბარდათ. დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე საჩივარი მხარემ საფოსტო განყოფილებას ჩააბარა 2008 წლის 21 ნოემბერს, ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე, 63-ე და 239-ე მუხლების შესაბამისად, საჩივარი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. და ბ. კ-ძეების წარმომადგენელმა დ. ხ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველზე: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2008 წლის 10 ნოემბერს ჩაბარდათ აპელანტების შვილსა და დ. ხ-ძის ოჯახის სრულწლოვან წევრ ი. ა-ძეს. ფაქტობრივად, მ. და ბ. კ-ძეებს ორი შვილი (ზ. და თ. კ-ძეები) ჰყავთ და არც ერთს სასამართლოს გზავნილი დღემდე არ ჩაბარებია. რაც შეეხება ი. ა-ძეს, იგი დ. ხ-ძის ოჯახის წევრი არ არის, არამედ მისი მეგობრის დაა, რომელსაც იურიდიული განათლება არ გააჩნია და მისთვის სასამართლო გზავნილის მიღების თარიღის დასმის მნიშვნელობა არ არის ცნობილი. ი. ა-ძემ გზავნილი ჩაიბარა 2008 წლის 15 ნოემბერს, არასამუშაო დღეს. ფოსტალიონმა მას განუმარტა, რომ გზავნილის ჩაბარების დღედ დააფიქსირებდა პირველივე სამუშაო დღეს, ორშაბათს - 2008 წლის 17 ნოემბერს, თუმცა გაუგებარი მიზეზების გამო გზავნილის ჩაბარების თარიღად მიეთითა წინა ორშაბათი - 2008 წლის 10 ნოემბერი. ი. ა-ძემ დ. ხ-ძეს სასამართლო გზავნილი 2008 წლის 15 ნოემბერსვე გადასცა და განუმარტა, რომ მისი ჩაბარების თარიღად დაფიქსირებული იქნებოდა 17 ნოემბერი, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორმა არ იჩქარა საჩივრის შეტანა და სადავო ვადა 2008 წლის 17 ნოემბრიდან აითვალა. ასევე საყურადღებოა, რომ სასამართლო გზავნილი გამოიგზავნა 2008 წლის 6 ნოემბერს, ქ. ქუთაისიდან, შესაბამისად, სამ დღეში იგი ქ. ბათუმში ი. ა-ძეს ვერ ჩააბარებოდა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 6 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეგზავნათ მ. ბ. კ-ძეებსა და მათ წარმომადგენელ დ. ხ-ძეს.

საქმეში წარმოდგენილი გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებით დგინდება, რომ 2008 წლის 10 ნოემბერს აპელანტების სახელით სასამართლო გზავნილი ჩაიბარა მათმა შვილმა თ. კ-ძემ, ხოლო დ. ხ-ძისათვის გადასაცემად 2008 წლის 10 ნოემბერსვე - მისი ოჯახის წევრმა ი. ა-ძემ.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი მ. და ბ. კ-ძეების წარმომადგენელმა დ. ხ-ძემ სასამართლოსათვის გასაგზავნათ საფოსტო განყოფილებაში ჩააბარა 2008 წლის 21 ნოემბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. და ბ. კ-ძეების წარმომადგენელ დ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარისათვის კანონით დადგენილი წესით მისი ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი კანონის მიერ და მისი ამოწურვის შემდეგ მხარე კარგავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საჩივრის ავტორებს სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდათ 2008 წლის 10 ნოემბერს, ხოლო საჩივარი მისი გაუქმების მოთხოვნით საფოსტო განყოფილებამ მიიღო 2008 წლის 21 ნოემბერს, საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც სააპელაციო პალატამ მ. და ბ. კ-ძეების სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სადავო სასამართლო გზავნილი მ. და ბ. კ-ძეების შვილს არ ჩაბარებია. კერძო საჩივრით დ. ხ-ძე ადასტურებს, რომ აპელანტთა შვილებს ჰქვიათ ზ. და თ. კ-ძეები, შესაბამისად, სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს საქმეში წარმოდგენილი გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე შესრულებული წარწერა, რომ სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა ადრესატთა შვილს, თ. კ-ძეს. ამ გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება მხარეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოუდგენია.

ასევე ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ დ. ხ-ძისათვის სადავო სასამართლო გზავნილის ჩაბარებად მიჩნეულ უნდა ყოფილიყო 2008 წლის 17 ნოემბერი, ვინაიდან გზავნილის მიმღებმა, მისი მეგობრის დამ - ი. ა-ძემ განუმარტა, რომ გზავნილის მომტანი ფოსტალიონი დაჰპირდა, სასამართლო გზავნილის ჩაბარების თარიღად არასამუშაო დღის - 2008 წლის 15 ნოემბრის ნაცვლად მომდევნო სამუშაო დღე - 17 ნოემბერი მიეთითებინა, თუმცა შეცდომით დააფიქსირა 2008 წლის 10 ნოემბერი, წინა კვირის ორშაბათი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა კანონმდებელი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის ვადის ათვლის წერტილად მიიჩნევს იმ დღეს, როდესაც მხარეს ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და ასეთის დასადასტურებლად სარწმუნოდ მიიჩნევს სასამართლო გზავნილის ჩაბარებას მხარისათვის პირადად ან კანონით დადგენილ პირთა წრისათვის უშუალოდ ან ფოსტისა თუ სხვა საშუალებების მეშვეობით (სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები).

განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებით, გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ დ. ხ-ძის ნაცვლად სასამართლო გზავნილი 2008 წლის 10 ნოემბერს ჩაიბარა მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ი. ა-ძემ და მარტოოდენ კერძო საჩივრის ავტორის განმარტება დასახელებული გარემოების გაუზიარებლობის საფუძველი ვერ გახდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო უწყებისა თუ გზავნილის მხარისათვის არასამუშაო დღეს ჩაბარებას არ კრძალავს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. და ბ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გასაჩივრების ვადა**

განჩინება

#ას-38-373-09

26 თებერვალი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: 1999 წლის 10 აგვისტოს #8/7 დადგენილების გაუმეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 21 ივნისს მარნეულის რაიონულ სასამართლოს საჩივრით მიმართა რუსთავის საგადასახადო ინსპექციამ და მოითხოვა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

მარნეულის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორს გაშვებული ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, რადგან მარნეულის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საგადასახადო სამსახურს ჩაბარდა 2000 წლის 17 თებერვალს.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურ ცენტრს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული იქნა სააპელაციო საჩივრით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურ ცენტრის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება, რომ მარნეულის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კოოპერატივ „მიწის ძახილის“ თავმჯდომარის ჯ. ა-იანის სარჩელი.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 21 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის საგადასახადო ინსპექციამ საჩივრით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ საჩივრის ავტორის მიერ გაშვებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საპროცესო ვადის გაშვება წარმოადგენს საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს და არა უსაფუძვლოების გამო დაუკმაყოფილებლობის საფუძველს.

სამოქალაქო პალატა თვლის, რომ მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის განჩინება უნდა გაუქმდეს და საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი მისი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) უფროსმა ლ. ჭ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრს არ ჩაჰბარებია არც სასამართლო უწყება საქმის განხილვის დროისა და განხილვაში მონაწილეობის თაობაზე და არც სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მას არ მისცემია არც პოზიციის დაფიქსირების საშუალება და არც გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დაცვის საშუალება.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას აღნიშნული არგუმენტაცია არ იქნა გათვალისწინებული. სასამართლოს მხრიდან არასათანადოდ იქნა გამოკვლეული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსპექციისათვის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. სადავო განჩინებაში მითითებულია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება საგადასახადო ორგანოს ჩაბარდა 2000 წლის 16 თებერვალს, რაც დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოს კანცე-

ლარიის ჟურნალში, კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებული არ არის დოკუმენტის სახეობა და ნომერი, რაც დასაწყისშივე გამორიცხავს დოკუმენტის იდენტიფიცირების საშუალებას.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურ ცენტრს მარნეულის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2000 წლის 17 თებერვალს შესაბამისად გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 17 თებერვალს და ამოიწურა 27 თებერვალს, რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ საჩივარი წარდგენილი იქნა 2007 წლის 21 ივნისს კანონით გათვალისწინებული ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაბარებია არც სასამართლო უწყება და არც სასამართლოს მიერ 2000 წლის 11 თებერვალს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო საქმეში არსებული წერილით კი დასტურდება, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურ ცენტრს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2000 წლის 17 თებერვალს და გასაჩივრებული იქნა 2007 წლის 21 ივნისს. შესაბამისად მის მიერ გაშვებულ იქნა კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციოს სასამართლოს დასკვნას, რომ საპროცესო ვადის გაშვება წარმოადგენს საჩივრის განუხილველად დატოვების და არა უსაფუძვლოების გამო დაუკმაყოფილებლობის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 237-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გასაჩივრების ვადა**

განჩინება

#ას-171-499-09

2 აპრილი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა კ. გ-იამ მოპასუხეების ფ. რ-ოვას, ლ. და გ. ლ-შვილების მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ბინის გამოთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით კ. გ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ფ. რ-ოვამ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დანიშნული იყო 2008 წლის 16 ოქტომბერს 15.30 საათზე, არ გამოცხადდა ფ. რ-ოვა. აპელანტი სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის -მ. ს-შვილის მიერ აღნიშნულ სხდომაზე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტ ფ. რ-ოვას სახელით გაასაჩივრა მისმა წარმომადგენელმა -გ. კ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით ფ. რ-ოვას საჩივარი დარჩა განუხილველი.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა აპელანტ ფ. რ-ოვას წარმომადგენლის -დ. გ-ავას მეუღლეს -მ. გ-ავას სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე 2008 წლის 03 ნოემბერს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, გზავნილის ადრესატის ოჯახის სრულწლოვან წევრზე გაცემა ითვლება ადრესატზე ჩაბარებად, ამდენად 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ფ. რ-ოვას წარმომადგენელ -დ. გ-ავაზე ჩაბარებულად ითვლება 2008 წლის 3 ნოემბრიდან და სწორედ ამ დროიდან უნდა იქნეს იგი მიჩნეული აპელანტ ფ. რ-ოვაზე ჩაბარებულადაც, რადგან გზავნილი მხარეზე ან მის წარმომადგენელზე ჩაბარებულად ითვლება ერთ-ერთი მათგანის მიერ მიღების შემთხვევაში;

დადგენილია, რომ 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარდგენილია 2009 წლის 20 იანვარს.

პალატის განმარტებით, აპელანტ ფ. რ-ოვას ჰქონდა შესაძლებლობა, 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა მისი ჩაბარებიდან -2008 წლის 3 ნოემბრიდან 10 დღის ვადაში -2008 წლის 14 ნოემბრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი, როგორც დაგვიანებით წარდგენილი, წარმოადგენს დაუშვებელს, რის გამოც უნდა დარჩეს განუხილველი.

აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ფ. რ-ოვას წარმომადგენელმა გ. კ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, მათ მიმართეს ბატონ გ-ავას, რომელმაც წერილობით განაცხადა, რომ არც მას და არც მის მეუღლეს არ ჩაჰბარებია არავითარი გადაწყვეტილება რ-ოვას საქმეზე, მან ასევე განაცხადა, რომ იგი აღარ არის ფ.რ-ოვას წარმომადგენელი 2008 წლის 21 ოქტომბრიდან.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში და გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე მისი მარწმუნებლისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2009 წლის 9 იანვარს, როცა გადაეცა საქმის მასალები.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, რადგან ფ. რ-ოვა 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მძიმედ ავადმყოფობდა და ინტენსიურად მიმართავდა სამკურნალო დაწესებულებას, რაც დასტურდება საქმეში წარ-

მოდგენილი სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პოლიკლინიკის მიერ გაცემული ცნობით. ავადმყოფობის გამო 2008 წლის 16 ოქტომბრის სხდომის გადადების მოთხოვნით სასამართლოში შემოვიდა რ-ოვას მაშინდელი ადვოკატის დ. გ-ავას განცხადებაც.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფ. რ-ოვა ვერ ფლობს სა-მართალწარმოების ენას.

კერძო საჩივრის ავტორმა მოთხოვა 2009 წლის 26 იანვრის განჩინების გააუქმება და 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით ფ. რ-ოვას საჩივარი დარჩა განუხილველი. უცვლელად იქნა დატოვებული ამავე პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში 2008 წლის 3 ნოემბერს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ფ. რ-ოვას წარმომადგენლის -დ. გ-ავას მეუღლეს -მ. გ-ავას სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე. ამდენად, მითითებული ნორმის შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 3 ნოემბერს და ამოიწურა 14 ნოემბერს. ფ. რ-ოვამ კი საჩივარი შეიტანა 2009 წლის 20 იანვარს, კანონით გათვალისწინებული ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გზავნილის ადრესატის ოჯახის სრულწლოვან წევრზე გადაცემა ითვლება ადრესატზე ჩაბარებად, ამდენად 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ფ. რ-ოვას წარმომადგენელზე -დ. გ-ავაზე ჩაბარებულად ითვლება 2008 წლის 3 ნოემბრიდან და სწორედ ამ დროიდან უნდა იქნეს იგი მიჩნეული აპელანტ ფ. რ-ოვაზე ჩაბარებულადაც, რადგან გზავნილი მხარეზე ან მის წარმომადგენელზე ჩაბარებულად ითვლება ერთ-ერთი მათგანის მიერ მიღების შემთხვევაში;

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ არც დ. გ-ავას და არც მის მეუღლეს არ ჩაბარებია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ 2008 წლის 21 ოქტომბრიდან დ. გ-ავა აღარ იყო ფ. რ-ოვას წარმომადგენელი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მისთვის არ იყო ცნობილი აღნიშნულის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეიტანა საჩივარი, შესაბამისად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ფ. რ-ოვას საჩივრის დაუსაბუთებლობის შესახებ და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ფ. რ-ოვას წარმომადგენლის გ. კ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების
გასაჩივრების ვადა**

განჩინება

#ას-196-523-09

13 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. მ-შვილის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის -3400 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოპასუხე არის მოსარჩელის მაზლი, რომელმაც სოფელ ატენში მდებარე თ. მ-მის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აჩეხა მრავალწლიანი ვაზი, მოხსნა და მიითვისა რკინის მილებისაგან შემდგარი ტალავერი, ჩამოუხსნა ჭიშკარი და მოანგრია ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლის კედელი, რითაც მიაყენა ზიანი. აღნიშნულ ფაქტზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა შეწყდა ამნისტიის გამო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სარჩელში დასახლებული გარემოებები უსაფუძვლოა, ხოლო თ.მ-მემ ვერ დაადასტურა, თუ რა ოდენობის ზიანი მიადგა რ. მ-შვილის ქმედებების შედეგად.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და, თავდაპირველ სარჩელში მითითებული თანხის გარდა, დამატებით მოითხოვა ვაზის გაჩეხვით მიუღებელი შემოსავლის -3000 ლარის, სულ 6273 ლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განჩინებით თ. მ-მის სააპელაციო საჩივარი 3273 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო მიუღებელი შემოსავლის -3000 ლარის მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოში უკანონოდ გაზარდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის ნაწილში თ. მ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის სრულად დასაშვებად ცნობა იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მას ადვოკატი არ ჰყავდა, შესაბამისად, მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ ვაზის განადგურების გამო მიუღებელი მოსავლის ღირებულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდა. აღნიშნული გარემოების ცოდნის შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი არ დაკარგავდა საკმაოდ სოლიდური თანხის -3000 ლარის მიღების შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგე მხარის მიერ თ.მ-მის სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის გამო, თ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და რ. მ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3273 ლარის ანაზღაურება, რაც გაასაჩივრა რ.მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით რ. მ-შვილის საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რ. მ-შვილის მეუღლე მედიკო პატიეშვილს ჩაბარდა 2009 წლის 30 იანვარს, ხოლო საჩივარი მხარემ შეიტანა ამავე წლის 11 თებერვალს, რა დროსაც მან დაარღვია ზემოხსენებული კოდექსის 237-ე მუხლით იმპერატიულად განსაზღვრული საჩივრის შეტანის 10-დღიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებაზე რ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა მტკიცებულებები, რომელთაც გასაჩივრებული განჩინება დააფუძნა, კერძოდ, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რ.მ-შვილის მეუღლეს სასამართლოს გზავნილი 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად ჩაბარდა 2009 წლის არა 30 იანვარს, არამედ 3 თებერვალს, ხოლო შპს "სკს-ს"

ფოსტის თანამშრომელ ვ. გ-იას ხელმოწერილ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე განსხვავებული ფერის კალმით 3 თებერვალი გადასწორებულია 30 იანვრად, კერძოდ, "3-იანს" მიწერილი აქვს "0", თვის აღრიცხვის ადგილას კი "01" გადასწორებულია "02-ად". ანალოგიური წესით გადასწორებული იყო ამავე თანამშრომლის მიერ შედგენილი შეტყობინება მხარისათვის თ.მ-ძის სააპელაციო საჩივრის ჩაბარების თაობაზე, რაც ექვს იწვევს ფოსტის მუშაკთა მიუკერძოებლობაში. რ.მ-შვილმა შპს "სკს-სათვის" მიმართვის შედეგად მიიღო ზეპირი განმარტება, რომ საზოგადოების აღრიცხვის ჟურნალში მისთვის სადავო სასამართლო გზავნილის თარიღად მითითებულია 2009 წლის 3 თებერვალი, თუმცა აღნიშნული გარემოების წერილობითი დადასტურებისათვის საჭირო იყო სასამართლოს მიმართვა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა რ. მ-შვილს.

შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი ჩაბარდა ადრესატის მეუღლე მედიკო პატიეშვილს, ხოლო ჩაბარების რიცხვად მითითებულია "30", თვის შევსების ადგილას კი "02" გადასწორებულია "01-ად".

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე რ.მ-შვილმა საჩივარი შეიტანა 2009 წლის 11 თებერვალს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. მ-ძის კერძო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, ხოლო რ. მ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩააბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარისათვის კანონით დადგენილი წესით მისი ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი კანონის მიერ და მისი ამოწურვის შემდეგ მხარე კარგავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის მითითებას, რომ სააპელაციო პალატამ რ.მ-შვილის საჩივრის შეტანის ვადის ათვლისას არ გაითვალისწინა, რომ საფოსტო შეტყობინების ბარათზე დაფიქსირებული ადრესატის ოჯახის წევრისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების თარიღი გადასწორებულია, კერძოდ, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს თარიღის თვის გრაფაში "02-ის" "01-ად" გადასწორების კვალი. აღნიშნული გარემოება ექვს ბადებს ზემოხსენებული ბარათის შედგენისა და მონაცემთა სისწორეში, რაც სააპელაციო პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 21 იანვრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე რ.მ-შვილის საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შემოწმებისას სათანადოდ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათები და იმსჯელოს მათი შედგენისა და მონაცემთა სარწმუნოობაზე, ასევე განსაზღვროს, თუ რა დროიდან უნდა აითვალოს სადავო დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა და როდის უნდა ჩაითვალოს იგი ამოწურულად.

რაც შეეხება თ. მ-ძის კერძო საჩივარს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. მითითებული სპეციალური ნორმით კანონმდებელი სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს და ზღუდავს მხარეთა უფლებას, სააპელაციო სასამართლოში გაზარდონ ან შეცვალონ სარჩელის საგანი, ასევე შეიტანონ შეგებებული სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ თ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა რ.მ-შვილისათვის 3400 ლარის დაკისრება, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით მხარემ მოითხოვა მოპასუხისათვის 6273 ლარის გადახდევინება, ამდენად, თ.მ-ძემ სააპელაციო ინსტანციაში თავისი სასარჩელო მოთხოვნა გაზარდა, რაც, ზემოხსენებული ნორმის მიხედვით, დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება თ. მ-ძის არგუმენტი, რომ სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვისას მისთვის ცნობილი არ იყო მოპასუხისაგან მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის შესაძლებლობის არსებობის თაობაზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. ამდენად, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, თ. მ-ძის ზემოხსენებული მითითება გავლენას ვერ მოახდენს სააპელაციო პალატის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის გამოყენებასა და რ. მ-შვილისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 3000 ლარის დაკისრების ნაწილში თ. მ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- თ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
- რ. მ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს რ. მ-შვილის საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. უსწორობის გასწორება

განჩინებაში უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-7-346-09

26 თებერვალი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ფ-იანის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ფ-იანმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამავე პალატის 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინებით გასწორდა 2009 წლი 3 დეკემბრის განჩინების შესავალ და სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უზუსტობა და ნაცვლად მოასამართლე თ. ა-ძისა მიეთითა მოსამართლე ს. ჩ-ძე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ფ-იანმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით იგი კატეგორიულად არ იზიარებს იმ აზრს, რომ საპროცესო კოდექსის ნორმაში მითითებულ ტერმინ „უსწორობაში“ იგულისხმებოდეს ერთი მოსამართლის მეორე მოსამართლით შეცვლა. ნორმის განმარტებაში ნათქვამია: „დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრს და შინაარსს. დასაშვებია მხოლოდ ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, როგორცაა,

მაგალითად, მხარეთა გვარი, სახელი, მამის სახელი, თუ მხარე იურიდიული პირია - მისი სახელწოდების აღნიშვნა ისე, როგორც ეს ამ იურიდიული პირის წესდებაშია და ა.შ."

კერძო საჩივრის ავტორის აზრით მოცემულ შემთხვევაში ადილი აქვს არა შესწორებასა და დაზუსტებას, არამედ იმ გარემოების გაქარწყლება-მიჩქმალვასთან, რაც თანახმად სსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა, აბსოლუტური საფუძველია გადაწყვეტილების გაუქმებისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინებით გასწორდა 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინების შესავალ და სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უზუსტობა და ნაცვლად მოსამართლე თ. ა-ძისა მიეთითა მოსამართლე ს. ჩ-ძეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალები სრულიად ცხადყოფს (2009 წლის 3 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმი) მოცემულ საქმეზე მოსამართლე ს. ჩ-ძის მონაწილეობას, ამდენად სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორებით არ მომხდარა განჩინების შინაარსისა და აზრის შეცვლა, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ არ დარღვეულა ზემოთმითითებული საპროცესო ნორმით დადგენილი დანაწესი. ამდენად კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ფ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-343-662-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება

აღწერილობითი ნაწილი:

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. და ქ. გ-შვილების სარჩელი დედოფლისწყაროს რაიონის ნოტარიუსის მიერ 1998 წლის 30 სექტემბერს მ. ი-შვილის სახელზე გაცემული გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების, კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობათა გაუქმებისა და

საცხოვრებელი სახლის კომლის საერთო საკუთრებაში დატოვების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, დაკმაყოფილდა ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ი-შვილის სახელზე აღრიცხვისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სესხის დაფარვის მიზნით, მისი აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. და ქ. გ-შვილებმა და მ. ი-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით მ. ი-შვილის, ვ. და ქ. გ-შვილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების, ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურებისათვის შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის დავალებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილების მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები) გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ი-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ა. ა-ძის სასარგებლოდ მ. ი-შვილის სახელზე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დაკისრებული თანხის -40 000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარის გადასახდელად დადგინდა სადავო სახლის აუქციონზე რეალიზაცია, დეველა საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სააგენტო სამსახურს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში და 2008 წლის 8 ოქტომბერს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით ა. ა-ძის წარმომადგენელ ლ. ჯ-იას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის შესწორების შესახებ, კერძოდ, გადაწყვეტილების მესამე პუნქტში "გარდაბნის რაიონის, სოფელი ...-ის" ნაცვლად "თბილისი, სოფელი ...-ის" მითითების თაობაზე, დაკმაყოფილდა, გასწორდა მითითებული გადაწყვეტილების მესამე პუნქტში დაშვებული უსწორობა და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

"ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და მ. ი-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს თბილისის დასახლება (სოფელი) ... მდებარე საცხოვრებელი სახლი; თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ა-ძის სასარგებლოდ მ. ი-შვილის სახელზე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დაკისრებული თანხის -40 000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარის გადასახდელად განხორციელდეს მისი აუქციონზე რეალიზაცია".

აღნიშნული განჩინება კერძოდ საჩივრით გაასაჩივრა მ. ი-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ, ვინაიდან მოსარჩელე მოითხოვდა გარდაბნის რაიონში მდებარე სახლს, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გამოეტანა გადაწყვეტილება თბილისის დასახლებაში არსებულ სახლთან დაკავშირებით, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ მ. ი-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ა. ა-ძის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ი-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში მდებარე საცხოვრებელი სახლი; ა. ა-ძის სასარგებლოდ მ. ი-შვილის სახელზე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დაკისრებული თანხის -40 000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარის გადასახდელად დადგინდა მისი აუქციონზე რეალიზაცია;

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას მასზედ, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, ვინაიდან დადგენილია, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა გარდაბნის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე სახლი; ასევე დადგენილია, რომ საქმის განხილვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ, ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის #1-6 გადაწყვეტილების თანახმად, სოფელი ... მოქცეულ იქნა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შემავალ დასახლებად, რომლის სახელწოდებაც განისაზღვრა შემდეგნაირად: თბილისის დასახლება (სოფელი) ..., რაც გახდა მიზეზი გადაწყვეტილებაში უსწორობის დაშვებისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

მითითებული მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, დაუშვებელია მხოლოდ გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის მის აზრსა და შინაარსს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა განცხადება გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულით გადაწყვეტილების შინაარსი არ შეცვლილა და, შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ი-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-749-1046-09

14 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. პ-იასა და ნ. ც-ანის მიმართ ლ.პ-იასათვის მორალური ზიანის -1000 ლარისა და მატერიალური ზიანის -1600 აშშ დოლარის ანაზღაურების, ხოლო ნ. ც-ანისათვის მორალური ზიანის -5000 ლარის დაკისრების შესახებ.

მოპასუხე ნ. ც-ანმა სარჩელი არ ცნო.

საქმის განხილვისას, 2007 წლის 14 სექტემბერს, მოპასუხე ლ. პ-ია გარდაიცვალა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით მ. მ-მის მოთხოვნა ლ. პ-იას უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდა და ლ. პ-იას მიმართ შეწყდა საქმის წარმოება სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო. ამავე სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით მ.მ-მის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ლ. პ-იას კუთვნილი ზიანის დაყადაღების შესახებ, დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუსვებლობის -სა-

დავო ბინის ლ. პ-იასათვის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო, ხოლო 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ძის სარჩელი ნ. ც-ანის მიმართ მორალური ზიანის -5000 ლარის ანაზღაურების დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებაზე მ. მ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, ხოლო 17 თებერვლის განჩინება გაასაჩივრა საჩივრით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინებით მ. მ-ძის საჩივარს უარი ეთქვა, ამავე თარიღის განჩინებით კი მისი კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და ლ. პ-იას უფლებამონაცვლის დადგენის სტადიიდან არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 მაისის განჩინებით საქმეში ლ. პ-იას უფლებამონაცვლედ ჩაება ვ. გ-ია.

მ. მ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 მარტის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება, ასევე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით მ. მ-ძის განცხადება უსწორობის გასწორებაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -2009 წლის 27 მარტის განჩინების აღწერილობითი ნაწილის მეორე აბზაცის მეორე წინადადება გასწორდა შემდეგნაირად: "ლ. პ-იასაგან მოსარჩელე ითხოვდა მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 1600 აშშ დოლარის ოდენობით და მორალური ზიანის ანაზღაურებას 1000 ლარის ოდენობით", ასევე განჩინების აღწერილობითი ნაწილის მესამე გვერდის მეორე აბზაცის პირველ წინადადებაში "ლ. პ-იას" ნაცვლად, მიეთითა "მ. მ-ძე", დანარჩენ ნაწილში განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და ნაწილობრივ გაიზიარა მ. მ-ძის მოთხოვნა უსწორობის გასწორების შესახებ. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მ.მ-ძის პრეტენზია 2009 წლის 27 მარტის განჩინების მეორე გვერდის მეორე აბზაცთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ აღნიშნულ აბზაცში ასახული ფაქტობრივი გარემოებები აღწერილია მ. მ-ძის სარჩელისა და მის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების მიხედვით და არა მხოლოდ პროცესზე მიცემული განმარტებების შესაბამისად. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ განჩინების აღწერილობითი ნაწილის მეორე გვერდის მეორე აბზაცი, ლ. პ-იას მიმართ მ. მ-ძის მოთხოვნის ოდენობის გარდა, უსწორობებს არ შეიცავს და მათი შესწორების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. პალატამ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება, რომ განჩინებაში არასწორად დაფიქსირდა, თითქოს "პირველი ინსტანციის სასამართლოში, სარჩელის განხილვისას გარდაიცვალა მოპასუხე ლ. პ-ია". საქმის მასალებით სასამართლომ დაადგინა, რომ თავდაპირველად მ. მ-ძემ სასამართლოში სარჩელი აღძრა 2006 წლის 10 აგვისტოს მოპასუხე ლ. პ-იასა და ნ. ც-ანის მიმართ. მოსარჩელის განმარტებითვე დგინდება, რომ იმ დროისათვის ლ. პ-ია ცოცხალი იყო, წარმოადგენდა პირველი ჯგუფის ინვალიდს და ცხოვრობდა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ-ძის სარჩელისა და სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გარდაიცვალა მოპასუხე ლ. პ-ია, რომლის უფლებამონაცვლის დადგენასაც მ. მ-ძე ითხოვდა. რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას, ლ. პ-იას უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით, საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნულზე როგორც ზუგდიდის რაიონულმა, ისე სააპელაციო სასამართლოებმა ერთხელ უკვე იმსჯელეს, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, თუკი საქმის ხელახალი განხილვისას უფლებამონაცვლის დასადგენად ახალი მტკიცებულებების მოპოვება გახდება საჭირო, ამაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სააპელაციო პალატის მიერ განმეორებით ვეღარ იქნება განხილული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით მ. მ-ძის განცხადება ლ. პ-იას ბინაზე ყადაღის დადების შესახებ დარჩა განუხილველად, რადგან განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის მონაცემებით სადავო ბინა საკუთრების უფლებით აღირიცხებოდა ფ. ს-იას სახელზე. სააპელაციო პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინებით აღნიშნული განჩინება დარჩა უცვლელად. მ. მ-ძემ განცხადებით მოითხოვა მითითებულ საკითხზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არ შეაფასა მ. მ-ძის

მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება -სისხლის სამართლის საქმეზე მოწმე ფ. ს-ის დაკითხვის ოქმი, სადაც ფ. ს-ია ადასტურებს, რომ მან ბინა მიჰყიდა ლ. პ-ის, მაგრამ, ავადმყოფობის გამო ბინა ვერ გადააფორმა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" პუნქტით, 102-ე მუხლით, მიუთითა უძრავ ნივთზე საკუთრების დადგენის წესის თავისებურებებზე და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მ. მ-ძის საჩივრის არსებითი განხილვისას ამომწურავად იმსჯელა და სათანადოდ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებანი, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეზე ფ. ს-ის დაკითხვის ოქმი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განჩინებებზე მ. მ-მემ შეიტანა კერძო საჩივრები და მოითხოვა მათი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილი, როდესაც დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მართლზომიერებაზე მსჯელობისას არ გამოიყენა ამავე კოდექსის 191-ე მუხლის მეორე ნაწილი. დასახელებული ნორმა ავალებს მხარეს, წარადგინოს დასაყვადებელი ქონების მოპასუხისათვის კუთვნილების დამადასტურებელი მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მ. მ-ძის მიერ წარდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე ფ. ს-ის დაკითხვის ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ დასაყვადებელი ბინა ლ. პ-ის ეკუთვნის. ამდენად, მ. მ-მემ არსებული ხარვეზი გამოსწორა და მისი განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის სახით ლ. პ-ის ბინის დაყვადების შესახებ უკანონოდ დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით მ.მ-ძეს არასწორად ეთქვა უარი 2009 წლის 27 მარტის განჩინების მეორე გვერდზე მითითებული მცდარი ინფორმაციის გასწორებაზე იმ საფუძველით, რომ განჩინებაში ასახული მონაცემები ეფუძნებოდა მ. მ-ძის სარჩელსა და განმარტებებს. ფაქტობრივად, მხარე თავის სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა არა იმ გარემოებებს, რაზეც სასამართლომ მიუთითა, კერძოდ, რომ ლ. პ-ია ჰპირდებოდა მ. მ-ძეს ანდერძით ბინის გადაცემას, რაზე უარის თქმისასაც ეს უკანასკნელი განაწყენდა, ხოლო ნ. ც-ანს მორალური ზიანი უნდა აენაზღაურებინა, რადგან არასწორად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და საქმე განუხილველად დატოვა, არამედ მხარის მოთხოვნა ეფუძნებოდა იმას, რომ მოსამართლე ნ. ც-ანმა გააყალბა სხდომის ოქმები და დასაბუთებულად ჩათვალა მ. მ-ძის მიერ ლ. პ-ის ქონების ქურდობისა და თაღლითობის ფაქტები, რასაც შედეგად მ. მ-ძის უკანონო პატიმრობა მოჰყვა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა შეგნებულად გააყალბეს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი მათი ნ.ც-ანის ინტერესების დასაცავად, რითაც შელახეს მ.მ-ძის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განიმარტოს, ლ. პ-ის უფლებამონაცვლის დასადგენად საჭირო მტკიცებულებების გამოთხოვაზე მ. მ-ძეს უარი ეთქვა დამატებითი მტკიცებულების გამოთხოვის აუცილებლობის არარსებობის გამო, თუ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით სხვა რამ მტკიცდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა. დასახელებული ნორმით კანონმდებელი განსაზღვრავს იმ სამართლებრივ წინაპირობას, რომლის არსებობისასაც სასამართლო უფლებამოსილია, ძირითადი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება, კერძოდ, აღნიშნული დასაშვებია მაშინ, როდესაც სასამართლოს მხარის ამა თუ იმ მოთხოვნის კანონიერებაზე, საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია. ამდენად, დამატებითი გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ მხარის მხოლოდ მოთხოვნის, და არა რაიმე მტკიცებულების, შეუფასებლობის გამო. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო არ აფასებს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, პროცესში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ, გაასაჩივრონ გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში მ. მ-ძე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მ. მ-ძის განცხადებაზე მსჯელობისას არ შეუფასებია მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა და შს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს განყოფილებაში ფ.ს-ის დაკითხვის ოქმი. დასახელებული მტკიცებულებანი მხარემ სასამართლოს წარუდგინა იმისათვის, რომ დაესაბუ-

თებინა მისი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა არ არის საქმის არსებითი განხილვა და მასზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა არ დაიშვება. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობაა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების სათანადო წესით დადასტურება. სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ შეაფასა მ. მ-ძის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები -საჯარო რეესტრის ამონაწერი სადავო ბინის ფ. ს-იას სახელზე აღრიცხვის შესახებ და სისხლის სამართლის საქმეზე ფ. ს-იას დაკითხვის ოქმი, როდესაც აღნიშნული დოკუმენტები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სახით ულ. პ-იას ბინაზე ყადაღის დადების საკმარის საფუძველად არ ჩათვალია და მ. მ-ძის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის 2009 წლის 16 ივნისის გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი წანამდღვრები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განჩინება უსწორობის გასწორების შესახებ მ. მ-ძის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე და კერძო საჩივრის ავტორს დასახელებული განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში განჩინების გაუქმების კანონიერ საფუძველზე არ მიუთითებია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. კანონმდებელი ითვალისწინებს რა სამართალწარმოების პროცესში საპროცესო დოკუმენტების შედგენისას გარკვეული ხარვეზების არსებობას, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით გამოასწოროს გადაწყვეტილებაში არსებული შეცდომები, თუმცა აღნიშნული ნორმის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ აღმოიფხვრას ისეთი უსწორობანი, რომელთაც შეუძლიათ უარსებითად იმოქმედონ საქმის გადაწყვეტისა თუ ცალკეული საპროცესო მოქმედებების სწორად შესრულების სამართლებრივ შედეგზე.

განსახილველ შემთხვევაში მ. მ-ძემ მოითხოვა მისი კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინების მეორე გვერდის მეორე აბზაცში დაშვებული უსწორობის გასწორება. სადავო აბზაცში სასამართლო აღწერს მ. მ-ძის სასარჩელო განცხადების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. მ-ძის მოთხოვნა არ შეესაბამება ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრულ უსწორობის გასწორების სამართლებრივ პრინციპს, რადგან მხარეს არ მიუთითებია სასამართლოს მიერ დაშვებულ ისეთ უსწორობაზე, რომელიც შემდგომში საქმის განხილვის შედეგზე გავლენას მოახდენდა.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კერძო საჩივრის მოთხოვნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოების განმარტების შესახებ, თუ რას გულისხმობდა სასამართლო, როდესაც არ დააკმაყოფილა მ. მ-ძის შუამდგომლობა ულ. პ-იას უფლებამონაცვლის დასადგენად საჭირო მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე, კერძოდ, მხარის მოთხოვნაზე უარი გამოწვეული იყო თუ არა დამატებითი მტკიცებულების გამოთხოვის აუცილებლობის არარსებობით, თუ აღნიშნულით სხვა რამ მტკიცდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. მ-ძის განსახილველი კერძო საჩივრებით გასაჩივრებულია სააპელაციო პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინება ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 მარტის განჩინებაში უსწორობის გასწორებაზე მ. მ-ძის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და სააპელაციო პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინება დამატებითი გადაწყვეტილების მიღებაზე მ. მ-ძისათვის უარის თქმის შესახებ. არც ერთი გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ ეხება ულ. პ-იას უფლებამონაცვლის დადგენისათვის საჭირო მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე მ. მ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკითხს, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო განჩინების განმარტების სამართლებრივ საფუძველზე მხარეს არ მიუთითებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-მის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინებები დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

#ას-326-646-09 25 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

პალატამ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, თავისი ინიციატივით განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის #ას-326-646-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განჩინებით მ. ა-მის განცხადება საკასაციო პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებაში შესწორების შეტანისა და დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

საკასაციო პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, შეცდომით მითითებულია თარიღები 2009 წლის 26 თებერვალი და 2009 წლის 26 ივნისი.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვები "26 თებერვალი" და "2009 წლის 26 ივნისი" უნდა შეიცვალოს სიტყვებით "2009 წლის 25 ივნისი".

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის #ას-326-646-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვები "26 თებერვალი" და "2009 წლის 26 ივნისი" შეიცვალოს სიტყვებით "2009 წლის 25 ივნისი".

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება სააღსრულებო ფურცელში

განჩინება

#ას-1075-1342-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით თანხის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ლ-ავამ მოპასუხეების -ჯ. კ-ძისა და ა. მ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეების თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, ქუთაისში, ... გამზირის #24/36-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ა. მ-შვილის კუთვნილი წილიდან მის მიმართ არსებული ვალის ანაზღაურება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოპასუხეები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ა. მ-შვილს აქვს ა. ლ-ავას ვალი 15 090 აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა მითითებული თანხის ა. მ-შვილისათვის დაკისრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა, ვინაიდან ქუთაისში, ... გამზირის #24/35-ში მდებარე ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში მითითებულია მხოლოდ ა. მ-შვილი. ნიშანდობლივია, რომ ბინის გაყიდვისას, ნასყიდობის ხელშეკრულების დანართის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯ. კ-ძემ თავისი განცხადებით თანხმობა მისცა მეუღლე ა. მ-შვილს საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე. ამდენად, 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსის, ასევე სამოქალაქო კოდექსის 1169-ე მუხლის, 1170-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე ა. ლ-ავას მიმართ არსებული ვალი უნდა დაიფაროს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა. მ-შვილის კუთვნილი წილიდან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ა. ლ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა, რომ ა. მ-შვილის ვალის -15 090 აშშ დოლარის გადახდა მომხდარიყო ჯ. კ-ძის კუთვნილ, ქუთაისში, ... გამზირის #24/36-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ა. მ-შვილის 1/2-დან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. კ-ძემ და ა. მ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. მ-შვილისა და ჯ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ლ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ა. ლ-ავას მიმართ ა. მ-შვილის ვალის -15 090 აშშ დოლარის ანაზღაურება დადგინდა ჯ. კ-ძის სახელზე რიცხული, ქუთაისში, ... გამზირის #24/36-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ა. მ-შვილის 1/4-დან.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ 1966 წლის 13 იანვრიდან ჯ. კ-ძე და ა. მ-შვილი იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. 1992 წლის 7 ოქტომბერს ჯ. კ-ძეს პრივატიზების წესით საკუთრებაში გადაეცა ქუთაისში, ... გამზირის 24\36-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 იანვრის სააღსრულებო ფურცლით ა. მ-შვილს ა. ლ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 აშშ დოლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 22 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლით ა. მ-შვილს ა. ლ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 5 090 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე და 22-ე მუხლები, სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლი და დაადგინა, რომ ა. ლ-ავას მიმართ ა. მ-შვილს ვალი უნდა დაეფარა მეუღლეთა თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების პოზიცია, რომ ა. მ-შვილის მიერ მიღებული სადავო თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს არ მოხმარებია, ვინაიდან ოჯახის წევრის კანონიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია ოჯახის სოციალური თუ მატერი-

ალური კეთილდღეობისაკენ, ოჯახის საერთო ინტერესებში შედის. ოჯახის წევრის ლეგალური სამეწარმეო საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება, ყოველთვის მიმართულია ოჯახის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობისაკენ და ოჯახის წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შედის ოჯახის საერთო ინტერესებში.

სააპელაციო სასამართლოს განმატებით, სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს არა იმ შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის ვალის გადახდევინება ხდება თანასაკუთრებაში მისი წილიდან, არამედ -ერთ-ერთი მეუღლის ვალის გადახდევინებას მეუღლეთა საერთო ქონებიდან, ე.ი იმ ქონებიდან, რომელშიც შედის მეორე მეუღლის წილიც. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვალის აღების ფაქტის დადგენისას იგულისხმება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა ა. ძ-შვილის ვალის ანაზღაურებას არა მეუღლეთა საერთო ქონებიდან, არამედ -ამ ქონებაში მოვალის წილიდან, სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ დადგინდება, რომ მოვალეს სესხი ოჯახის ინტერესებისათვის არ გამოუყენებია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი მართებულად დაკმაყოფილდა, თუმცა, იმავდროულად აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ შეცდომით გამოიანგარიშა საცხოვრებელ სახლში ა. ძ-შვილის წილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1992 წლის 7 ოქტომბერს სადავო სახლის პრივატიზაცია მოახდინა ჯ. კ-ძემ. ამ დროს სახლში რეგისტრირებული იყვნენ და, შესაბამისად, ბინას ფლობდნენ ჯ. კ-ძე და მისი ვაჟი -მ. კ-ძე. საქმეში წარმოდგენილი საბინაო წიგნის ასლის თანახმად, მ. კ-ძე სახლში მუდმივ მაცხოვრებლად ჩაეწერა 1983 წლის 19 იანვარს. საბინაო წიგნი წარმოდგენილია 1992 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით და წიგნის ის გრაფა, რომელშიც აღინიშნება მონაცემები პირის სხვა საცხოვრებელ ადგილას გადასვლის შესახებ, თავისუფალია, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, ნიშნავს, რომ მ. კ-ძე 1983 წლის 19 იანვრიდან 1992 წლის 15 ოქტომბრამდე სადავო სახლში რეგისტრირებული იყო და სხვა საცხოვრებელ ადგილას არ გადასულა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მე-5 პუნქტით და მიიჩნია, რომ სადავო ბინაზე საკუთრება თანაზიარი წილის უფლებით მოიპოვეს ჯ. და მ. კ-ძეებმა, ამდენად, პრივატიზაციის შედეგად ჯ. კ-ძე გახდა სადავო ბინის ნახევრის მესაკუთრე და მისი გაყოფის შემთხვევაში ა. ძ-შვილის წილი შეადგენდა ჯ. კ-ძის წილის ნახევარს ანუ ბინის 1/4-ს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილებით ა. ძ-შვილსა და ჯ. კ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 134,9 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში -ა. ძ-შვილმა და ჯ. კ-ძემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში -ა. ლ-ავამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით. საკასაციო საჩივრით ა. ძ-შვილმა და ჯ. კ-ძემ ასევე მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ა. ძ-შვილისა და ა. ლ-ავას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ჯ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხოლო 2008 წლის 23 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილება ჯ. კ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ჯ. კ-ძე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ კანონიერ ძალაში შესულ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გაცა სააღსრულებო ფურცელი.

2009 წლის 7 სექტემბერს ა. ლ-ავამ (წარმომადგენელი ნიკოლოზ კანკავა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით მოითხოვა მოცემულ საქმეზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორება და მოვალედ ა. ძ-შვილთან ერთად ჯ. კ-ძეზე მითითება,

რაც იმით დაასაბუთა, რომ ქუთაისში, ... გამზირის # 24/36-ში მდებარე ქონება მოვალის -ა. მ-შვილის სახელზე რეგისტრირებული არ იყო. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი ხდებოდა იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ განკარგულების გამოცემა და შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-ავას განცხადება დაკმაყოფილდა, გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 18 ივნისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა და მოვალედ ა. მ-შვილთან ერთად მიეთითა ჯ. კ-ძე.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებებს:

2007 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში ა. ლ-ავას მოპასუხედ დასახელებული ჰყავს როგორც ჯ. კ-ძე, ისე -ა. მ-შვილი;

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ა. ლ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ა. მ-შვილისა და ჯ. კ-ძის მიმართ;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. მ-შვილისა და ჯ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ა. მ-შვილის ვალის -15 090 აშშ დოლარის ა. ლ-ავას მიმართ ანაზღაურება მომხდარიყო ჯ. კ-ძის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში (ქუთაისი, ... გამზირის 24/36) ა. მ-შვილის წილიდან, რაც შეადგენდა მითითებული საცხოვრებელი სახლის მეთხედს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კრედიტორის -ა. ლ-ავას მოვალეს ა. მ-შვილთან ერთად წარმოადგენდა ჯ. კ-ძე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 25-ე მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის მიხედვით, აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, კონკრეტულად არიან დასახელებული სააღსრულებო ფურცელში და სააღსრულებო ფურცელი გაცივმა კრედიტორზე. სასამართლოს განმარტებით, კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცელში კონკრეტულად უნდა მიეთითოს ყველა ის პირი, რომელთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე კრედიტორის -ა. ლ-ავას მოვალეს ა. მ-შვილთან ერთად წარმოადგენდა ჯ. კ-ძე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად უნდა მომხდარიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 ივნისის სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორება და მოვალედ ა. მ-შვილთან ერთად ჯ. კ-ძეზე მითითება.

დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ჯ. კ-ძემ და ა. მ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, რამდენადაც 15 090 აშშ დოლარის ოდენობით თანხის გადახდა დაეკისრა ა. მ-შვილს, როგორც მოვალეს, სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ჯ. კ-ძეზე მითითება არამართებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა საკუთრების ხელშეუხებლობის შესახებ ჯ. კ-ძის უფლება, ვინაიდან ქუთაისში, ... გამზირის #24/36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი სწორედ ამ უკანასკნელის და არა ა. მ-შვილის საკუთრებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 ივნისის სააღსრულებო ფურცელში აღნიშნული თვალსაზრისით ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი ჯ. კ-ძის ნაწილში წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ა. მ-შვილის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, ა. ლ-ავას სარჩელზე, რომლითაც იგი ითხოვდა ქუთაისში, ... გამზირის #24/36-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში ა. მ-შვილის კუთვნილი წილიდან მის მიმართ არსებული ვალის ანაზღაურებას, მოპასუხეებს წარმოადგენდნენ ა. მ-შვილი და ჯ. კ-ძე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად დადგენილია, რომ ა. მ-შვილის ვალის ა. ლ-ავას მიმართ ანაზღაურება

სათვის მის მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟის დაკისრებასთან ერთად მის მიერ საქმის გახილვასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯების სრულად დაკისრებაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინებით შ. ქ-შვილის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული შეცდომის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა წარმოადგენდა არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების საფუძველს, არამედ დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ან საკასაციო საჩივრის საფუძველს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ქ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. ამავე კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა, აგრეთვე, სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

მითითებული ნორმების თანახმად, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს პასუხს ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც განხილვის საგანი იყო, აგრეთვე, სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი, მაშინ ასეთი ხარვეზი შეიძლება შეივსოს დამატებითი გადაწყვეტილებით.

განსახილველ შემთხვევაში, შ. ქ-შვილი თავისი განცხადებით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უსწორობის გასწორებას იმდაგვარად, რომ მოპასუხე მხარისათვის მის მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟის დაკისრებასთან ერთად, დაეკისრებინათ მის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯებიც.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების მოთხოვნის საფუძველს, არამედ განმცხადებლის მოთხოვნა წარმოადგენს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ან საკასაციო საჩივრის საფუძველს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შ. ქ-შვილის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უსაფუძვლო იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-324-644-09

03 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების, გამოუყენებელი შესრულების ფულადი კომპენსაციის და ხელფასის გაცემის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 თებერვალს გარდაბნის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ლ. ღ-იამ მოპასუხე სს „თბილსრესის“ მიმართ და მოითხოვა, რომ სს „თბილსრესის“ მის სასარგებლოდ დაეკისროს: კუთვნილი ხელფასის ანაზღაურება 4800 ლარის ოდენობით; საშვებულებო თანხის ანაზღაურება 800 ლარის ოდენობით; ხელფასისა და საშვებულებო თანხის გაცემის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.07%-ის ოდენობით.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა და მოსარჩელის შუამდგომლობა და საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველი.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ღ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -სს „თბილსრესის“ და სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველს დაეკისრათ სს „თბილსრესის“ გაკოტრების მასიდან ლ. ღ-იას სასარგებლოდ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სახელფასო დავალიანების -4800 ლარის, გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციოდ 800 ლარის, სულ 5600 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2008 წლის 13 მაისს სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველმა დ. ჩ-იანმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაზე, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5600 ლარის გადახდა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ლ. ღ-იას განცხადება სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის მიმართ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა -გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველს დაეკისრა ლ. ღ-იას სასარგებლოდ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სახელფასო დავალიანების 4800 ლარის, გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციოდ 800 ლარის, სულ 5600 ლარის და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -168 ლარის გადახდა. შეწყდა საქმის წარმოება ლ. ღ-იას სარჩელის გამო მოპასუხე სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის მიმართ სახელფასო დავალიანების, გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციისა და ხელფასის გაცემის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2008 წლის 10 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ლ. ღ-იამ და მოითხოვა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინების განმარტება იმგვარად, რომ 5600 ლარის გადახდა დაეკისროს სს „თბილსრესის“; ამოღებულ იქნეს გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებიდან სიტყვები „დაეკისრა გაკოტრების მასიდან“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით ლ. ღ-იას განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

პალატის განმარტებით, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც გამოტანილი იყო სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის მიმართ. შესაბამისად, ძალაში დარჩა მითითებული გადაწყვეტილების ის ნაწი-

ლი, რომლითაც სს "თბილსრესს" დაეკისრა ლ. ლ-იას სასარგებლოდ სს "თბილსრესის" გაკოტრების მასიდან" შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სახელფასო დავალიანების 4800 ლარის, გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციოდ 800 ლარის, სულ 5600 ლარის და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის -168 ლარის გადახდა.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებიდან სიტყვების -"დაეკისროს გაკოტრების მასიდან", ამოღების შესახებ, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მიმართული იყო რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში და, შესაბამისად, მისი განმარტების საკითხის გადაწყვეტა ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს კომპეტენციაა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ლ-იამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, "თბილსრესის" ყოფილ გენერალურ დირექტორად კ. ც-იანის დანიშვნის შემდეგ 2003 წელს და 2044 წელს სისტემატურად ირღვეოდა ხელშეკრულების პირობები, რა დროსაც თანამშრომლებს უგროვებოდათ რამდენიმე თვის, ხშირ შემთხვევაში -წელიწადზე მეტი ვადის სახელფასო დავალიანება. მათ შორის მასაც არ მიუღია 2003 წლის აგვისტოდან 2004 წლის აგვისტოს ჩათვლით ხელფასი, ასევე, 2005 წლის იანვარ-თებერვლის გამოწერილი ხელფასი და 2 თვის საშვებულებო ანაზაურება. 2005 წლის თებერვალში გაიხსნა გაკოტრების საქმე, როდესაც მან გააკეთა განაცხადი მისი კუთვნილი ხელფასისა და საშვებულებო ანაზაურების საერთო თანხის 6300 ლარის მოთხოვნის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სარჩელით მიმართა გარდაბნის რაიონის სასამართლოს და მოითხოვა სახელფასო და საშვებულებო დავალიანება 13 თვისა და 15 დღის -5400 ლარი და 2 თვის საშვებულებო. ამავდროულად დაყოვნების ყოველი დღისათვის -0.07%, სულ 7800 ლარი.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სადაც მითითებულია, რომ "თბილსრესს" უნდა დაეკისროს გაკოტრების მასიდან 5600 ლარის გადახდა. მისი განმარტებით, წინადადება "გაკოტრების მასა" ამოღებული უნდა იქნეს და მიეთითოს პირდაპირ აღნიშნული 5600 ლარის და 2005 წლის იანვრისა და თებერვლის გამოწერილი ხელფასის გადახდა ყოველგვარი გაკოტრების მასის გარეშე, ვინაიდან გაკოტრების მასას ამოწურული აქვს თავისი მისია. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ "თბილსრესის" რეჟიმი აღდგენილია, იგი ფიქტიურად გააკოტრეს, მაგრამ მუშაობა არცერთი დღით არ შეუწყვეტავს და ასეთი რამ მხოლოდ იმისთვის იქნა მოგონილი, რომ არ გაცემულიყო დავალიანებები.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. ლ-იას სარჩელი სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველმა დ. ჩ-იანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმება. სააპელაციო პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. ლ-იას განცხადება 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინების განმარტების თაობაზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა მხოლოდ იმ ნაწილში რომელიც გამოტანილი იყო სს თბილსრესის გაკოტრების მმართველის მიმართ, ხოლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სს "თბილსრესს" დაეკისრა ლ. ლ-იას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების გადახდა, სს "თბილსრესს" არ გაუსაჩივრებია და დარჩა ძალაში.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო: გადახდის სუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვას და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი, შესაბამისად, სასამართლოში იგი წარმოადგენს გაკოტრების რეჟიმში მყოფ საწარმოს და იცავს მის ინტერესებს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველი სააპელაციო საჩივრით მთლიანად ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთ სააპელაციო საჩივარში გაერთიანებული იყო ორი სააპე-

ლაციო მოთხოვნა -1. გაკოტრების მმართველი ითხოვდა მის მიმართ დაკისრებული ვალდებულების გაუქმებას; 2. გაკოტრების მმართველი, როგორც სს "თბილსრესის" წარმომადგენელი, ითხოვდა სს "თბილსრესის" ვალდებულების გაუქმებას. შესაბამისად, ის გარემოება, რომ გაკოტრების მმართველის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება, არ შეიძლება გამხდარიყო გაკოტრების რეჟიმში მყოფი "თბილსრესის" სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არასწორია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სს "თბილსრესის" მიმართ მოთხოვნის ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალში და განმარტებაზე უფლებამოსილიც გარდაბნის რაიონული სასამართლოა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება სს "თბილსრესის" მიმართ მოთხოვნის ნაწილში არ არის შესული კანონიერ ძალაში, რადგან იგი გასაჩივრებულია კანონით დადგენილ ვადაში გაკოტრების მმართველის მეშვეობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლოს აღმასრულებლის განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, განმარტების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული და მიქცეულია აღსასრულებლად. შესაბამისად, სასამართლოს მიერ განმარტებას ვერ დაექვემდებარება სასამართლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც თბილსრესს გაკოტრების მასიდან დაეკისრა სახელფასო დავალიანების გადახდა, რამდენადაც საქმეზე განსახილველია სს "თბილსრესის" სააპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინების განმარტებას, რომლითაც სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება, აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რამდენადაც ამ შემთხვევაში არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობები. შესაბამისად ამ ნაწილში თბილსრესის სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ღ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

ძალაში დარჩეს თბილსრესის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის განმარტების ნაწილში.

დანარჩენ ნაწილში განჩინება გაუქმდეს და საქმის წარმოება გაგრძელდეს სს "თბილსრესის" სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-819-1105-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. ა-შვილმა და მოითხოვა მ. მ-შვილსა და სს „ინოვაციას“ შორის 2000 წლის 11 ივლისს ქ.წნორში, ... ქ.#3-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება. თავის მხრივ სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა მ. მ-შვილმა, მოპასუხეებად მიუთითა ზ. ა-შვილსა და გ. ნ-შვილზე, ხოლო მესამე პირებად -სიღნაღის ტექადრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლე-სიღნაღის საჯარო რეესტრსა და სიღნაღის რაიონის ნოტარიუსზე და განმარტა, რომ სადავო ფართი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეკუთვნოდა სს „ინოვაციას“, სწორედ მისგან შეიძინა იგი და არ არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, ზ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -გაუქმდა მ. მ-შვილსა და სს „ინოვაციას“ შორის 2000 წლის 11 ივლისს ქ. წნორში, ... ქ.#3-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება; მ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა და მოითხოვა მისის გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -შეიცვალა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი, რომლითაც მთლიანად გაუქმდა მ. მ-შვილსა და სს „ინოვაციას“ შორის 2000 წლის 11 ივლისს, ქ.წნორში, ... ქ.#3-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა მ. მ-შვილსა და სს „ინოვაციას“ შორის 2000 წლის 11 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. წნორში, ... ქ.#3-ში მდებარე უძრავი ქონების, დამხმარე ფართის (სარდაფის) -140 კვ.მ-ის ნასყიდობის ნაწილში; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. მ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით მ. მ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა.

განმცხადებლის განმარტებით, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მასსა და სს „ინოვაციას“ შორის დადებული ხელშეკრულება გაუქმდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარდაფი მიეკუთვნა ზ. ა-შვილს, ხოლო დანარჩენი ფართი დარჩა „ჭაერში“. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ბუნდოვნად არის მითითებული და მისთვის გაუგებარია, სადავო მალაზიის რა ფართი მიეკუთვნა მას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული სახით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება არ შეცვლიდა დასახელებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსს და იგი ხელს შეუწყობდა მის აღსრულებას. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტი უნდა განმარტებულიყო ამგვარად: „გაუქმდეს მ. მ-შვილსა და სს „ინოვაციას“ შორის 2000 წლის 11 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქ.წნორში, ... ქ.#3-ში მდებარე უძრავი ქონების, დამხმარე ფართის (სარ-

დაფის) 140 კვ.მ-ის ნასყიდობის ნაწილში, ხოლო დამხმარე ფართის (სარდაფის) დანარჩენ (ანუ 204-140=64 კვ.მ-ის) ნაწილში ნასყიდობის ხელშეკრულება დარჩეს ძალაში”.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ა-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა თავისივე მიღებული გადაწყვეტილება, თითქოს სადავო იყო სარდაფის ნაწილი და 12 წლის წინ მოსარჩელეს შეემნილი ჰქონდა ნახევარი სარდაფი. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული სარდაფი 3 მეტრის სიღრმეზეა მიწაში და არის ერთი მთლიანი სივრცე, რაც არასდროს ყოფილა გაყოფილი და აქვს მხოლოდ ერთი ჩასასვლელი, მისი დაზუსტებული ფართი კი 200 კვ.მ-ია, რომლის მესაკუთრედაც აღრიცხულია ზ. ა-შვილი. აღნიშნული ფაქტი ცნობილი იყო სააპელაციო სასამართლოსთვის და შესაბამისად 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების წარმოდგენილი სახით განმარტება არის უკანონო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმგვარად განმარტება, რომ ამოღებულ იქნეს, “140 კვ.მ-ის”, ხოლო დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლოს აღმასრულებლის განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით განმცხადებლის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა -აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი განიმარტა შემდეგნაირად: “გაუქმდეს მ. მ-შვილსა და სს „ინოვაციას“ შორის 2000 წლის 11 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქ.წნორში, ... ქ.#3-ში მდებარე უძრავი ქონების, დამხმარე ფართის (სარდაფის) -140 კვ.მ-ის ნასყიდობის ნაწილში, ხოლო დამხმარე ფართის (სარდაფის) დანარჩენ (ანუ 204-140=64 კვ.მ-ის) ნაწილში ნასყიდობის ხელშეკრულება დარჩეს ძალაში”.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა სადავო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების განმარტების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილების განმარტებისათვის აუცილებელია არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ: გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა იყოს ბუნდოვანი, რაც თავის მხრივ აფერხებს აღსრულების პროცესს და ამასთან გადაწყვეტილების უნდა განიმარტოს ისე, რომ არ შეიცვალოს განსამარტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი.

ზემოთ მითითებული სამართლებრივი წანამდღვრების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებიდან უნდა ამოღებულ იქნეს “140კვ.მ”, რადგან იგი წარმოდგენს მთლიანად სარდაფის და არა სარდაფის ნაწილის მესაკუთრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა დამხმარე ფართის (სარდაფის) სწორედ 140კვმ-ის ნასყიდობის ნაწილში, რითაც იხელმძღვანელა შემდგომ სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების განმარტებისას. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ზ. ა-შვილისთვის იმთავითვე ცნობილი იყო ის გარემოება, რომ სასამართლომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილა სარდაფის ზემოაღნიშნული ფართის ნაწილში და თუ აღნიშნულს არ იზიარებდა კერძო საჩივრის ავტორი, მას შეეძლო ეს გარემოება სადავოდ გაეხადა და გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა საკასაციო წესით, რაც მას არ განუხორციელებია. გადაწყვეტილების ისეთი სახით განმარტება კი, რაზეც მიუთითებს კერძო საჩივრის ავტორი, ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების განმარტებისათვის კანონით წაყენებულ მოთხოვნებს, რამეთუ მიზნად ისახავს განსამარტი გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლას.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უსაფუძველოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ა-შვილის კერძოს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინება
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-766-1061-09 25 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა მ. მ-ოვამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 5.18 პუნქტის განმარტება. კერძოდ, აღმასრულებელმა მ. მ-ოვამ მოითხოვა განმარტებულიყო, არის თუ არა ერთი და იგივე თ. მ-შვილის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ე.წ. "სპორადული" რეგისტრაციით რეგისტრირებული, მიწის ნაკვეთი -მდებარე ქ. მცხეთაში, სოფელ ...-ში სარეგისტრაციო #72.14.01.062 და "სისტემური" რეგისტრაციით 2005 წლის 15 ივლისს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი -მდებარე ქ. მცხეთაში, სოფელ ...-ში, სარეგისტრაციო #72.14.34.277, შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელდა ცვლილება რეესტრის ე.წ. "სპორადული" რეგისტრაციით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. მცხეთაში, სოფელ ...-ში, სარეგისტრაციო #72.14.01.062, რომელიც საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო თ. მ-შვილის სახელზე. მის სახელზე საკუთრების უფლებით "სისტემური" რეგისტრაციით ასევე რეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. მცხეთაში, სოფელ ...-ში, სარეგისტრაციო #72.14.34.277. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია მხოლოდ ე.წ. "სპორადული" რეგისტრაციის #72.14.01.062, რის გამოც ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღმასრულებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 5.18 პუნქტის განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივლისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ მ. მ-ოვას განცხადება დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 5.18 პუნქტი განიმარტა იმდაგვარად, რომ თ. მ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი -მდებარე ქ. მცხეთაში, სოფელ ...-ში სარეგისტრაციო #72.14.01.062 და 2005 წლის 15 ივლისს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი -მდებარე ქ. მცხეთაში, სოფელ ...-ში, სარეგისტრაციო #72.14.34.277 არის ერთი და იგივე მიწის ნაკვეთი.

გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 5.18 პუნქტში დაშვებული უსწორობა იმ-

დაგვარად, რომ ნაცვლად 0.1 ჰა მიწის ნაკვეთისა მიეთითა 0.11 ჰა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 5.18 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: თ. მ-შვილს ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება - მიწის ნაკვეთი მდებარე მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში, ფართობით 0.11 ჰა, სარეგისტრაციო #72.14.34.277 (სარეგისტრაციო ზონა - მცხეთა, კოდი 72, სექტორი - ..., კოდი 14, კვარტალი #34, ნაკვეთის #277).

სასამართლომ საჯარო რეესტრის ამონაწერების საფუძველზე დადგინდა მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 27.02.2007 #483 წერილის თანახმად, სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ თ. მ-შვილის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი სარეგისტრაციო ნომრით 721401062 დაზუსტდა და ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი გახდა 721434277, ფართობით - 0.11 ჰა, რომლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია: #44მ 6.10.1992წ. მიღება-ჩაბარების აქტი, სოფელ დიღმის საკრებულოს ცნობა #2137 13.07.2005, სოფელ დიღმის საკრებულოს ცნობა #2138 13.07.2005წ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის სარჩელი და თ. მ-შვილს ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება - მიწის ნაკვეთი, მდებარე მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში, ფართობი - 0,1 ჰა სარეგისტრაციო #721401062.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ მ. მ-ოვას განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე საფუძველიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ამასთან, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ უნდა გასწორებულიყო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად 0,1 ჰა მიწის ნაკვეთისა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მითითებულიყო 0,11 ჰა მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა როგორც თ. მ-შვილმა, ასევე დაინტერესებულმა პირმა - ლ. ლ-მემ.

თ. მ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განმარტების უფლება ჰქონდა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და არა სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამასთან, აღმასრულებელს სასამართლოსათვის უნდა მიემართა განცხადებით და არა შუამდგომლობით, ხოლო სასამართლო თავადვე მიუთითებს, რომ იხილავს მ. მ-ოვას განცხადებას.

თ. მ-შვილის აზრით, მ. მ-ოვა შუამდგომლობით კი არ ითხოვდა იმას, რომ დადგენილიყო აღნიშნული მიწის ნაკვეთების ერთიდაიგივეობა, არამედ კითხვას სვამდა - იყო თუ არა ერთი და იგივე, ხოლო მას რომ განცხადებით მიემართა, კითხვას კი არ დასვამდა, არამედ კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოითხოვდა;

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, განჩინების მთავარი და უდავო გაუქმების საფუძველია ის, რომ სასამართლომ განმარტა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აღსრულებულია ჯერ კიდევ 2007 წელს, რაც კანონის უხეში დარღვევაა.

ამასთან, თ. მ-შვილის განმარტებით, სასამართლო განჩინების უსაფუძველობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში განხილულ მასალებში არის 2000 წლის 25 თებერვალს სარეგისტრაციო #721401062 მიწის ნაკვეთზე გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მესაკუთრედ მითითებულია თ. მ-შვილი, ხოლო 2005 წლის 15 ივლისით დათარიღებული ამონაწერით, რომელიც გაცემულია #721434277 მიწის ნაკვეთზე, მესაკუთრეებად თ. მ-შვილთან ერთად მითითებულიები არიან მ. ნ-შვილი, გ. და ზ. მ-შვილები, ხოლო გრაფაში, სადაც უნდა აღნიშნულიყო ამ მიწის ნაკვეთის წინა სარეგისტრაციო ნომერი თავისუფალია, რითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები ერთი და იგივე არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. მ-შვილის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება არ საჭიროებდა არავითარ განმარტებას და მით უფრო - უსწორობის გასწორებას, ვინაიდან აღნიშნული განმარტებით სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და განჩინებით გამოი-

ტანა ახალი გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია კანონის მოთხოვნები, რაც აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძველია.

რაც შეეხება დანტერესებულ პირს ლ. ლ-მეს, მან თავისი კერძო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

კერძო საჩივარის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების უსწორობის შესწორებით ილახება მისი ინტერესები, ვინაიდან 0,11 ჰა მიწის ნაკვეთი სარეგისტრაციო #721434277, მდებარე სოფელ ...-ში, კანონის სრული დაცვით, სანოტარო წესით გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინეს დ. და ლ. ლ-ძებმა თ. მ-შვილისა და მისი თანამესაკუთრებისაგან, ხოლო თ. მ-შვილს, როგორც ერთპიროვნულ მესაკუთრეს, სამი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება - მიწის ნაკვეთი სარეგისტრაციო #72140162 და ეს ორი მიწის ნაკვეთი არ შეიძლება რომ ერთი და იგივე ყოფილიყო.

ლ. ლ-მის განმარტებით, აღნიშნული განჩინებით დაირღვა მისი უფლება საკუთრებასთან დაკავშირებით, რითაც მიაღწა როგორც მატერიალური ისე მორალური ზიანიც.

სამოტივაციო ნაწილი:

სააპელაციო პალატამ, შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ თ. მ-შვილისა და ლ. ლ-მის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა სარჩელით მოითხოვდა თ. მ-შვილისათვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, მდებარე მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში, ფართობით -0,11 ჰა, სისტემური სარეგისტრაციო #721434277 (სპორადული სარეგისტრაციო #721401062 იგივე ნაკვეთზე, დაუზუსტებელი ფართობი -0,10 ჰა) ჩამორთმევას.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის სარჩელი და თ. მ-შვილს ჩამოერთვა და სახელმწიფოს დაუბრუნდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება - მიწის ნაკვეთი, მდებარე მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში, ფართობით 0,1 ჰა, სარეგისტრაციო #721401062.

ამდენად, დადგენილია, რომ სასამართლომ მცხეთა -მთიანეთის საოლქო პროკურატურის სარჩელი დააკმაყოფილა მთლიანად, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არასრულად მიუთითა ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის რეკვიზიტები, კერძოდ, მიუთითა მხოლოდ ერთი საკადასტრო კოდი -სპორადული სარეგისტრაციო #721401062.

დადგენილია, რომ 2000 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით თ. მ-შვილის სახელზე საჯარო რეესტრში #44მ 6.10.1992 წლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკუთრების უფლებით ირიცხება მიწის ნაკვეთი 0,10 ჰა მდებარე სოფელ ...-ში, მიწის სარეგისტრაციო #721401062, ასევე, დადგენილია, რომ 2005 წლის 15 ივლისის მდგომარეობით თ. მ-შვილის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება 0,11 ჰა მიწის ნაკვეთი, მდებარე სოფელ ...-ში, მიწის სარეგისტრაციო #721434277, საფუძველი -#44 მ. 6.10. 1992 წლის მიღება-ჩაბარების აქტი, სოფ. ...-ის საკრებულოს ცნობა #2138 13.07.2005 წ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 27.02.2007 წ. #483 წერილით ირკვევა, რომ მოქალაქე თ. მ-შვილის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი სარეგისტრაციო ნომრით 721401062 დაზუსტდა და ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი გახდა 721434277 ფართობით -0,11 ჰა, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: #44მ. 6.10.1992 წ. მიღება-ჩაბარების აქტი, სოფ. ...-ის საკრებულოს ცნობა #2137 13.07.2005 წ. სოფ. ...-ის საკრებულოს ცნობა #2138 13.07.2005 წელი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 19 ნოემბრის წერილით ირკვევა, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარმოდგენილი 13.09.2007 #10/20 სააღსრულებო ფურცელში მითითებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით : 72.14.01.062) და 2005 წლის 15 ივლისის მოქალაქე თ. მ-შვილის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 72.14.34.277) წარმოადგენენ ერთი და იგივე უძრავ ნივთს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ

გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

აღნიშნული ნორმა გადაწყვეტილების განმარტებას უკავშირებს აღსრულებას და მისი მიზანია მოხდეს გადაწყვეტილების ზუსტად იმ შინაარსით აღსრულება, რასაც სასამართლო გულისხმობდა გადაწყვეტილების გამოტანისას. ამასთან, გადაწყვეტილების განმარტებით არ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ძირითადი აზრისა და შინაარსის შეცვლა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ დადგინო ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად განმარტა 2007 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების 5.18 პუნქტი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება უკვე აღსრულებულია, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წერილის თანახმად, დასტურდება, რომ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება, რადგან ადმინისტრაციული პალატის გადაწყვეტილებაში მითითებულია ერთი საკადასტრო კოდი (72.14.01.062).

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მტკიცებას იმის შესახებ, რომ სადავო გადაწყვეტილება განმარტა არაგანსჯადმა სასამართლომ. 2007 წლის 4 ივლისის #5199 კანონით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეები განიხილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კერძო საჩივრის ავტორის ლ. ლ-ძის მტკიცებით გადაწყვეტილების განმარტებითა და უსწორობის გასწორებით შეილახა მისი უფლებები, ვინაიდან მას სადავო მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს თ.მ-შვილისა და სხვა თანამესაკუთრებისაგან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გადაწყვეტილებით კი ქონება ჩამოერთვა მხოლოდ თ. მ-შვილს, შესაბამისად, ეს ორი მიწის ნაკვეთი არ შეიძლება ყოფილიყო ერთი და იგივე. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ვინაიდან წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით ლ. და დ. ლ-ძეებს მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვთ მხოლოდ თ. მ-შვილისაგან და არა თანამესაკუთრებისაგან, როგორც ამას კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ. საქმეში არსებული მტკიცებულებებით და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ თ.მ-შვილის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდი #72.14.01.062 და საკადასტრო კოდი #72 14.34.277 წარმოადგენენ ერთი და იგივე უძრავ ქონებას, ნასყიდობის ხელშეკრულებით კი საწინააღმდეგო არ დასტურდება. უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულების მე-10 პუნქტი შეიცავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რაც მესაკუთრემ წარადგინა ნოტარიუსთან, კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტი #44მ გაცემული 06.10.1992 წელს, სოფ. ...-ის საკრებულოს ცნობა #2137 გაცემული 13.07.2005 წელს და სოფ. ...-ის საკრებულოს ცნობა #2138 გაცემული 13.07.2005 წელს. ხელშეკრულების თანახმად, ლ-ძეებმა შეიძინეს #277 მიწის ნაკვეთი, საფუძველად კი მითითებულია ის დოკუმენტები, რაც #062 მიწის ნაკვეთზე თ.მ-შვილის საკუთრების წარმოშობის საფუძველი გახდა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებითაც დასტურდება, რომ #062 და #277 ერთი და იგივე მიწის ნაკვეთებია.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად არ არსებობს კერძო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-შვილისა და ლ. ლ-ძის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

#ას-1050-1318-09

7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ბ. თ-მემ მოპასუხე ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნული სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 ოქტომბრის #41 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მიერ მის მიმართ გავრცელებული სახელისა და ღირსების შემლახველი ცნობების იმავე წესით უარყოფა, რა წესითაც მოხდა მათი გავრცელება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. თ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლას დაევალა მოსარჩელის არაადეკვატურობისა და გაუწონასწორობლობის თაობაზე სახელისა და ღირსების შემლახველი ცნობის იმავე საშუალებებით უარყოფა, რა წესითაც მოახდინა ამ ცნობის გამოქვეყნება; ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 ოქტომბრის #141 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. თ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ბ. თ-მის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. თ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ბ. თ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება, ბ. თ-მე აღდგენილ იქნა ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მიეცა შრომის ანაზღაურება თვეში 260 ლარის ოდენობით, იძულებითი მოცდენის მთელი პერიოდისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლამ (წარმომადგენელი ვ. ლ-ია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2009 წლის 4 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ბ. თ-მემ, რომელმაც მოითხოვა ამავე სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

განცხადების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს მითითებას ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილედ ბ. თ-მის აღდგენის თაობაზე, მითითებულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი და იგი 2009 წლის 26 მარტს ჩაჰბარდა აჭარის სააღსრულებო ბიუროს, გადაწყვეტილება დასახელებულ ნაწილში ამ დრომდე აღუსრულებელია. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ბათუმის მერის 2008 წლის 31 დეკემბრის

#1126 ბრძანებით დამტკიცებულ ხელოვნების სკოლის 2009 წლის სამტატო განრიგში დირექტორის მოადგილის სამტატო ერთეული აღარ არსებობს.

განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლოს განემარტა მისთვის, თუ რას გულისხმობდა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებული შემდეგი პუნქტი: ბ. თ-ძე აღდგენილ იქნას ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, კერძოდ, გულისხმობდა თუ არა აღნიშნული იმას, რომ: ა) ბათუმის მერიას უნდა დაეშვა დირექტორის მოადგილის სამტატო ერთეული და შემდეგ ბ) თ-ძე დანიშნულიყო დირექტორის მიერ; ბ. უნდა აღდგენილიყო თუ არა ეს უკანასკნელი სკოლაში რომელიმე სხვა არსებულ სამტატო ერთეულზე, ამ ერთეულისათვის განსაზღვრული სახელფასო განაკვეთით, რაზეც იგი თანახმა იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ბ. თ-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომლითაც ბ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება ბ. თ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბ. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება, ბ. თ-ძე აღდგენილ იქნა ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მიეცა შრომის ანაზღაურება თვეში 260 ლარის ოდენობით, იძულებითი მოცდენის მთელი პერიოდისათვის.

საქმეზე დგინდებოდა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა, ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განსამარტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი, სარეზოლუციო ნაწილის მსჯელობა გამომდინარეობდა დავის განხილვის დროისათვის, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის მოთხოვნა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. თ-ძის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება ბ. თ-ძემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განმარტების შესახებ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ბათუმის მერის 2008 წლის 9 ივნისის #536 ბრძანებით დამტკიცებულ ხელოვნების სკოლის წესდებებსა და სამტატო განრიგში არ არსებობს სკოლის დირექტორის მოადგილის სამტატო ერთეული, რომელზეც იგი გათავისუფლებამდე მუშაობდა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დავის განხილვის დროისათვის -2008 წლის 16 ივლისის მდგომარეობით, უკვე არ არსებობდა დირექტორის მოადგილის სამტატო ერთეული. აღნიშნულის შესახებ სასამართლო პროცესის მსვლელობისას განაცხადა ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორმა. გარდა ამისა, მოცემული ფაქტობრივი გარემოება დასტურდება კერძო საჩივარზე თანდართული, "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 9 ივნისის #536 ბრძანებით, საიდანაც ირკვევა, რომ საქმის განხილვის დროს უკვე არ არსებობდა ის თანამდებობა, რომელზეც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბ. თ-ძე აღადგინა.

კერძო საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია, თუკი სასამართლომ 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გამოტანისას სრულყოფილად არ გამოარკვია, არსებობდა თუ არა რეალურად სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობა, რატომ უნდა დაზარალებული მოსარჩელე მხარე დასახელებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობით.

გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ განმარტების შესახებ მისი განცხადების მხარეთა დაუსწრებლად განხილვას, რითაც მას საშუალება არ

მიეცა, აეხსნა სასამართლოსათვის განცხადების მოტივები და წარედგინა მის ხელთ არსებული მტკიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. თ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობის საჭიროება დგება და შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოს საპროცესო ვალდებულება წარმოიშობა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსობრივი ბუნდოვანების, უზუსტობის, ურთიერთსაწინააღმდეგობის, ურთიერთგამომრიცხავობის, მისი ნამდვილი აზრის გაურკვევლობის შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ბ. თ-ძე ითხოვს სასამართლომ განმარტოს, თუ რას გულისხმობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებული შემდეგი პუნქტი: ბ. თ-ძე აღდგენილ იქნეს ქ. ბათუმის მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, კერძოდ, გულისხმობს თუ არა აღნიშნული იმას, რომ: ა) ბათუმის მერიამ უნდა დაუშვას დირექტორის მოადგილის სამტატო ერთეული და შემდეგ ბ. თ-ძე დაინიშნოს დირექტორის მიერ; ბ) უნდა აღდგეს თუ არა ბ. თ-ძე სკოლაში რომელიმე სხვა არსებულ სამტატო ერთეულზე, ამ ერთეულისათვის განსაზღვრული სახელფასო განაკვეთით.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოცემულ შემთხვევაში განმარტების საპროცესო საფუძვლების არარსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ბუნდოვან, ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. გარდა ამისა, განცხადების შინაარსის მიხედვით, განმცხადებელი, ფაქტობრივად, ითხოვს სამართლებრივ დახმარებას არსებულ ვითარებაში განჩინების სამართლებრივი შედეგების თაობაზე. აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს განმარტების საგანი.

სააპელაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის განხილვისას თავის დროზე იმსჯელა თუ არა იმ თანამდებობის რეალურად არსებობაზე, რომელზე აღდგენასაც მოსარჩელე ითხოვდა, ასევე მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების განმარტების საკითხთან არ არის დაკავშირებული. აღნიშნული წარმოადგენდა საქმის არსებითი განხილვის საკითხს და არ ასაბუთებს განმარტების საფუძვლების არსებობას. ამასთან, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილეების - მხარეების თავისუფალ განკარგულებაშია, მიუთითონ ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებელია საქმის სწორად გადასაწყვეტად. საქმის მასალებიდან გამომდინარე, საქმეზე ასეთ მსჯელობას ვერც ექნებოდა ადგილი, რამდენადაც სასამართლო შებოჭილია მხარეთა მოთხოვნების ფარგლებით, ხოლო ამ შემთხვევაში მხარეები - არც თავად ბ. თ-ძე და არც ხელოვნების სკოლა არ მოითხოვდნენ, საქმეზე გამორკვეულიყო იმ თანამდებობის არსებობის საკითხი, რომელზე აღდგენასაც ითხოვდა ბ. თ-ძე და საქმე გადაწყვეტილიყო აღნიშნულის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ბ. თ-ძისათვის განმარტების შესახებ განცხადების განხილვის დროის ინფორმირებას და განცხადების განხილვის საპროცესო ფორმას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში არსებულ გზავნილზე, რომლითაც განმცხადებელს ეცნობა განცხადების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ. დასახელებული შეტყობინება გაგზავნილია ბ. თ-ძის მიერ განცხადებაში დასახელებულ მისამართზე. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. თ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები

განჩინება

#ას-710-1011-09 7 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მუსიკალური ნაწარმოების გამოყენების აკრძალვა, კომპენსაციის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ინტეროპტიკას" მიმართ მუსიკალური ნაწარმოების ავტორთა საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე გამოყენების - კაბელით გადაცემის აკრძალვისა და მუსიკალური ნაწარმოების ნებართვის გარეშე კაბელით გადაცემისათვის კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე "საქართველოს ავტორთა საზოგადოება (სას) - კავშირის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ასოციაცია "ინტეროპტიკამ".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორი ასაჩივრებს რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს, მისი შეგებებული სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე, 364-ე და 374-ე მუხლების შესაბამისად, დაუშვებელია, რადგან ზემოხსენებული ნორმები ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა ასოციაცია "ინტეროპტიკამ" შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტი, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება გულისხმობს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი ცალკეული პუნქტის გასაჩივრების უფლებას. დასახელებული ნორმა უშვებს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და კანონმდებელი არ გამოყოფს მის რომელიმე ნაწილს. აღნიშნული კუთხით კანონის დასახელებული დანაწესი რაიმე ბუნდოვანებას არ შეიცავს და გადაწყვეტილების გასაჩივრებისას შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული შეზღუდვა პირდაპირ აისახებოდა კანონში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ასოციაცია "ინტეროპტიკის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. ამავე კოდექსის 379-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით კი, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში კანონით დადგენილ სუბიექტებს შეუძლიათ შეიტანონ შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომელიც განიხილება სააპელაციო საჩივრისათვის გათვალისწინებული საპროცესო წესების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა ასოციაციამ "ინტეროპტიკამ" შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოსარჩელე "საქართველოს ავტორთა საზოგადოება (სას) -კავშირის" სარჩელი შპს "ინტეროპტიკის" მიმართ არ დაკმაყოფილდა. შეგებებული სააპელაციო საჩივრით მხარემ სადავოდ გახადა სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები.

საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას. სასამართლოს ეს დასკვნა ეფუძნება შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არამარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

მითითებული ნორმის ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველსაც: გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებაზე, სააპელაციო პალატის არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, რომ დასახელებული ნორმა უშვებს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, კანონმდებელი არ გამოყოფს მის რომელიმე ნაწილს და გადაწყვეტილების ნაწილების გასაჩივრებისას შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული შეზღუდვა პირდაპირ აისახებოდა კანონში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს, რომ კანონში პირდაპირი არ არის მითითება გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის გასაჩივრების უფლებაზე, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ასეთი შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა საწინააღმდეგოს არ ადგენს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებისა და კოდექსის ნორმათა ურთიერთშეჯერებითა და ერთობლიობაში განმარტებით საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკ-

მაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარმართება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას ("სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო - სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს (სსკ-ის 249-ე მუხლი) და რომელიმე მათგანის სათანადოდ ან საერთოდ არარსებობა, ხშირ შემთხვევაში იწვევს მის გაუქმებას (სსკ-ის 393-ე, 394-ე მუხლები). გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და იმავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს კანონითვე გათვალისწინებული გამონაკლისი, როდესაც გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს მისი რომელიმე ნაწილის გარეშეც (სსკ-ის 234-ე, 250-ე, 257¹), თუმცა ამ შემთხვევებშიც სარეზოლუციო ნაწილის კანონით დადგენილი წესით არსებობა აუცილებელია. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საპროცესო კანონმდებლობა უშვებს რა არასრულყოფილი გადაწყვეტილების ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობასაც გადაწყვეტილების განმარტების, უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით, ამავე დანაწესებით იმპერატიულად ადგენს გადაწყვეტილების ნაკლის გასწორებას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის შეუცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ასოციაცია "ინტეროპტიკას" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 15 სექტემბერს მ. ქ-იანმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის გ. ხ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2008 წლის 22 აპრილს იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, გ. ხ-ძეს ასესხა 5000 აშშ დოლარი ყოველთვიურად 4% დარიცხვით, სამი თვის ვადით. სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქუთაისში. მიუხედავად სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლისა, გ. ხ-ძე არ ასრულებს ვალდებულებას.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის ძირითადი თანხის -5000 აშშ დოლარის დაკისრება 4%-ის დარიცხვით და ყოველთვიურად 3%-ის ანუ 168 დოლარის დაკისრება, ასევე, იპოთეკით დატვირთული სახლის რეალიზაცია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ქ-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გ. ხ-ძეს მ. ქ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის -5000 აშშ დოლარის, სამი თვის პროცენტის -600 აშშ დოლარის, მიყენებული ზიანის -ყოველთვიურად 3%-ის ანუ 150 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახადა, ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე. სასამართლომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დაადგინა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ხ-ძის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი სამედიცინო ცნობა არ შეიცავდა სსსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილი წესით მითითებას იმ გარემოებებზე, რომ 2009 წლის 29 აპრილს, აპელანტის ავადმყოფობის გამო, შეუძლებელი იყო მისი სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ხ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

2009 წლის 15 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, განმეორებით მიმართა გ. ხ-ძემ და აღნიშნა, რომ დღევანდელ ეტაპზე აღმოიფხვრა მისი სასამართლოზე გამოუცხადებლობის მიზეზი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინებით გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ხ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად

დატოვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის, საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა.

მითითებული მუხლი განსაზღვრავს პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებათა კანონიერ ძალაში შესვლის პირობებსა და წესს. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაშინ იგი კანონიერ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ შევა კანონიერ ძალაში.

თავის მხრივ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მას შემდეგ, როცა საკასაციო სასამართლომ მიიღო განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს მთავარ ხდომილებაზე გამოუცხადებლობის გამო, გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებული მუხლის საფუძველზე, როგორც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება, ისე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

კერძო საჩივრის ავტორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის საფუძველზე, ითხოვს მისი საჩივრის დაკმაყოფილებას. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმე წარმოებით შეჩერებული კი არ ყოფილა, არამედ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რაც შესულია კანონიერ ძალაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით. მითითებული ნორმის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის ერთადერთ გზას წარმოადგენს საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სსკ-ის 421-ე მუხლი).

ამასთან, ამავე კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, პირებს, რომლებზეც ვრცელდება კანონიერი ძალა, უფლება არ აქვთ, კვლავ აღძრან იგივე სარჩელი იგივე მოთხოვნით და იმავე პირებს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული მუხლის შესაბამისად, საქმეთა განხილვისას სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს იმ წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისათვის, ამასთან, საქმეთა განხილვა სააპელაციო სასამართლოებში ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებულია ამ სასამართლოს ამოცანებითა და ფუნქციებით.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას, მისი ხელმეორედ შეტანის შესაძლებლობას სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ხ-ძის ხელმეორედ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9. საქმის წარმოების შეჩერება

საქმის წარმოების შეჩერება საქმიდან გასული უფლებამონაცვლის დადგენამდე

განჩინება

ას-924-1131-08 15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. ჯ-ძის სარჩელი ტ. ა-ძის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 12600 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თბილისში, ... 15ა კორპუსის #14-ში მდებარე ტ. ა-ძის კუთვნილ ბინას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ჯ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ვ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ჯ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

2008 წლის 12 ნოემბერს ვ. ჯ-ძემ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, წარმოადგინა ტ. ა-ძის გარდაცვალების მოწმობა და მოთხოვა საქმის წარმოების შეჩერება უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ვ. ჯ-ძის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის წარმოება ვ. ჯ-ძის კერძო საჩივარზე უნდა შეჩერდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. ჯ-ძის მიერ წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობიდან ირკვევა, რომ ტ. ა-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 10 სექტემბერს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის ამ პირის უფლებამონაცვლებას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება უფლებამონაცვლის დადგენამდე. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის

უფლებამონაცვლობას და საქმის განხილვისათვის აუცილებელია დადგინდეს აწ გარდაცვლილი ტ. ა-ძის უფლებამონაცვლე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ჯ-ძის კერძო საჩივრის განხილვა შეჩერდეს ტ. ა-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება საქმიდან გასული უფლებამონაცვლის დადგენამდე

განჩინება

#ას-1130-1278-08

26 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მინდობილობის, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ნიუ ინვესტის", ზ. ზ-ძის, ვ. ს-უას, ვ. კ-ძისა და კ. ლ-შვილის მიმართ 2005 წლის 10 ნოემბრის მინდობილობის, შპს "სავაჭრო სახლ იმედის" 2005 წლის 22 ნოემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, 2005 წლის 9 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე იყო შპს "სავაჭრო სახლ იმედის" 3% წილის მესაკუთრე. ნ. ა-იანმა 2005 წლის 10 ნოემბრის მინდობილობით ვ. ს-უას მიანიჭა საზოგადოებაში თავისი წილის განკარგვისა და გასხვისების უფლებამოსილება. შპს "სავაჭრო სახლ იმედის" 2005 წლის 22 ნოემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების პარტნიორებს, მათ შორის, ნ. ა-იანსაც დაერთო ნება, კუთვნილი წილები მიეყიდათ შპს "ნიუ ინვესტი-სათვის". 2005 წლის 9 დეკემბერს ნ. ა-იანის წარმომადგენელ ვ. ს-უასა და შპს "ნიუ ინვესტს" შორის დაიდო მოსარჩელის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ზემოხსენებული მინდობილობა და ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა ვ. ს-უას მხრიდან იძულებითა და მუქარით, რის გამოც არსებობს გარიგების ბათილად ცნობის სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან, მოსარჩელეს წილის გასხვისების სანაცვლოდ რაიმე თანხა არ მიუღია. სადავო პარტნიორთა კრება კი ჩატარდა უკანონოდ, ვინაიდან მოსარჩელე კრებაზე სათანადოდ არ მოუწვევიათ. ამასთან, თანხმობა წილების გასხვისებაზე მიღებულ იქნა იმ დროს, როდესაც, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შპს "სავაჭრო სახლს იმედის" სამეწარმეო რეესტრს ყადაღა ედო.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ ნ. ა-იანის მიმართ იძულების ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, სადავო წილის გასხვისება მოხდა კანონიერად და ნ. ა-იანის სასარჩელო მოთხოვნები დაუსაბუთებელია. საზოგადოების პარტნიორთა კრებას ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი, რომელსაც გადაეცა ასევე წილის საკომპენსაციო თანხა -20 000 აშშ დოლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ნ. ა-იანმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, მოწინააღმდეგე მხარე ვ. ს-უას გარდაცვალების გამო, საქმის წარმოების შეჩერება. შპს "ნიუ ინვესტის", ზ. ზ-ძისა და შპს "სავაჭრო სახლ იმედის" წარმომადგენლებმა შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს და განმარტეს, რომ სასარჩელო მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობა და, შესაბამისად, მოსარჩელის წილის დაბრუნება, რისი დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ვ. ს-უას

უფლებამონაცვლებს რაიმე ვალდებულება არ წარმოეშებათ. ამდენად, საქმის წარმოება ვ. ს-უას მიმართ უნდა შეწყდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ნ. ა-იანის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება ნ. ა-იანის სარჩელზე მოპასუხე ვ. ს-უას მიმართ მისი გარდაცვალების გამო შეწყდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობის მიხედვით, ვ. ს-უა 2008 წლის 23 ივნისს გარდაიცვალა. პალატამ მიუთითა, რომ ნ. ა-იანის განსახილველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მინდობილობის, როგორც იძულებით დადებული გარიგებისა და წარმომადგენლის მიერ დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მას არ გამოუმჯავებია წილის გასხვისების ნება. რაც შეეხება დავალების ხელშეკრულებიდან წარმოშობილ რაიმე მოთხოვნას, უშუალოდ ვ. ს-უას მიმართ, სარჩელი ასეთს არ შეიცავს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ სადავო მინდობილობისა და წილის გასხვისების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგები ვ. ს-უას მემკვიდრეებისათვის რაიმე ვალდებულების წარმოშობას არ უკავშირდება, ამდენად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ვ. ს-უას უფლებამონაცვლით შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ა-იანმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ვ. ს-უას უფლებამონაცვლის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ნ. ა-იანის სარჩელი დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე მოთხოვნას არ შეიცავს. საქმეში წარმოდგენილი სარჩელით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას წარდგენილი განვრცობილი სარჩელით, შეპასუხებით, სააპელაციო სიტყვით დგინდება, რომ სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ ვ. ს-უამ დაარღვია დავალების ხელშეკრულება, არ შეატყობინა მარწმუნებელს საზოგადოების საერთო კრების დანიშვნის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და თანხის გადაცემის თაობაზე. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება ვ. ს-უას მიერ ზემოხსენებული თანხის გადაცემის ფაქტი. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, მოცემულ შემთხვევაში რატომ არ არის დასაშვები საპროცესო უფლებამონაცვლეობა და ვ. ს-უას მემკვიდრეებს რატომ არ წარმოეშებათ გარკვეული ვალდებულება ნ. ა-იანის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი, 279-ე მუხლის "ა" პუნქტი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დადგინდება ვ. ს-უას მიერ დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობების დარღვევა, რაც ნ. ა-იანს უფლებას მისცემს, მოითხოვოს აღნიშნულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ვ. ს-უას მემკვიდრეები კი სამკვიდროს აქტივთან ერთად მიიღებენ მის პასივსაც და სადავო ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის პირობებში უფლება ექნებათ, მოითხოვონ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე-422-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, ვ. ს-უას უფლებამონაცვლეთა საქმეში ჩაბმით დაცული იქნება არა მარტო ნ. ა-იანის, არამედ თვით მოპასუხის მემკვიდრეთა უფლებებიც, რის გამოც სადავო შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა ყოველმხრივ მიზანშეწონილია. ამასთან, ნიშანდობილივია, რომ გასაჩივრებული განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს განემარტა, რომ მას უფლება აღარ აქვს, იდავოს იმავე საგანზე იმავე საფუძველით. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ნ. ა-იანი ვეღარ განახორციელებს თავის უფლებას, ვ. ს-უას მემკვიდრეთაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნ. ა-იანმა წარმოადგინა #ვ-1167-08 განცხადება, რომელსაც დაერთო მასალები 57 ფურცლად, ხოლო შპს "სავაჭრო სახლ იმედმა" #ა-141-09 განცხადება თანდართული მასალებით სამ ფურცლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ ნ. ა-იანის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის "ა"

ქვეპუნქტის თანახმად, 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება საქმიდან გასული პირის უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო 92-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივი ურთიერთობიდან მხარის გასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, როდესაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში სხვა პირის ჩართვა კანონით დადგენილი წესითა და საფუძველებით დასაშვებია, ანუ საპროცესო უფლებამონაცვლეობა ყოველთვის მატერიალური სამართლის დანაწესებითაა განპირობებული და მჭიდრო კავშირშია მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებთან, კერძოდ, საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაიშვება, თუკი მატერიალური სამართალი უშვებს უფლებამონაცვლეობას.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ნ. ა-იანმა სარჩელი აღძრა რამდენიმე მოპასუხის, მათ შორის, ვ. ს-უას მიმართ და მოითხოვა ამ უკანასკნელის სახელზე მის მიერ გაცემული მინდობილობის, ვ. ს-უას, როგორც წარმომადგენლის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ ვ. ს-უამ დაარღვია დავალების ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, არ აცნობა მარწმუნებელს საერთო კრების გამართვის, მისი წილის გასხვისებისა და წილის სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სამკვიდროს მიღებისას მემკვიდრეზე გადადის არამარტო მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები, არამედ - მისი ვალდებულებებიც. ამასთან, ამავე კოდექსის 1330-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მამკვიდრებლის ყველა სახის ქონებრივი უფლება ვერ გახდება სამკვიდროს მასის შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, მემკვიდრეობით პირს ვერ გადაეცემა ისეთი უფლება, რომელიც მამკვიდრებლის პირადი ხასიათის მატარებელია და კანონის ან ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მხოლოდ მისთვის არის განკუთვნილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის "ე" პუნქტის მიხედვით, განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე, და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით ვერ დაასაბუთა, მოცემულ შემთხვევაში რატომ არ არის დასაშვები საპროცესო უფლებამონაცვლეობა და ნ. ა-იანის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ვ. ს-უას მემკვიდრეებს რატომ არ წარმოეშობათ გარკვეული ვალდებულება მოსარჩელის მიმართ.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოარკვიოს, ნ. ა-იანის მიერ მოთხოვნილი სადავო მინდობილობისა და შპს-ს წილის გასხვისების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი წარმოშობს თუ არა ვ. ს-უას მემკვიდრეებისათვის ზიანის ანაზღაურების ან სხვა სახის ვალდებულებას, დადებით შემთხვევაში კი გადაწყვიტოს, დასაშვებია თუ არა მოცემულ შემთხვევაში მხარის საპროცესო უფლებამონაცვლეობა და უნდა შეჩერდეს თუ არა საქმის წარმოება მოპასუხე ვ. ს-უას უფლებამონაცვლის დადგენამდე.

ნ. ა-იანსა და შპს "სავაჭრო სახლ იმედს" უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ განცხადებებზე დართული მასალების ქსეროასლები, 47 და 3 ფურცელი, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ა-იანის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
ნ. ა-იანს დაუბრუნდეს #ვ-1167-08 განცხადებაზე დართული მასალები 57 ფურცლად, ხოლო შპს "სავაჭრო სახლ იმედს" #ა-141-09 განმცხადებაზე დართული მასალები 3 ფურცლად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება საქმიდან გასული უფლებამონაცვლის დადგენამდე

განჩინება

#ას-590-897-09

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ჩ-ევას სარჩელი არ დაკმაყოფილდა და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყადაღა ქ. ბ-შვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე . . . , კორპუსი 2ბ, ბინა 11.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ე. ჩ-ევას წარმომადგენელმა ვ. ტ-უამ, სააპელაციო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის განჩინებით აპელანტს, განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად და დაევალა, სახელმწიფო ბაჟის გადახდა ან მისი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომ იგი არამართო რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არამედ, ასევე იღებს საარსებო შემწეობას. ამასთან, ე. ჩ-ევას წარმომადგენლის ვ. ტ-უას დაევალა ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 18 მაისის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა და დაევალა განჩინებით დადგენილ ვადაში, სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 4%-ის, მაგრამ არა ნაკლებ 150 ლარის გადახდა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომ იგი არამართო რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არამედ, ასევე იღებს საარსებო შემწეობას. ამასთან, აპელანტს დაევალა ამ განჩინებით დადგენილ ვადაში უშუალოდ აპელანტ ე. ჩ-ევას მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

ე. ჩ-ევას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. ჯ-ძემ, 2009 წლის 25 მაისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მომართა განცხადებით და აპელანტ ე. ჩ-ევას გარდაცვალების გამო მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე # 2ბ/910-09 ე. ჩ-ევას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან, გარდაცვლილი აპელანტის - ე. ჩ-ევას უფლებამონაცვლის დადგენამდე.

სასამართლოს მიაჩნია, რომ გამომდინარე იქედან, რომ სასამართლოს განხილვის საგანია ქონებრივი ხასიათის დავა, ხოლო ქონებრივი უფლებები და მოვალეობები წარმოადგენს სამკვიდრო მასას და გადადის მემკვიდრეებზე, სადავო-სამართლებრივი ურთიერთობაში დასაშვებია უფლებამონაცვლეობა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბ-შვილის წარმომადგენელმა ი. მ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, დავის საგანი არა წმინდა ქონებრივი დავაა, არამედ ისეთი სპეციფიკით გამოირჩევა, რომელზე მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია იდავოს. კერძოდ, ჩუქების ხელშეკრულების მოშლა, სწორედ დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ შეიძლება გახდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მხარეთა განმარტებით ან თავის ინიციატივით საქმის წარმოების შეწყვეტას საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღება ან საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ე. ჩ-ევა გარდაიცვალა და ამას არც მოწინააღმდეგე მხარე ხდის სადავოდ.

მოცემული საქმე წარმოადგენს ქონებრივი ხასიათის დავას. ქონებრივი უფლებები და მოვალეობები კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლიდან გამომდინარე შედის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეებზე. საქმის გადაწყვეტის შემდეგ ქონებრივი შედეგი დგება მოსარჩელის მემკვიდრეებისათვის. აქედან გამომდინარე დასაშვებია უფლებამონაცვლეობაც.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დასაჩუქრებულის უმადურობის საფუძველით ჩუქების გაუქმების მოთხოვნა წარმოადგენს პირადი ხასიათის ქონებრივ უფლებას და მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არაა დასაშვები. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული საფუძველით საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე ჩუქების გაუქმება არ ყოფილა მოთხოვნილი, ამიტომ ეს მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული პალატის მიერ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზეც, რომ დავის საგანი იმდენად სპეციფიურია, რომ მხოლოდ მოსარჩელეს აქვს დავის უფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავა ქონებრივი ხასიათისაა და დავის უფლება აქვს როგორც მხარეს, ისე მის უფლებამონაცვლეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. ბ-შვილის წარმომადგენლის ი. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე

განჩინება

#ას-11-349-09

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინებაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს ა. ლ-შვილმა და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინებით კანონიერად იქნა დატოვებული უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განჩინება. სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, კოლეგიამ კანონიერად დატოვა განუხილველად ა. ლ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების თაობაზე, ვინაიდან საქმის მასალებით არ იყო დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ განმცხადებლის მიერ დაცული იყო განცხადების წარდგენისათვის საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით იპერატიულად განსაზღვრული ერთთვიანი ვადა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული და სამოქალაქო საქმეში არსებული უზენაეს სასამართლოში წარდგენილი 2003 წლის აპრილის განცხადებით ვერ დასტურდებოდა განმცხადებლის მიერ გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ა. ლ-შვილის განცხადება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლად მიიჩნია.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველის არსებობა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება ძალაშია 2003 წლის პირველი მაისიდან; ასევე დადგენილია, რომ განმცხადებელმა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 2003 წლის 31 მარტს და საფუძველად მიუთითა იგივე გარემოებები, რაც მითითებული აქვს მოცემულ შემთხვევაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენის ერთგვარი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ანუ 2003 წლის პირველი მაისიდან, ხოლო ა. ლ-შვილმა განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 26 მარტს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ერთგვარი ვადის დარღვევით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ა. ლ-შვილის განცხადება სწორად არ დააკმაყოფლა და შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე

განჩინება

#ას-339-658-09

24 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ოვისა და მ. ტ-ურის მიმართ მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მ.მ-ოვმა.

2009 წლის 25 თებერვალს აპელანტმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის განჩინება დავაზე მ. მ-ოვის სარჩელის გამო რ. გ-მის მიმართ მ. მ-ოვის სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე და იშუამდგომლა საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ.მ-ოვმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ოვის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავ კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედ-

ვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) დაიშვება თუ არა კერძო საჩივრის შეტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კერძო საჩივრის შეტანის გზით განჩინების გასაჩივრებისათვის აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს. ამავე კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში. დასახელებული მუხლის თანახმად, კერძო საჩივრით დასაშვებია მხოლოდ იმ განჩინებების გასაჩივრება, რომელთაც პირდაპირ ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. მითითებული ნორმის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა დაიშვება მხოლოდ იმ განჩინებაზე, რომლითაც შეჩერდება საქმის წარმოება.

განსახილველ შემთხვევაში, მ.მ-ოვი ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებას, რომლითაც აპელანტის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამდენად, კერძო საჩივრის საგანს წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლოს განჩინება. აღნიშნული ტიპის განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, რაც მ.მ-ოვის კერძოს საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მ. მ-ოვს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 6 აპრილს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას. ამდენად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ არსებობს კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, მხარეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 401-ე, 396-ე, 185-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ოვის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი.

კერძო საჩივრის ავტორს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე

განჩინება

#ას-231-556-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს "უტას" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" კომპანიას შპს "უტას" სასარგებლოდ დაეკისრა 330209 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს "უტამ".

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" კომპანიამ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" კომპანიის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" კომპანიამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის განჩინებით "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" კომპანიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოში შპს "უტას" საქმის განხილვისას "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის კომპანიამ შუამდგომლობა შეიტანა და მოითხოვა აღნიშნული საქმის შეჩერება შემდეგი საფუძველით: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგია განიხილავს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" კომპანიის სარჩელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოსა და საჯარო რეესტრის მიმართ, მესამე პირები შპს "უტა" და შპს ნავთობისა და გაზის კორპორაცია", აღნიშნული სარჩელის მოთხოვნაა 2001 წლის 7 ნოემბერს შპს "უტასა" და გარდაბნის რაიონის გამგეობას შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული გარიგების ბათილად ცნობა, რადგან ის უკანონოა და ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

მოცემული საქმის განხილვა შეუძლებელია და უნდა შეჩერდეს შპს "უტას" მიერ სახელმწიფო მიწით სარგებლობის კანონიერების საკითხის გარკვევამდე, რასაც ამჟამად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "უტამ". მან მიუთითა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი ისეთი ფაქტია, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში იგივე პირები -მოსარჩელე და მოპასუხე ან იგივე მესამე პირი მონაწილეობს. თუ ერთ-ერთი მხარე მაინც სხვა პირია, გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს პრეიუდიციული ძალა და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ვერ დაედება საფუძველად სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას. განსხვავებით სააპელაციო სასამართლოში მონაწილე მხარეებისა, ადმინისტრაციულ კოლეგიაში ამ ორი მხარის გარდა ასევე მონაწილეობს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო, როგორც მოპასუხე და როგორც მესამე პირი -საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, შპს "უტა" კი მოპასუხეა და არა მესამე პირი, როგორც ეს მითითებულია განჩინებაში. სასამართლომ არ განსაზღვრა ზუსტად, თუ რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ იხილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს "უტას" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განიხილება შპს "უტას" მიერ სახელმწიფო მიწით სარგებლობის კანონიერების საკითხი, კერძოდ, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოსა და საჯარო რეესტრის მიმართ, მესამე პირები არიან შპს "უტა" და შპს "ნავთობისა და გაზის კორპორაცია", დავის საგანს წარმოადგენს 2001 წლის 7 ნოემბერს შპს "უტას" და გარდაბნის რაიონის გამგეობას შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან მოცემულ საქმეში მონაწილე მხარეების გარდა, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მო-

ნაწილებზე სხვა მხარეები, ამის გამო დაუშვებელია საქმის წარმოების შეჩერება, კერძოდ, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მონაწილეობს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო, როგორც მოპასუხე და მესამე პირი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ამ მხარეების გარდა სხვა მხარეების მონაწილეობა, არ შეიძლება გახდეს საქმის წარმოების შეჩერების დამაბრკოლებელი გარემოება. მოცემულ საქმეებზე მონაწილეობენ იგივე მხარეები. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოცემულ საქმეში მონაწილე მხარეების გარდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს მონაწილეობას, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეჩერების შეუძლებლობის განმსაზღვრელ პირობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო საჩივარში მოყვანილი გარემოება არ წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის უკანონო შეჩერებად.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ საფუძვლიანია და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "უტას" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე

განჩინება

#ას-415-731-09

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ს-იანმა, ს. კ-ოვამ და რ. პ-იანმა 2008 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრეს მ. ჩ-იანის მიმართ და მოითხოვეს 1999 წლის 5 ივლისს პ. ს-იანს, რ. პ-იანს, ს. კ-ოვასა და მ. ჩ-იანს შორის წილების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, წილების უკან დაბრუნება, ასევე, მოსარჩელებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის, კერძოდ, პ. ს-იანის სასარგებლოდ 55 000 ლარისა და მორალური ზიანის -5000 ლარის, რ. პ-იანისათვის 55 000 ლარისა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5 000 ლარის, ხოლო ს. კ-ოვასათვის 5000 ლარისა და მორალური ზიანის -5000 ლარის დაკისრება.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ყოფილი ტანსაცმლის ინდკერვის #7 ატელიეს, შემდგომში შპს ფირმა „თ.ის“ შრომითი კოლექტივის წევრებს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის მიერ 1996 წლის 6 თებერვალს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი #23\690-პ მოწმობის თანახმად, საკუთრებაში გადაეცათ თბილისში, ...-ის გამზირ #2-ში მდებარე არასაცხოვრებელი 297,0 კვ.მ. მათ განესაზღვრათ წილები: პ. ს-იანს -2,6%, რ. პ-იანს -1,3, ს. ბ-ოს კი -1,3%.

1999 წლის ივლისში ატელიეს გამგის -ი. კ-იანის დავალებით მოპასუხე მ. ჩ-იანს გაჰყვინნო ნოტარიუს ნ. მ-იანს სანოტარო ბიუროში, სადაც, მოპასუხის განმარტებით, ხელი უნდა მოეწერათ #7 ატელიედან მათი წილის გამოყოფაზე.

ნოტარიუსთან დაახვედრეს წინასწარ გამზადებული ქართულ ენაზე შედგენილი დოკუმენტები, რომლებზეც მოპასუხემ ისე მოაწერინა ხელი, რომ არ გააცნო მათი შინაარსი, ხოლო ნოტარიუსს თარჯიმანი არ მოუწვევია. აღსანიშნავია ისიც, რომ მათთვის ხელშეკრულების ასლები არ გადმოუციათ.

2007 წლის აპრილში თავად მოპასუხე ჩ-იანმა მოისურვა ატელიეს ტექნიკურად გაყოფა. მან პ.ს-იანის შვილს სახლში მიუტანა დოკუმენტები, საიდანაც შეიტყვეს, რომ თურმე ხელი მოწერილი ჰქონდა არა ატელიედან ცალკე გამოყოფაზე, არამედ -წილების გასხვისების თანდართულ ხელშეკრულებებზე.

მოსარჩელებმა არაერთხელ მოითხოვეს, მოპასუხეს გადაეცა კუთვნილი ფართობი, რაზეც მან უარი თქვა და არც რაიმე საკომპენსაციო თანხა გადაუხდია. ამ გზით მოპასუხე ჩ-იანმა ხელში ჩაიგდო მათი წილი საკუთრება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2008 წლის 20 მარტის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე #07078030 გაეგზავნა თბილისის ვაკე-საბურთალოს პროკურორს წინასწარი გამოძიების განახლების მიზნით.

მათ სადავო ხელშეკრულებებზე ხელი მოაწერეს მოპასუხე ჩ-იანის უშუალო ზემოქმედებით. მან დაარწმუნა იმაში, რომ ხელს აწერდნენ მათი წილების გამოყოფის ხელშეკრულებაზე. მან იცოდა, რომ ქართული წერა-კითხვა არ იცოდნენ, გამოიყენა მათი ნდობა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა წილებს, მან თავის სასარგებლოდ ხელი მოაწერინა ისეთ დოკუმენტზეც, რაც უსპობდა შემოსავლის ერთადერთ წყაროს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით პ. ს-იანის, რ. პ-იანისა და ს. კ-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს პ. ს-იანმა და რ. პ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით რ. პ-იანისა და პ. ს-იანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა საქმის წარმოება რ. პ-იანისა და პ. ს-იანის სააპელაციო საჩივარზე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ჩ-იანმა. მან მიუთითა, რომ გასაჩივრებელი განჩინება დაუსაბუთებელია, მასში არ არის აღნიშნული ის გარემოებები, თუ რა გავლენას მოახდენს სისხლის სამართლის წესით განხილვა სამოქალაქო საქმეზე. სასამართლომ არ მიუთითა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ რომელ ფაქტზე აღიძრა საქმე სისხლის სამართლის წესით, არ გაითვალისწინა საქმის მასალებში არსებული მოსარჩელების განმარტება, რომლითაც ისინი მიუთითებდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე ყალბი დოკუმენტების გაკეთებისა და გამოყენების ფაქტზე, რითაც სასამართლომ ი.დიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. ჩ-იანის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2008 წლის 20 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა პ. ს-იანის, რ. პ-იანისა და ს. ბ-ოს საჩივარი, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე წინასწარი გამოძიების განსაახლებლად გადაეგზავნა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2008 წლის 20 მარტის დადგენილებიდან ირკვევა, რომ დაწყებულია წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე 1999 წლის 5 ივლისს, ერთი მხრივ, პ. ს-იანს, რ. პ-იანსა და ს. ბ-ოს და, მეორე მხრივ, მ. ჩ-იანს შორის გაფორმებული წილის დათმობის ხელშეკრულების დადებისას, რ. პ-იანის, პ. ს-იანისა და ს. ბ-ოს სახელით შესრულებული ყალბი დოკუმენტის გაკეთებისა და გამოყენების ფაქტზე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენს 1999 წლის 5 ივლისის წილის გასხვისების ხელშეკრულებები, რომელთა ბათილობის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომელთა დადგენაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე, აღნიშნულ საქმეებს შორის არსებობს ისეთი კავშირი, რა დროსაც სამოქალაქო საქმის განხილვა შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი "დ" პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის

გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს "შეუძლებლობის" ცნებას ანუ რა შემთხვევა შეიძლება ქმნიდეს ისეთ ობიექტურ სირთულეს, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. "შეუძლებლობა" წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ისეთი გარემოებებს, რომლის დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორებით. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ ობიექტურ სირთულედ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულია სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განჩინებაში მოყვანილი გარემოება არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმაპირობებელ ობიექტურ სირთულედ ან დაბრკოლებად, რამდენადაც მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი ასეთ სირთულედ მოიაზრებს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტორზე გარემოებას, რომელიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და ამდენად, პროცესუალურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტური გარემოებების საფუძველზე სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შემდეგში შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ამ შემთხვევაში არ არსებობს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული საქმის განხილვის შეუძლებლობის მიზეზები.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საქმის განხილვისას სასამართლოს შეეძლო, თვითონ გამოეკვლია ის ფაქტორები გარემოებები, რომლის გამოც შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, გამოძიებისას დასადგენ გარემოებათა წრეს განეკუთვნება: ხელშეკრულების დამოწმებისას გამოარკვია თუ არა ნოტარიუსმა საკითხი იმის შესახებ, იცოდნენ თუ არა ხელშეკრულების შინაარსი, მონაწილეობდა თუ არა სანოტარო მოქმედებების განხორციელებისას შესაბამისი ენის მცოდნე თარჯიმანი, განემარტათ თუ არა სანოტარო მოქმედებაში მონაწილე ქართული ენის არმცოდნე პირებს ამ მოქმედებათა შინაარსი მათთვის გასაგებ ენაზე; დადგენილებაში ასევე მითითებულია ხელშეკრულებაზე ხელმოწერების გამოსაკვლევადალტერნატიული გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობაზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებზე სააპელაციო სასამართლოს თვითონ შეეძლო ემსჯელა და არ არსებობს მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საქმის შეჩერების ობიექტური წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ჩ-იანის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;
3. უარი ეთქვას რ. პ-იანსა და პ. ს-იანს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე

განჩინება

#ას-650-957-09

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჟ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხეზე თანხის დაკისრება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ჟ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ ვ. ჟ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 780 673 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა და დაეკისრა პირგასამტეხლო - ძირითადი თანხის (780 673 აშშ დოლარის) წლიური 6%-ი 1998 წლის 29 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ჟ-იამ და დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“.

2009 წლის 3 ივნისს დანიშნულ სხდომაზე მეორე აპელანტის (დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი“) წარმომადგენლებმა თ. ა-მემ და დ. ბ-მემ წარმოადგინეს შუამდგომლობა და მოითხოვეს საქმის წარმოების შეჩერება შემდეგი საფუძველებით:

სახელმწიფო საწარმო დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატისა და შპს „მეტალ პლინს ელ თი დის“ შორის 2000 წლის 1 მარტს ერთობლივი საქმიანობის შესახებ გაფორმებული მავალდებულებელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ იქნა გარკვეული სავალდებულო პირობები.

ამ ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო საწარმოს იმდროინდელ დირექტორს გ. ა-იანს და, შესაბამისად, დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ არ გააჩნდა შპს „მეტალ პლინს ელ თი დისა“ და სომხეთის რესპუბლიკის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ ერთობლივად გაცემული ნებართვა (მინდობილობა), რომლითაც სახელმწიფო საწარმოს დირექტორს უფლება ექნებოდა ხელი მოეწერა ორ დოკუმენტზე. ეს დოკუმენტებია: 1. 2000 წლის 5 ოქტომბრის #01-72 წერილი, რომლითაც სახელმწიფო საწარმოს დირექტორს შპს „მთების“ (მოსარჩელე ვ. ჟ-იასათვის მოთხოვნის დამთმობი საზოგადოება) დირექტორს სთხოვეს დავალიანების გადახდის ვადის გაგრძელებას 2003 წლის 31 დეკემბრამდე; 2. 2000 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმება, რომლითაც დამატება შევიდა 24.05.1996 წელს მხარეებს შორის (სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი“ და კორპორაცია „მთები“) დადებულ #აგ-001 კონტრაქტის #1 დამატების პუნქტ 4-ში და რომლითაც სახელმწიფო საწარმოს დირექტორმა აიღო ვალდებულება შპს „მთების“ წინაშე 2003 წლის 31 დეკემბრამდე დაეფარა დავალიანება.

შუამდგომლობის ავტორთა მითითებით, 2009 წლის 27 აპრილს სომხეთის რესპუბლიკაში ლორის რეგიონის პირველი ინსტანციის საერთო უფლებების სასამართლოს მიერ წარმოებაში იქნა მიღებული კომპანია „მეტალ პლინს ელ თი დის“ სარჩელი მოპასუხე სს „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ მიმართ, მესამე პირი - სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, მითითებული სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა ზემოაღნიშნული წერილისა და შეთანხმების ბათილად ცნობას. შუამდგომლობის ავტორთა მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუკი სომხეთის რესპუბლიკაში ლორის რეგიონის პირველი ინსტანციის საერთო უფლებების სასამართლოს მიერ ბათილად იქნება ცნობილი ზემოაღნიშნული ორი დოკუმენტი, ვ. ჟ-იას სასარჩელო მოთხოვნა დავალიანების გადახდის თაობაზე აღმოჩნდება არათუ უსაფუძვლო, არამედ - ხანდაზმულიც, რადგან, თუ მხარეების შეთანხმება გადახდის 2003 წლის 31 დეკემბრამდე გადავადების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი, მაშინ მოსარჩელის მიერ 2006 წლის 27 დეკემბერს შეტანილი სარჩელი უკვე რამოდენიმე წლის ხანდაზმული აღმოჩნდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განჩინებით დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ წარმომადგენლების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

პალატის განმარტებით, უდავოდ დადგენილია, რომ ვ. ჟ-იას სასარჩელო მოთხოვნა ძირითადად ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც გამომდინარეობს სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ დირექტორის 2000 წლის 5 ოქტომბრის #01-72 წერილიდან და იმავე თარიღით გაფორმებული შეთანხმებიდან, რომლითაც დამატება შევიდა 24.05.1996 წელს მხარეებს შორის (სს „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი“ და კორპორაცია „მთები“) დადებულ #აგ-001 კონტრაქტის #1 დამატების პუნქტ 4-ში და რომლითაც სახელმწიფო საწარმოს დირექტორმა აილო ვალდებულება შპს „მთების“ წინაშე 2003 წლის 31 დეკემბრამდე დაეფარა დავალიანება. შუამდგომლობის ავტორების მიერ კი წარმოდგენილია სომხეთის რესპუბლიკის ლორის რეგიონის პირველი ინსტანციის საერთო უფლებების სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განჩინება, რომლითაც წარმოებაში იქნა მიღებული კომპანია „მეტლ პრინს ელ თი დის“ სარჩელი მოპასუხე სს „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ მიმართ, მესამე პირი -სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ლორის რეგიონის პირველი ინსტანციის საერთო უფლებების სასამართლოს წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ არსებობს კავშირი განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სომხეთის რესპუბლიკაში. ამასთან, ისინი გამომდინარეობენ, ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობებიდან.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ჟ-იამ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის აზრით, საქმის შეჩერების საფუძველი არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის შეტანა.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მოიშველია სსკ 106-ე მუხლი, რომელიც პრეიდიციულ ფაქტებს ადგენს, ვინაიდან ეს მუხლი შეეხება უკვე არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს და არა მომავალში გამოსატან გადაწყვეტილებებს. ამდენად, მისი აზრით, სომხეთის სასამართლო გადაწყვეტილება პრეიდიციულ მნიშვნელობას ვერასოდეს შეიძენს. ამასთან, 106-ე მუხლი საქმის შეჩერებასთან არავითარ კავშირში არ არის. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, შეჩერება უნდა მოხდეს საქმის განხილვის შეუძლებლობის გამო და არა მომავალში გამოსატანი, თუნდაც ლოგიკურად დაკავშირებული გადაწყვეტილების გამო. კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, საქმის შეჩერება ემსახურება სომხური მხარის მიზანს, გაჭიანურდეს საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივრის საფუძვლები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ვ. ჟ-იას სარჩელის გამო წარმოება შეაჩერა იმ საფუძველით, რომ სომხეთის რესპუბლიკის ლორის რეგიონის პირველი ინსტანციის საერთო უფლებების სასამართლომ 2009 წლის 27 აპრილის განჩინებით წარმოებაში მიიღო შპს „მეტალ პრინს ელ თი დის“ სარჩელი კომპანია დახურული სააქციო საზოგადოება „ახტალის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის“ მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვს იმ წერილისა და შეთანხმების ბათილად ცნობას, რომლითაც ვ. ჟ-ია ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სომხეთის რესპუბლიკაში განსახილველ დავაში მოსარჩელე შპს „მეტალ პრინს ელ თი დი“ არ წარმოადგენს სადავო ხელშეკრულების მხარეს. იგი არ მონაწილეობს მოცემულ დავაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ დავაზე სარჩელი აღძრულია 2006 წელს. ხოლო მხარეები დავობენ 1996 წელს წარმოშობილ ურთიერთობებზე. ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს შეეძლო მიემართა დავის განმხილველი სასამართლოსათვის და ჩართულიყო დავაში მესამე პირის სახით თუ მისი უფლებები იქნებოდა დარღვეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი მიუთითებს შეჩერების აუცილებლობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გადაწყდეს განსახილველი დავა. შეუძლებლობა განპირობებული უნდა იყოს კონკრეტული გარემოებებით და არა ამ დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის მიერ სარჩელის აღძვრით. მხოლოდ იმის მითითება, რომ აღიძრა სარჩე-

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ა. ს. და ლ. ს-იანებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით აპელანტთა შუამდგომლობა სხვა ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა კატეგორიის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას. მოცემულ შემთხვევაში პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საქმისათვის, შესაბამისად, არსებობს საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს ამავე თარიღის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ს.მ-იანის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რაზეც შეტანილი კერძო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივნისის განჩინებით დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განჩინებაზე ს. მ-იანმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტთა მოთხოვნას წარმოადგენს საზიარო უფლების გაუქმება, მათ საკუთრებაში არსებული ქონების -საცხოვრებელი 40,01 კვ.მ-ის პროპორციულად მიწის ნაკვეთისა და არასაცხოვრებელი ფართის ნატურით გამოყოფა, შესაბამისად, დავის საგანია ქონებაზე საზიარო უფლება და არა თავად ქონება. აპელანტებმა ზემოხსენებულ ქონებაზე საკუთრების უფლება მოიპოვეს სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამჟამად, აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილდაა ცნობილი, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობისა და "საჯარო რეესტრის შესახებ" 26-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტის საფუძველზე, 2009 წლის 15 აპრილს გაუქმდა აპელანტთა საკუთრების უფლება სადავო 40.01 კვ.მ-ზე და გაიცა ახალი ამონაწერი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. მ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ გამოარკვევს, რომ მისი განხილვა სხვა საქმის წარმოების დასრულებამდე ობიექტურად შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრისა და 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებებით ირკვევა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განახლდა საქმის განხილვა ს. ს-იანის სარჩელის გამო ს. მ-იანისა და ქ.თბილისის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ ს. მ-იანის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობისა და საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ზემოხსენებული ადმინისტრაციული საქმის განხილვის შედეგი არსებითად გავლენას იქონიებს განსახილველი დავის სამართლებრივ შედეგზე, ვინაიდან ა. ს. და ლ. ს-იანების სასარჩელო მოთხოვნა ს. მ-იანის, ქ.თბილისის უძრავი ქონების მართვის დეპარტამენტისა და ქ.თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და წილის ნატურით გამოყოფის შესახებ ეფუძნება სწორედ ქ.თბილისში, ...-ის ქ.#12-ში მდებარე უძრავი ქონების მოსარჩელეთა საკუთრების უფლებას, რომლის გაუქმების შემთხვევაში ზემოხსენებულ ქონებაზე მხარეთა საზიარო უფლება აღარ იარსებებს და, შესაბამისად, წილის ნატურით გამოყოფის მოთხოვნაც მნიშვნელობას დაკარგავს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაჩერა მოცემული საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიმდინარე დავის განხილვამდე, ხოლო კერძო საჩივ-

რის ავტორს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა სათანადოდ არ დაუსაბუთებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ს. მ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება სხვა საქმის გადაწყვეტამდე

განჩინება

#ას-1052-1320-09 7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ზ-მემ და ლ. ჯ-მემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის, ა. და ი. შ-ძეების მიმართ მოპასუხეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ი.შ-ძის სახელზე საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერის გაუქმებისა და ლ.ჯ-ძის #6564 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე რეგისტრაციის განხორციელების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელები ამუშავებდნენ ხელვაჩაურის რაიონში მდებარე 1010 და 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთებს, თუმცა მოგვიანებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ მათ სარგებლობაში არსებული მიწა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ი.შ-ძის სახელზე. მხარეებს მითითებულ უძრავ ნივთთან დაკავშირებით წარმოეშვათ დავა, რის შედეგად ი. შ-მემ თვალთმაქცური ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა თავის ძმასთან - ა. შ-ძესთან.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ძისა და ლ. ჯ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ი. და ა. შ-ძეებს შორის 2008 წლის 25 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მ. ზ-ძისა და ლ. ჯ-ძის მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულების შესახებ კი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში - მ. ზ-მემ და ლ. ჯ-მემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ა. და ი. შ-ძეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ზ-ძისა და ლ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურში მდებარე 2500 კვ.მ მიწის ფართის, სარეგისტრაციო ნომრით 220101410, ი. შ-ძის სახელზე რეგისტრაციის თაობაზე. ამავე სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო საქმე ი. და ა. შ-ძეებს შორის 2008 წლის 25 მარტს დადებული სადავო მიწის ნასყიდობის

ხელშეკრულებისა და შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში და განსჯადობით განსახილველად გადაეცა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მ. ზ-ძისა და ლ. ჯ-ძის წარმომადგენლების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა - შეჩერდა სამოქალაქო საქმის წარმოება მ. ზ-ძისა და ლ. ჯ-ძის სარჩელის გამო ა. და ი. შ-ძეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და შემძენის სადავო მიწის მესაკუთრედ რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში იმავე მხარეებსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს შორის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულ დავაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურში მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის ი. შ-ძის სახელზე რეგისტრაციის თაობაზე, ხოლო 2009 წლის 31 ივლისის განჩინებით საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო ი. და ა. შ-ძეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და შემძენის სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში მოთხოვნა, რომელიც გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის "გ" პუნქტით და მიიჩნია, რომ მოცემული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია მანამ, სანამ ადმინისტრაციული წესით მიმდინარე დავაზე მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შევა და არ დადგინდება, იყო თუ არა უფლებამოსილი ი. შ-ძე, გაესხვისებინა სადავო მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, კანონიერია თუ არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება სადავო მიწის ი. შ-ძის სახელზე აღრიცხვის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. შ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არასწორად დააკმაყოფილა მ. ზ-ძისა და ლ. ჯ-ძის წარმომადგენლების შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან მოსარჩელეთა წარმომადგენლებს ფაქტობრივად საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ უშუამდგომლიათ და აღნიშნული სასამართლომ საკუთარი ინიციატივით განახორციელა. დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა, რომ მოცემული სამოქალაქო საქმის განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით მიმდინარე საქმის განმხილვამდე შეუძლებელია. ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლომ წინასწარ გამოხატა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ სადავო მიწის ნაკვეთის ი. შ-ძის სახელზე აღრიცხვის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობა გამოიწვევს ი. და ა. შ-ძეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასაც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. შ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ გამოარკვევს, რომ მისი განხილვა სხვა საქმის წარმოების დასრულებამდე ობიექტურად შეუძლებელია. ამასთან, საქმის წარმოების შეჩერება დასახელებული გარემოებების არსებობისას სასამართლოს მოვალეობაა და მხარეთა მიერ შუამდგომლობის აღძვრაზე დამოკიდებული არ არის.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის წარმოება საკუთარი ინიციატივით შეაჩერა და აღნიშნულის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოს წინაშე არ უშუამდგომლია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, კერძოდ: მოცემული დავის საგანია ა. და ი. შ-ძეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა. ამავდროულად დადგენილია, რომ ადმინისტრაციული წესით იხილება სადავო უძრავი ნივთის ი. შ-ძის სახელზე რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების კანონიერება. ცხადია, რომ სადავო უძრავ ნივთზე ი. შ-ძის სახელზე რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სა-

რეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების კანონიერება გავლენას მოახდენს ამავე უძრავ ნივთზე ი. და ა. შ-ძეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ა. შ-ძის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მართლზომიერებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად იხელმძღვანელა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტი, როდესაც სამოქალაქო საქმის განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიმდინარე დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შეაჩერა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. შ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

10. სააპელაციო სასამართლოში საქმის განუხილველად დატოვება სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-930-1136-08

22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ა-იანმა სარჩელით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე რ. ბ-იანის მიმართ და მოითხოვა უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის განმარტებით, იგი ცხოვრობს ახალქალაქის რაიონის სოფელ გომში, სადაც აქვს საკუთარი საცხოვრებელი სახლი 0,265 ჰა მიწის ნაკვეთით; 1984 წელს მეზობელმა რ. ბ-იანმა უკანონოდ მიიტაცა მისი მიწის ნაკვეთიდან 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი და შემოღობა.

მოსარჩელემ მოითხოვა უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება და ღობის მოშლა.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-იანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა ა-იანის სააპელაციო საჩივარი -გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დაკმაყოფილდა ვ. ა-იანის სარჩელი და დაუბრუნდა მას რ. ბ-იანის მიერ უკანონოდ მიტაცებული ახალქალაქის რაიონის სოფელ გომში მდებარე 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი.

2008 წლის 27 თებერვალს რ. ბ-იანის წარმომადგენელმა ე. ა-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინებით რ. ბ-იანის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საა-

პელაგიო სასამართლოს 2003 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი განმცხადებლის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ბ-იანის წარმომადგენელმა ე. ა-მემ, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ 2008 წლის 16 სექტემბერს სასამართლო პროცესზე გამომგზავრებისას გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც იძულებული გახდა დიაგნოზის დასასმელად მიემართა სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრ შპს "ლელასთვის".

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ რ. ბ-იანის წარმომადგენელ ე. ა-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე არცერთი მხარე არ გამოცხადდება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, კანონით დადგენილი წესით ეცნობათ, კერძოდ, რ. ბ-იანსა და მის წარმომადგენელ ე. ა-მეს, ასევე მოწინააღმდეგე მხარე - ვ. ა-იანს ჩამოერთვათ ხელწერილი, რომელშიც განისაზღვრა სასამართლო სხდომის დღე და ადგილი (სსკ 216-ე მუხლის მე-3 ნაწილი), თუმცა სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე გამოცხადებულა და არც რაიმე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ ან საქმის განხილვის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ.

საკასაციო სასამართლოს აზრით, ე. ა-მის განმარტება იმის თაობაზე, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ვერ გახდება გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ მას სააპელაციო სასამართლოსათვის დროულად არ უცნობებია და არც რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოუდგენია. ამას გარდა, სასამართლო სხდომაზე ასევე არ გამოცხადებულა თავად რ. ბ-იანი და არც გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის უცნობებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის გასაჩივრებული საოქმო განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძველო და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ბ-იანის წარმომადგენელ ე. ა-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

განჩინება

#ას-463-775-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ლ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნი-ვერსიტეტის" მიმართ და მოითხოვა მოპასუხის ბრძანების გაუქმება, იძულებითი განაცდურის, ასევე, შრომის წიგნაკში სათანადო ჩანაწერის შეუსრულებლობისა და მისი გაცემის დაყოვნებისათ-ვის კომპენსაციის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მ. ლ-შვილს უარი ეთქვა ბრძანების გაუქმებისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში ამავე სასამართლოს 2008 წლის 4 იანვრის განჩინებით სარ-ჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩი-ნებით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო მ. ლ-შვილის სარჩელი დარჩა განუხილველად, რაზეც მ. ლ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინებით გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

2008 წლის 20 აგვისტოს მ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინებით ზემოხსენებული განცხადება დარჩა განუხილველად, რაზეც მ. ლ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალა-ტის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 20 თებერვალს მ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, ხოლო 2009 წლის 8 აპრილს მოითხოვა 2009 წლის 31 მარტის სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანა. ამავე სასამარ-თლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით ზემოხსენებულ სხდომის ოქმზე შეტანილი შენიშვნები არ იქნა გაზიარებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით მ. ლ-შვილის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა სხდომის გადადების თაობაზე და ამა-ვე რიცხვის განჩინებით მისი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დარჩა განუხილვე-ლად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ლ-შვილს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მისი განცხადების სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, თუმცა განმცხადებელი სასამართლოს მიერ დადგენილ დროს საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მ. ლ-შვილის განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ და არ დაეთანხმა განმცხადებლის არგუმენტს, რომ სასამარ-თლოს უნდა ჩაეტარებინა ჯერ მოსამზადებელი სხდომა და მხოლოდ ამის შემდეგ დაენიშნა საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე. პალატამ მიიჩნია, რომ საკითხს, მომზადებულია თუ არა საქმე მთავარ სხდომაზე განსახილველად, წყვეტს სასამართლო, ამასთან, მხარეს ჩაჰბარდა 2009 წლის 31 მარტის სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც აღნიშნული საკითხი ამომწურავადაა განმარტებუ-ლი. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის განხილვის გადადე-ბის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებზე განმცხა-დებელს არ მიუთითებია, რის გამოც განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე, 229-ე და 275-ე მუხლების საფუძ-ველზე სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია უნივერსიტეტის წარმომადგენლის შუამდგომლობა მ. ლ-შვილის, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ გან-ცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, ვინაიდან განმცხადებელს თავისი გამოუცხადებ-ლობის საპატიო მიზეზის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანის მოთ-ხოვნით მ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. ამავე სასამარ-თლოს 2009 წლის 4 მაისის განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მ. ლ-შვილმა კერძო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის განჩინებაზე, რომლითაც სასამართლო სხდომა გადაიდო 2009 წლის 21 აპრილს, 8 აპრილის განჩინებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განცხადება 31 მარტის სხდომის ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 21 აპრილის განჩინებაზე, რომლითაც სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე მ. ლ-შვილის განცხადებას უარი ეთქვა, 4 მაისის განჩინებაზე, 21 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე 2009 წლის 21 აპრილის იმ განჩინებაზე, რომლითაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში, დანარჩენ ნაწილში კი ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის განჩინებით დარჩა განუხილველად.

მ. ლ-შვილმა ზემოხსენებული კერძო საჩივარი დააფუძნა შემდეგ გარემოებებს: სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ მოამზადა საქმე და ისე ჩანიშნა მთავარი სხდომა, იგი ვალდებული იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის საფუძველზე, უპირველესად, მ. ლ-შვილის სასარგებლოდ მიედო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ არ წარადგინა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებაზე შესაგებელი და ვერ უარყო მითითებულ განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებანი. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე-216-ე მუხლები, 284-ე მუხლის მესამე ნაწილი და 2009 წლის 31 მარტის სასამართლო სხდომაზე არ იმსჯელა მ. ლ-შვილის შუამდგომლობაზე საქმის განხილვის მოუმზადებლობის გამო მისი გადადების შესახებ. აღნიშნულის სანაცვლოდ სასამართლო სხდომა გადაიდო იმ მოტივით, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს პროცესში მონაწილეობის მისაღებად სათანადო უფლებამოსილება არ გააჩნდა. აღნიშნული სახის საკითხი კი სწორედ მოსამზადებელ სხდომაზე უნდა შემოწმებულიყო, რაც სააპელაციო პალატამ უგულვებელყო. 2009 წლის 21 აპრილის სასამართლო სხდომაზე პალატამ დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა მ. ლ-შვილის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ, რადგან არ მიუთითებია, თუ რატომ არ წარმოადგენდა მ. ლ-შვილის მიერ მითითებული გარემოებანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმის განხილვის გადადების წინაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის თანახმად, უმეტესად საქმის განხილვის გადადება გამოწვეულია მისი არასათანადო მომზადებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლების შესაბამისად, მ. ლ-შვილმა თავად განსაზღვრა თავისი მოთხოვნის საფუძველები და ის მტკიცებულებანი, რომლებსაც აღნიშნული მოთხოვნები ეფუძნება, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად კი, ამ მტკიცებულებათა უარყოფა მოწინააღმდეგე მხარის მოვალეობას წარმოადგენდა. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს მიერ გამოყენებულ სხვა ნორმებთან ერთად მითითებული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლი, რომლის დანაწესებაც გასაჩივრებული განჩინება ასევე უნდა შეესაბამებოდეს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის მომწესრიგებელი ნორმები და არ გამოიყენა ზემოხსენებული კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი. განსახილველ შემთხვევაში არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მ. ლ-შვილის განცხადების განხილვა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაინიშნა 2009 წლის 21 აპრილს, რის შესახებ განმცხადებელს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა. აღნიშნულის მიუხედავად, მ. ლ-შვილი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს აცნობა, არამედ მან განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას საქმის განხილვის გადადების შესახებ იმ მოტივით, რომ სასამართლო ვალდებული იყო, მთავარ სხდომამდე დაენიშნა მოსამზადებელი სასამართლო სხდომა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით მ. ლ-შვილის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით მ. ლ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განუხილველად დატოვა განმცხადებლის გამოუცხადებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით წარმოებაში მიღებულ იქნა მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის განჩინებაზე ამ უკანასკნელის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, დანარჩენ ნაწილში კი კერძო საჩივარი საკასაციო პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლითა და 275-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით, რომელთა თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამასთან, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტი, რომელსაც სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაჰზარდა, საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია. ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვას ეხება და არ იქნა გამოყენებული სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის სპეციალური ნორმები.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და არც კერძო საჩივრის ავტორი არ უარყოფს, რომ მ. ლ-შვილს 2009 წლის 21 აპრილის სასამართლო სხდომის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც აღნიშნულის საპატიო მიზეზი სააპელაციო პალატისათვის არ უცნობებია.

სადავო სასამართლო სხდომაზე მ. ლ-შვილის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება მის მიერ შეტანილი განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რასაც მხარე იმ მოტივით მოითხოვდა, რომ სასამართლოს მთავარ სხდომამდე უნდა ჩაეტარებინა მოსამზადებელი სასამართლო სხდომა. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული შუამდგომლობის წარდგენა შესაძლებელი იყო მ. ლ-შვილის მიერ პირადად, საქმის განხილვისას, რაც მხარეს არ განუხორციელებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა. მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობისას მოსამზადებელი სასამართლო სხდომის დანიშვნა სასამართლოს უფლება და არა მოვალეობაა, რაც უშუალოდ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სასამართლო ვალდებული იყო, მთავარი სასამართლო სხდომის დანიშვნამდე ჩაეტარებინა მოსამზადებელი სასამართლო სხდომა და სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ საქმის განსახილველად მომზადების საკითხს წყვეტს უშუალოდ სასამართლო.

რაც შეეხება მ. ლ-შვილის მითითებას, რომ გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლზე, რომლის მოთხოვნებსაც განჩინება უნდა აკმაყოფილებდეს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება მხოლოდ ის საპროცესო ნორმები, რომელთა უშუალო საფუძველზეც საქმეზე ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღება, შესაბამისად, ყველა საპროცესო ნორმის ასახვა განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სავალდებულო არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

11. სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-1115-1268-08

12 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ალიმენტის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. თ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ტ-ძის მიმართ ალიმენტის ყოველთვიურად 300 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1989 წლიდან მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში რა დროსაც შეეძინათ სამი შვილი -ხ. თ. და ზ. ტ-ძეები, რომლებიც სწავლობენ ფასიან სასწავლებლებში, თუმცა მოპასუხე მათ აღზრდასა და რჩენაში მონაწილეობას არ იღებს. ზ. ტ-ძის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 608 ლარს.

ზ. ტ-ძემ სარჩელი არ ცნო.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა თავისი მოთხოვნა და მოითხოვა მხოლოდ თ. და ზ. ტ-ძეების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობის 60 ლარიდან 100 ლარამდე გაზრდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების -თ. და ზ. ტ-ძეების სასარგებლოდ დაეკისრა თითოეულისათვის 80 ლარის გადახდა 2008 წლის 17 იანვრიდან მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. თ-ძემ გასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ყოველთვიურად 406 ლარის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ა. თ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ხ. ზ. და თ. ტ-ძეების სასარგებლოდ მოპასუხისათვის 100-100 ლარის გადახდა. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ა. თ-ძის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და, ხ. ტ-ძის სრულწლოვანების გამო, მოთხოვნა მის ნაწილში მოხსნა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების -თ. და ზ. ტ-ძეების სასარგებლოდ დაეკისრა თითოეულისათვის 80 ლარის გადახდა 2008 წლის 17 იანვრიდან მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით ა. თ-ძემ მოითხოვა სადავო ალიმენტის გამოანგარიშება არა 608 ლარიდან, როგორც ამას თავდაპირველად უთითებდა, არამედ - 812 ლარიდან, რადგან აპელანტისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი ზ. ტ-ძის რეალური თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესახებ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. თ-ძემ სააპელაციო სასამართლოში თავისი მოთხოვნა გაზარდა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია. პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 374-ე, 365-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად,

რადგან სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება მოცემულ შემთხვევაში კანონით დადგენილ 1000 ლარზე მეტი არ არის. სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება გამოიანგარიშა საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის -80 ლარისა და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 100 ლარის სხვაობიდან, რაც ორ არასრულწლოვან ბავშვზე 40 ლარს, ხოლო წელიწადში -480 ლარს შეადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. თ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ა. თ-მის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება. ფაქტობრივად, აპელანტს სააპელაციო საჩივრით მოთხოვნის ოდენობა არ გაუზრდია. მისმა წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარესთან შეუთანხმებლად შეამცირა და ა. თ-მე საქმის განხილვას რომ დასწრებოდა, აღნიშნულს არ დაუშვებდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსარჩელისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი მოპასუხის რეალური ხელფასის ოდენობის -812 ლარის შესახებ, რის საფუძველზე უნდა გაზრდილიყო ალიმენტის ოდენობაც. გაურკვეველია, თუ რატომ გამოითვალა სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის ღირებულება ალიმენტის სახით 100 ლარსა და 80 ლარს შორის სხვაობიდან.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ა. თ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ტ-მის მიმართ სამი შვილის სარჩენად ალიმენტის სახით ყოველთვიურად 300 ლარის (თითოეულის სასარგებლოდ 100 ლარის) დაკისრების შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის სხდომაზე ა. თ-მის წარმომადგენელმა დ. ყ-მემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა თითოეულ ბავშვზე ზ. ტ-მისათვის დასაკისრებელი ალიმენტის ოდენობის 60 ლარიდან 100 ლარამდე გაზრდა, ამასთან, ხ. ტ-მის სრულწლოვანების გამო, ალიმენტის ანაზღაურების მოთხოვნა მის მიმართ მოხსნა.

საქმეში არსებული რწმუნებულების თანახმად, ა. თ-მემ, სხვა უფლებამოსილებათა შორის, დ. ყ-მეს მიანიჭა სასარჩელო მოთხოვნის შემცირებისა და დაზუსტების უფლება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების -თ. და ზ. ტ-მეების სასარგებლოდ დაეკისრა თითოეულისათვის 80 ლარის გადახდა 2008 წლის 17 იანვრიდან მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. თ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ყოველთვიურად 406 ლარის დაკისრება. აპელანტის მითითებით, სარჩელის შეტანის დროს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას იგი ხელმძღვანელობდა მოპასუხის ხელფასის ოდენობით -608 ლარით, თუმცა შემდგომ მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზ. ტ-მის თანამდებობრივი სარგო 812 ლარს შეადგენს, რის გამოც სადავო ალიმენტის ოდენობაც აღნიშნული თანხიდან უნდა გამოანგარიშდეს. ამასთან, დ. ყ-მემ არასწორად შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა საჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ა. თ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. დასახელებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის წესები განსხვავდება რა პირველი ინსტანციით საქმის წარმოებისაგან, მხარეს უფლება არა აქვს, სააპელაციო სასამართლოში შეცვალოს ან გაზარდოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა და წარადგინოს შეგებებული სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში ა. თ-მემ დაარღვია ზემოხსენებული მუხლის დანაწესი, როდესაც სააპელაციო საჩივარში გაზარდა სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა და სადავო ალიმენტის ოდენობა გამოიანგარიშა მოითხოვა გადიდებული თანხიდან -812 ლარიდან.

ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომაზე დ. ყ-მემ აპელანტთან შეუთანხმებლად შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა ხ. ტ-მის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის თაობაზე, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XII თავი განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლისათვის მინდობილობის როგორც გაფორმების, ისე მისი მოქმედების წესსა და პირობებს, შესაბამისად, კანონის მოთხოვითა დაცვით შედგენილი მინდობილობის არსებობა სასამართლოში იწვევს წარმომადგენლის

მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების მიმართ საფუძვლიან ნდობას და საქმის განხილვისას წარმომადგენლის მხრიდან გამოვლენილი ნება მისი მარწმუნებლის ნებად ითვლება. განსახილველ შემთხვევაში დ. ყ-ძეს გააჩნდა კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი მინდობილობის საფუძველზე ა. თ-ძის სახელით სასარჩელო მოთხოვნის შემცირების უფლებამოსილება, რაც მან განახორციელა კიდევ და აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას იურიდიული ძალა აქვს სასამართლოსათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ა. თ-ძის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება, რაც შეადგენს 480 ლარს, კერძოდ, საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს დააკისრა ორი არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ყოველთვიურად 80-80 ლარის გადახდა. სააპელაციო საჩივრის დასაშვები მოთხოვნაა თითოეული ბავშვის სასარგებლოდ ყოველთვიურად 100 ლარის გადახდა, ამდენად, აპელანტი მოითხოვს ორი არასრულწლოვანი ბავშვის სარჩენად მოპასუხისათვის დამატებით 20-20 ლარის დაკისრებას. აღნიშნული მოთხოვნა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

ამდენად, დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. თ-ძის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. თ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-918-1125-08

22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირაიანი

დავის საგანი: ალიმენტის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ 1989 წლის 6 სექტემბრიდან ქორწინების რეგისტრაციაში იმყოფება ა. მ-იასთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ სამი შვილი - ი. მ-ია, დაბადებული 1991 წლის 3 იანვარს, გ. მ-ია, დაბადებული 1992 წლის 5 ივლისს და დ. მ-ია, დაბადებული 1995 წლის 1 აპრილს. უთანხმოების გამო გაშორდა მეუღლეს და დროებით საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ...-ში. მასთან ერთად ცხოვრობენ შვილებიც, იგი არის უმუშევარი და უჭირს შვილების რჩენა. ბავშვების მამა კი არ მონაწილეობს შვილების აღზრდაში. აქედან გამომდინარე, მან მოითხოვა მოპასუხე ა. მ-იასათვის სამივე შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება სულ 300 ლარის ოდენობით.

ა. მ-იამ შეგებებული სარჩელი აღძრა თ. მ-იას მიმართ და მოითხოვა ქორწინების შეწყვეტა. სასამართლო სხდომაზე ნ. მ-იამ მოითხოვა, ა. მ-იას დაეკისროს მის სასარგებლოდ შვილების სარჩო თითოეულ შვილზე 35 ლარის ოდენობით, სულ 105 ლარი ყოველთვიურად, სასამართლოში სარჩელის აღძვრის დღიდან ბავშვების სრულწლოვანების მიღწევამდე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის ნაწილობრივი გადაწყვეტილებით თ. მ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა -ა. მ-იას თ. მ-იას სასარგებლოდ დაეკისრა შვილების -ი., დ. და გ. მ-იების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა თითოეულ შვილზე 35 ლარის ოდენობით, სამ შვილზე სულ 105 ლარი ყოველთვიურად სარჩელის აღძვრის მონეტიდან შვილების სრულწლოვანების მიღწევამდე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. მ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინებით ა. მ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ა. მ-ია მოითხოვს ყოველთვიურად გადასახდელად დაკისრებული ალიმენტის შემცირებას 35 ლარის ოდენობით, რაც ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 420 ლარს. ვინაიდან დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

ა. მ-იამ კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლოში. მან მიუთითა, რომ ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ მას შვილების სასარგებლოდ დააკისრა ალიმენტის გადახდა 105 ლარის ოდენობით. ვინაიდან მას ფინანსურად უჭირს, არ შეუძლია აღნიშნული თანხის გადახდა. მან მოითხოვა დაკისრებული თანხის შემცირება 35 ლარით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. მ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს).

ამავე კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა -ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

დადგენილია, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ა. მ-იას შვილების სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრის მომენტიდან ბავშვების სრულწლოვანების მიღწევამდე ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად -105 ლარი. ა. მ-იამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ალიმენტის ოდენობის შემცირება 70 ლარამდე, ანუ დაკისრებული თანხის შემცირება 35 ლარით, რომელიც ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 420 ლარს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ღირებულებაა 420 ლარი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. მ-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, ვინაიდან დავის საგნის ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

ა. მ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-1105-1260-08

9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 13 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. რ-შვილმა მოპასუხე ი. ჟ-იას მიმართ.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას ("მაზდა 626") გაჩერებულ მდგომარეობაში, თბილისში, ... ქუჩაზე, შეეჯახა "ოპელის" მარკის ჯიპი, რომელსაც მართავდა ი. ჟ-ია. შეჯახების შედეგად მთლიანად მწყობრიდან გამოვიდა მარცხენა წინა კარები, შესაკეთებელია წინა მარცხენა ფრთა, უკანა მარცხენა კარები და მარცხენა "კარნიზი". ავტომანქანის შეკეთებას სჭირდებოდა 1000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. რ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ჟ-იას მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. ჟ-იამ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 ნოემბრის საოქმო განჩინებით ი. ჟ-იას საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა აღნიშნული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. რ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ჟ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ი. ჟ-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომლითაც მისი გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ი. ჟ-იას სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარი, ანუ დავის საგანს წარმოადგენდა 1000 ლარი. შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

დასახელებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ი. ჟ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის განახილველად მიღება, შემდეგი მოტივებით:

იმის მიუხედავად, რომ სააპელაციო საჩივრის დავის საგანს წარმოადგენდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ჟ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ 1000 ლარის გადახდა დაეკისრა, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას არსებითია აღნიშნული სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ი. ჟ-ია იმ მოტივით მოითხოვდა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაბამისი სამართლებრივი წანამდგვრები. ასეთ ვითარებაში კი სააპელაციო საჩივრის წარდგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 366-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დასაშვები იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ჟ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. რ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ი. ჟ-იას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ჟ-იამ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. ამ შემთხვევაში დავის საგანში იგულისხმება სარჩელის დავის საგანი. აქედან გამომდინარე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. ჟ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-325-644-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 28 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ქ-შვილმა მოპასუხე თ. გ-ავას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა შვილის -ზ. ქ-შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად გადასახდელი ალიმენტის თანხის -200 ლარის შემცირება 100 ლარამდე.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შეწყდა ა. ქ-შვილსა და თ. გ-ავას შორის 2001 წლის 22 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება, ამავე გადაწყვეტილებით მათი შვილის -ზ. ქ-შვილის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის -თ. გ-ავას საცხოვრებელი ადგილი, ა. ქ-შვილს არასრულწლოვანი შვილის -ზ. ქ-შვილის სასარგებ-

ლოდ მის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ალიმენტის გადახდა თვეში 200 ლარის ოდენობით. სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება დარეგისტრირდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისნის სამსახურში.

მოსარჩელის მითითებით, საქმეში არსებული გადახდის ქვითრები ნათლად ასაბუთებდა მის მიერ ალიმენტის თავისდროულ და ჯეროვან გადახდას.

მოსარჩელის მოსაზრებით, დღეისათვის არსებობდა ალიმენტის ოდენობის შემცირების საფუძვლები, კერძოდ: 2006 წელს ა. ქ-შვილი ხელმოკრედ დაქორწინდა, 2007 წელს შეეძინა შვილი, ამჟამად მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ დიასახლისი მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და პენსიონერი დედა, ოჯახს მოსარჩელის ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. 1020 ლარის ოდენობის ხელფასი, რომელსაც ა. ქ-შვილი სს "თელასში" ოსტატად მუშაობით იღებდა, ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით 200 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

სარჩელში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად დასახელებული იყო სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ. იმ მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომელიც ალიმენტს იხდის მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა.

მოსარჩელის მოსაზრებით, სარჩელში მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რაც, თავის მხრივ, სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ქ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს თავისი არასრულწლოვანი შვილის -ზ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის თანხა -200 ლარი შეუმცირდა 130 ლარამდე, ა. ქ-შვილის სარჩელი ალიმენტის ოდენობის დამატებით 70 ლარის შემცირების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ქ-შვილის შემოსავალი (ხელფასი) სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის დაკისრების შემდეგ გაიზარდა 1020 ლარამდე. მოსარჩელემ შექმნა ახალი ოჯახი, მის კმაყოფაზე იმყოფებოდა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ასევე ელოდებოდა მესამე შვილს.

ამდენად, ა. ქ-შვილს, მიუხედავად სახელფასო ანაზღაურების გაზრდისა, შეეცვალა ოჯახური მდგომარეობა, რაც საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით წარმოადგენდა დაკისრებული საალიმენტო თანხის შემცირების საფუძველს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლით და მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, ალიმენტის ოდენობა ექვემდებარებოდა შემცირებას 130 ლარამდე.

2008 წლის 9 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ამავე სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ განცხადებით მიმართა თ. გ-ავამ.

განმცხადებლის აზრით, ზემომითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, რამდენადაც, თუკი ა. ქ-შვილს უარი ეთქვა ალიმენტის ოდენობის 70 ლარით შემცირების მოთხოვნაზე, მაშინ არასრულწლოვან ზ. ქ-შვილს, ნაცვლად 130 ლარისა, უნდა დანიშნოდა ალიმენტი 170 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით ამავე სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტში შეტანილ იქნა შესწორება და ნაცვლად წინადადებისა: "მოსარჩელე -ა. ქ-შვილს უარი ეთქვას ალიმენტის ოდენობის დამატებით 70 ლარით შემცირების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო" მიეთითა: "მოსარჩელე -ა. ქ-შვილს უარი ეთქვას ალიმენტის ოდენობის დამატებით 30 ლარით შემცირების თაობაზე უსაფუძვლობის გამო".

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-ავამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინებით თ. გ-ავას სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

საქმეზე დგინდებოდა, რომ თ. გ-ავას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე და პირადად ჩაჰბარდა 2009 წლის 27 იანვარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი აპელანტს ჩაჰბარდა 2009 წლის 27 იანვარს, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა მისთვის აღნიშნული განჩინების ჩაბარების მომდევნო დღეს - 2009 წლის 28 იანვარს დაუკავშირა. შესაბამისად, თ. გ-ავას მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის დენა 2009 წლის 10 თებერვალს ამოიწურა. საქმეზე დგინდებოდა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 10 მარტს ანუ ერთი თვის დაგვიანებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თ. გ-ავას სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში შეტანის პირობებშიც, არსებობდა მისი დაუშვებლად მიჩნევის სხვა საფუძველი, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში თ. გ-ავა ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც ა. ქ-შვილს თავისი არასრულწლოვანი შვილის ზ. ქ-შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის თანხა - 200 ლარი შეუმცირდა 130 ლარამდე, ე.ი. დავის საგანს წარმოადგენდა ალიმენტის 70 ლარით შემცირება. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, თ. გ-ავას სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა 840 ლარს, რაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ 1000 ლარს არ აღემატებოდა. ამდენად, თ. გ-ავას სააპელაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელი იყო და განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. გ-ავამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ თ. გ-ავას მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა არასწორად დაუკავშირა მისთვის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას. რამდენადაც მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მასში უსწორობის გასწორების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა, საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს მისი გასწორების დღიდან ანუ 2009 წლის 12 თებერვლიდან. აქედან გამომდინარე, თ. გ-ავას მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა უნდა დაუკავშირდეს უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების მისთვის ჩაბარების დღეს - 2009 წლის 27 თებერვალს. ამ დღიდან სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაშია წარდგენილი.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით თ. გ-ავას სააპელაციო საჩივრის განუხილველობა შეუსაბამობამია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყ-

ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტთან, რომელიც მიუთითებს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში ა. ქ-შვილის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს დაკისრებული ალიმენტის თანხის 100 ლარით შემცირება. ამდენად, მისი მოთხოვნის ღირებულება შეადგენს 1 200 ლარს (12X100). ა. ქ-შვილი სასამართლოსაგან სწორედ ამ თანხის ანაზღაურებას ითხოვს, რის შესაბამისადაც თ. გ-ავას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს ამავე თანხის ფარგლებში მოსარჩელის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია და ექვემდებარება განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. გ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი თ. გ-ავას გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება თ. გ-ავას ჩაჰბარდა 2009 წლის 27 იანვარს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მართებულად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლზე და თ. გ-ავას მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლას სწორად უკავშირებს მისთვის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების დღეს - 2009 წლის 27 იანვარს. აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით განხორციელებული უსწორობის გასწორება, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან გამომდინარე, სრულიად თვალსაჩინოა, რომ მოცემული უსწორობა წარმოადგენს სარეზოლუციო ნაწილში ტექნიკურ შეცდომას. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულ ნაწილში დასკვნის სახით მითითებულია: "სასამართლო ხელმძღვანელობს რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მიაჩნია, რომ არასრულწლოვანი შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, ალიმენტის ოდენობა უნდა შემცირდეს 130 ლარამდე, ხოლო სარჩელის მოთხოვნის დანარჩენ - 30 ლარით შემცირების ნაწილში, მოსარჩელე - ა. ქ-შვილს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო". ამდენად, გადაწყვეტილების შინაარსიდან სრულიად ნათელია, რომ ა. ქ-შვილის სარჩელი მხოლოდ 30 ლარით შემცირების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 27 იანვარს - თ. გ-ავასათვის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების დღეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლიდან გამომდინარე, მხარეს აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების რეალიზების შესაძლებლობა ამოეწურა 2009 წლის 10 თებერვალს. თ. გ-ავამ სააპელაციო საჩივარი წარადგინა არა დროის დასახელებულ მონაკვეთში, არამედ სამი დღის დაგვიანებით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ თ. გ-ავას სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება სწორად განსაზღვრა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, რამდენადაც სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ა. ქ-შვილს ალიმენტის თანხა - 200 ლარი შეუმცირდა 130 ლარამდე, ანუ დავის საგანს წარმოადგენდა ალიმენტის 70 ლარით შემცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა 840 ლარს (70X12), რაც არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თ. გ-ავას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. გ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-568-876-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ალიმენტის ოდენობის შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. მ-ის მიმართ ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისრა მოპასუხის სასარგებლოდ ყოველთვიურად 300 ლარის გადახდა. გადაწყვეტილების გამოტანისას ი. გ-შვილს ფინანსური მდგომარეობა აძლევდა ზემოხსენებული თანხის გადახდის შესაძლებლობას, თუმცა ამჟამად მოსარჩელის ხელფასი 200 ლარს შეადგენს, მის კმაყოფაზე იმყოფებიან მისი მშობლებიც და, შესაბამისად, ზემოხსენებული თანხა უნდა შემცირდეს თვეში 50 ლარამდე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სახელფასო ცნობა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ალიმენტის ოდენობის შემცირებას ითხოვს, რეალობას არ შეესაბამება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ი. გ-შვილს ნ. მ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის -გ. გ-შვილის აღსაზრდელად შეუმცირდა ალიმენტი 130 ლარამდე, დამატებით 80 ლარით ალიმენტის ოდენობის შემცირებაზე კი მოსარჩელეს ეთქვა უარი, რაც ი.გ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინებით ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატის განჩინებით ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლისა და 187-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის ზეპირი განხილვისას გამოიკვეთა მისი განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს ნ. მ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის -გ. გ-შვილის აღსაზრდელად ალიმენტის ოდენობა 130 ლარამდე შეუმცირდა, დარჩენილი 80 ლარის შემცირების ნაწილში კი მოთხოვნას უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. პალატის მითითებით, მართალია, სააპელაციო საჩივარში მხარემ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას მთლიანად ასაჩივრებდა, თუმცა საქმის განხილვისას გაირკვა, რომ მისი ინტერესია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ანუ ალიმენტის შემცირება იმ 80 ლარითაც, რა ნაწილშიც სარჩელს უარი ეთქვა, შესაბამისად, აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" და "ვ" ქვეპუნქტებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ალიმენტის 80 ლარით შემცირება, რის საფუძველზეც სააპელაციო საჩივ-

რის ღირებულება შეადგენს 960 ლარს. ამავე კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის ღირებულება დასაშვებ ზღვარზე ნაკლებია, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. გ-შვილის წარმომადგენელმა თ. პ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და საქმის დაბრუნება არსებითად განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა სააპელაციო საჩივრის ღირებულება და არ გაითვალისწინა, რომ სააპელაციო საჩივარში და სასამართლო სხდომაზეც აპელანტი მოითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმებას, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა არა 960 ლარს, როგორც ეს პალატამ ჩათვალა, არამედ 2600 ლარს, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო სარჩელის სრულად დაკმაყოფილება - ალიმენტის ოდენობის 300 ლარიდან 50 ლარამდე შემცირება. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი საქმის ზეპირი განხილვის დროს გამოვლინდა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და 374-ე მუხლები, ვინაიდან არ ჰქონდა უფლება, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ განეხილა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ი. გ-შვილმა ნ. მ-ის მიმართ აღძრულ სარჩელში მოითხოვა მხარეთა არასრულწლოვანი შვილის აღსაზრდელად სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის - 300 ლარის 50 ლარამდე შემცირება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. გ-შვილს ალიმენტის ოდენობა შეუმცირდა 130 ლარამდე, ხოლო აღნიშნული ოდენობის დამატებით 80 ლარით შემცირებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი, რაც ი. გ-შვილმა გასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა გადაწყვეტილების სრულად გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო ამავე წლის 25 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-შვილის წარმომადგენელ თ. პ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის მოსაზრება, რომ ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის ღირებულება 2600 ლარს შეადგენს, ვინაიდან მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით კი გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლითა და 187-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელთა შესაბამისად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამასთან, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს მის მიერ მანამდე წარმოებაში მიღებული სააპელაციო საჩივარი, თუ მისი

განუხილველად დატოვების წანამდგვრები გამოვლინდება მას შემდეგ, რაც სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას აპელანტს ფაქტობრივად დააზუსტებინა მოთხოვნა, რის შედეგადაც გამოვლინდა ი. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ:

საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის აღსაზრდელად შეუმცირა ალიმენტის გადახდა 130 ლარამდე, ხოლო ალიმენტის ოდენობის 80 ლარით შემცირებაზე უარი უთხრა. სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ი. გ-შვილის "სარჩელი იმ 80 ლარის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილებულიყო", ხოლო მოსამართლის შეკითხვაზე აპელანტმა ი. გ-შვილმა დაადასტურა, რომ მისი სურვილი იყო სარჩელით სადავო 130 ლარს გამოაკლდეს დამატებით 80 ლარიც. ამდენად, დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრით მხარე სადავოდ ხდის მხოლოდ საქალაქო სასამართლოს მიერ შემცირებული ალიმენტის ოდენობის -130 ლარის გარდა ყოველთვიური ალიმენტის კიდევ 80 ლარით შემცირებაზე უარის თქმას. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებას წარმოადგენდა ალიმენტის ყოველთვიურად 80 ლარით შემცირება, რაც ერთი წელზე გათვლით შეადგენს 960 ლარს. აღნიშნულის გამო კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-შვილის წარმომადგენელ თ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-709-1010-09 29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ს-შვილის სარჩელი მოპასუხე საგამომცემლო-სარეკლამო კომპანია "დალენი-სტუდიას" მიმართ მისთვის მიუღებელი ხელფასის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, შპს "დალენი-სტუდიას" ე. ს-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების გადახდა 500 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს "დალენი-სტუდიის" დირექტორმა დ. კ-იამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით შპს "დალენი-სტუდიის" დირექტორ დ. კ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობისა და გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "დალენი-სტუდიას" დირექტორმა დ. კ-იამ და მოითხოვა მისი გაუქმება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს "დალენი-სტუდიის" დირექტორ დ. კ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების ასლი შპს "დალენი-სტუდიის" დირექტორ დ. კ-იას ჩაჰბარდა 2009 წლის 11 მაისს, უშუალოდ სასამართლოში. ხოლო დ. კ-იამ სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2009 წლის 29 მაისს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2009 წლის 25 მაისი.

ამას გარდა, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დ. კავარცხელიას სააპელაციო საჩივარი გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადაშიც რომ შეეტანა, იგი დაუშვებელი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ს-შვილის სასარჩელო მოთხოვნა, რომლის ღირებულება შეადგენდა 500 ლარს, რაც არ აღემატება 1000 ლარს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ შპს "დალენი-სტუდიის" დირექტორ დ. კ-იას სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობისა და გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "დალენი-სტუდიის" წარმომადგენელ დ. კ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-964-1243-09

30 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის ოდენობის გაზრდა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ტ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. კ-ევის მიმართ არასრულწლოვანი შვილის -ნ. კ-ევას სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის -ყოველთვიურად 20 ლარის 400 ლარამდე გაზრდის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეებს რეგისტრირებულ ქორწინებაში შეეძინათ შვილი -ნ. კ-ევა. ისინი განქორწინდნენ და სასამართლოს 2002 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ-ევს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის -ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა. ამჟამად მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ბავშვის მოთხოვნილებების მინიმუმსაც არ აკმაყოფილებს.

მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და განმარტა, რომ არის უმუშევარი, არჩენს ხნიერ მშობლებს, რის გამოც შესაძლებლობა აქვს ყოველთვიურად გადაიხადოს მხოლოდ 50 ლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ტ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა. კ-ევს დაეკისრა 1998 წლის 1 ნოემბერს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის -ნ. კ-ევას სასარგებლოდ ამავე სასამართლოს 2002 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ყოველთვიურად 80 ლარით გაზრდილი ოდენობით გადახდა და ალიმენტის ოდენობა განისაზღვრა თვეში 100 ლარით სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2009 წლის 13 მარტიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. კ-ევმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით ა. კ-ევის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ა. კ-ევი სააპელაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან არის უმუშევარი, ჰყავს პენსიონერი მშობლები, რომელთა დახმარებითაც აქამდე ყოველთვიურად იხდიდა 2002 წლის 4 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ 20 ლარს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აპელანტის მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რის გამოც გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა უნდა დარჩეს უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებაა 960 ლარი, რაც ამავე კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილ სააპელაციო საჩივრის საგნის ზღვრულ ღირებულებაზე -1000 ლარზე ნაკლებია. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. კ-ევმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აპელანტისათვის ალიმენტის 10 ლარამდე გაზრდის თაობაზე აშკარად უკანონო იყო და მოუსპო მას აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია და არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, როდესაც მიიჩნია, რომ ალ. კ-ევის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 960 ლარია წარმოადგენდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მოცემულ შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი ალიმენტის ოდენობაა არა 960, არამედ 1200 ლარი. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ-ევს დაეკისრა დამატებით 80 ლარის გადახდა, მაგრამ მანამდე, ამავე სასამართლოს 2002 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე ა. კ-ევი ალიმენტის სახით მოსარჩელეს უკვე უხდიდა ყოველთვიურად 20 ლარს მათი საერთო შვილის სარჩენად, ამდენად, მთლიანობაში გადასახდელმა თანხამ შეადგინა ყოველთვიურად 100 ლარი, რაც ერთი წლის ანგარიშში 1200 ლარია. სამოქალაქო

ლაქო საპროცესო კოდექსის 391¹ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განსახილველი საქმე უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, ვინაიდან სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება მიეცა, უმუშევარ პირს ყოველთვიური ალიმენტის ოდენობა 20 ლარიდან 100 ლარამდე გაუზარდოს და აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე მხარეს უარი ეთქვას კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების 1000 ლარზე ნაკლებად არასწორად მიჩნევის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-ევის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. ამდენად, სააპელაციო ინსტანციაში სააპელაციო საჩივრის განსახილველად აუცილებელია, რომ მისი საგნის ღირებულება იყოს 1000 ლარზე მეტი.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის მოსაზრება, რომ ა. კ-ევის სააპელაციო საჩივრის ღირებულება 1200 ლარს შეადგენს, ვინაიდან მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით კი გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ-ევის არასრულწლოვანი შვილის -ნ. კ-ევას სარჩენად ალიმენტის -ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა უკვე დაკისრებული ჰქონდა, რაც განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს, ამავე სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით კი მითითებული ალიმენტის ოდენობა გაიზარდა 100 ლარამდე, ამდენად, სააპელაციო საჩივრით მხარე ასაჩივრებს ალიმენტის სახით გადასახდელი თანხის 80 ლარით გაზრდას, რაც ერთი წლის განმავლობაში 960 ლარს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და თვლის, რომ ა. კ-ევის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება კანონით განსაზღვრულ 1000 ლარს არ აღემატება, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება მოცემული საქმის განსახილველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. მოცემული საქმის მასალებით ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობა არ დასტურდება. მოცემულ შემთხვევაში მხარე სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს მისი საგნის ღირებულების განსაზღვრის კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს კანონის იმპერატიული ნორმა, რაც არანაირ სამართლებრივ გაურკვეველობას არ წარმოშობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- ა. კ-ევის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

#ას-1021-1293-09

30 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს: ნ. ო-ძემ, ვ. მ-შვილმა, ა. ს-შვილის უფლებამონაცვლე ნ. ს-შვილმა და ს. მ-ოვმა მოპასუხეების -გ. გ-მისა და შპს "მეგობრობა ლენდის" მიმართ. მოსარჩელების საბოლოო მოთხოვნებს წარმოადგენდა: შპს "ჩუღურეთი 2000-ის" პარტნიორთა კრების 2006 წლის 19 აპრილის #1 ოქმის ბათილად ცნობა, 2006 წლის 20 აპრილის წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რაც გულისხმობდა შპს "ჩუღურეთი 2000-ისათვის" 2006 წლის 19 აპრილამდე არსებული მდგომარეობით ქონების დაბრუნებას. ბათილობის იურიდიულ ინტერესად მოსარჩელები მიუთითებდნენ შპს "ჩუღურეთი 2000-ის" კაპიტალში მათ საკუთრებაში არსებული წილების დაბრუნებას 2006 წლის 19 აპრილამდე მდგომარეობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ო-ძის, ვ. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და ს. მ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ო-ძემ, ვ. მ-შვილმა, ა. ს-შვილის უფლებამონაცვლე ნ. ს-შვილმა და ს. მ-ოვმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტებს -ნ. ო-ძეს, ვ. მ-შვილს, ნ. ს-შვილსა და ს. მ-ოვს დაევაღათ, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარედგინათ სადავო ქონების (გასხვისებული წილის) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

2009 წლის 14 სექტემბერს აპელანტებმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს განცხადება, რომელსაც თან დაურთეს 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ამასთან, მათ მიუთითეს, რომ საქმეში არსებული წილის დათმობის ხელშეკრულებით სადავო ქონების (გასხვისებული წილის) ღირებულება განსაზღვრულია 8 000 ლარით, რომლის 4% შეადგენს 320 ლარს. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ეკონომიური გაჭირვების გამო მათ არ ჰქონდათ საშუალება გადაეხადათ სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი თანხა, რის გამოც ითხოვეს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ნ. ო-ძეს, ვ. მ-შვილს, ნ. ს-შვილსა და ს. მ-ოვს გაუგრძელდათ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა, მათვე დაევაღათ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სადავო ქონების (გასხვისებული წილის) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა უკვე გადახდილი 150 ლარის გამოკლებით.

ზემოთ განსაზღვრულ საპროცესო ვადაში აპელანტებმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს 170 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რის შესაბამისადაც ითხოვეს ხარვეზის შევსებულად მიჩნევა და მათი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ნ. ო-ძის, ვ. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და ს. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, აპელანტ ვ. მ-შვილს სახელმწიფო ხაზინიდან დაუბრუნდა მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 320 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო საჩივრის ავტორებმა არ შეასრულეს ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს მიერ დავალეზული საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, მათ კვლავ არ წარადგინეს სადავო ქონების (გასხვისებული წილის) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებული იყო, შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოქმედება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნ. ოძის, ვ. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და ს. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. ოძემ, ვ. მ-შვილმა, ნ. ს-შვილმა და ს. მ-ოვმა (წარმომადგენელი ც. შ-ძე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მათი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორთა მითითებით, 2009 წლის 14 სექტემბერს ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ განცხადებაში ისინი ნათლად განმარტავდნენ, რომ საქმეში არსებული წილის დათმობის ხელშეკრულებით სადავო ქონების (გასხვისებული წილის) ღირებულება შეადგენდა 8 000 ლარს, ხოლო მისი 4% იყო 320 ლარი. დასახელებული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის თანხა მათ გადაიხადეს, რისი დამადასტურებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი აქვთ. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება არამართლოზომიერია.

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, თუკი სააპელაციო სასამართლოს მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ აკმაყოფილებდა, შეეძლო აღნიშნული ოდენობა თავად დაედგინა, მით უფრო, როდესაც საქმეზე წარდგენილი იყო სადავო ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი აუდიტის დასკვნის სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლი მოსარჩელის მიერ მითითებული ფასის სადავო ქონების რეალურ ღირებულებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, უფლებას აძლევს მოსამართლეს, თვითონვე განსაზღვროს დავის საგნის ფასი სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით, რასაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინება, ნ. ოძის, ვ. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და ს. მ-ოვის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად, რომლითაც ნ. ოძეს, ვ. მ-შვილს, ნ. ს-შვილსა და ს. მ-ოვს დაევალით სადავო ქონების (გასხვისებული წილის) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა, აპელანტებმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს განცხადება, რომელსაც თან დაურთეს 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ამასთან, მათ მიუთითეს, რომ საქმეში არსებული წილის დათმობის ხელშეკრულებით სადავო ქონების (გასხვისებული წილის) ღირებულება განსაზღვრულია 8 000 ლარით, რომლის 4% შეადგენს 320 ლარს. მიმღე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ეკონომიური გაჭირვების გამო მათ არა აქვთ საშუალება, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი

თანხა, რის გამოც ითხოვენ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებას. მოგვიანებით, აპელანტებმა წარადგინეს დარჩენილი 170 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რის შესაბამისადაც ითხოვეს ხარვეზის შევსებულად მიჩნევა და მათი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტების მიერ სადავო ქონების (გასხვისებული წილის) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდის დამადასტურებელი საბუთის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში წარუდგენლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც, დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს, ხოლო აღნიშნული ფასის სადავო ქონების რეალურ ღირებულებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში შემდგომ საპროცესო მოქმედებად გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ დავის საგნის ფასის თავად განსაზღვრა და არა სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვება. ამგვარი რამ არ გამოდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან.

აპელანტებმა: ნ. ო-ძემ, ვ. მ-შვილმა, ნ. ს-შვილმა და ს. მ-ოვმა 2009 წლის 14 სექტემბერს ხარვეზის შევსების მიზნით წარდგინდნენ განცხადებაში მიუთითეს სადავო ქონების (გასხვისებული წილის) ღირებულებაზე, რაც მათ განსაზღვრეს სადავო წილის დათმობის ხელშეკრულების ფასით - 8 000 ლარით. ამდენად, მათ ხარვეზის შესავსებად დადგინდნენ საპროცესო ვადაში შეასრულეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით მათ მიერ შესასრულებელი საპროცესო მოქმედება. თუკი სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ აპელანტების მიერ მითითებული დავის საგნის ღირებულება - 8 000 ლარი არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავდა დავის საგნის ღირებულებას. ამდენად, ამ შემთხვევაში არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ო-ძის, ვ. მ-შვილის, ნ. ს-შვილისა და ს. მ-ოვის (წარმომადგენელი ც. შ-ძე) კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.